ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

4 ივლისიდან
3ფ[ფჰბ სფჯ,ფ4+
3ფაბბს ბსნჯკბფ
!) კფჰბ




[esif,fsb7 !@ bdkbcb7 @)!@ 1164 (5854) afcb5 #) stshb

# ხელისუფლებამ „მაესტროს“ ანტენები დააყადაღა

გვ.6



გვ.6

## მამუკა ღლონტი: „პროკურატურამ ბრალი დაგვიმტკიცოს!“



გვ.3

## რა გარიგება დაიდება ივანიშვილსა და მერაბიშვილს შორის



## ირაკლი ბათიაშვილი: „ხელისუფლება ხალხს ველარ მოატყუებს“

გვ.6



## აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა ქართველი ბერები დააკავეს

გვ.3



## თემურ შაშიაშვილი: „ბაჩო ახალაია მერაბიშვილს დაიჭერს!“

გვ.4



გვ.2

## ლევან ყიფიანი: „ხელისუფლება სპორტსმენებს პოლიტიკური ოპონენტების დასასჯელად იყენებს“

## ნონა გაფრინდაშვილი: „კარგად არ არის ის ქვეყნის საქმე, რომელშიც სპორტსმენი იძულებული ხდება, პოლიტიკაში ჩაერთოს“

გვ.5





## „ლაზიკა“ ნაციონალებს არ შეუქმნიათ

გვ.2

ISSN 1987-9385

**5** ბიძინა ივანიშვილი: „პოლიტიკაში შემთხვევით მოვედი“

**4** სტამბოლში ქართული ბიბლიოთეკა იხსნება

**5** სახალხო დამცველი ჟურნალისტებს შორის დაპირისპირებას გამოეხმაურა

**7** რატომ გაიხსენა ხელისუფლებამ სოფელი

კეჰ]ბ ოზსტკზ .ღზსტკზ იფღზ

# ლაზიკა“ ნაციონალებს არ შეუქმნიათ

გულიკო ბალაძე

### ინტერვიუ სამხედრო ექსპერტ გიორგი თავდგირიძესთან



***— ბატონო გიორგი, ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, რომ საქართველო მონაწილეობას მიიღებს ამერიკის თავდაცვის სამინისტროს მიერ სამხედრო დანიშნულების პროექტზე გამოცხადებულ ტენდერში. ჩვენი სამხედრო მრეწველობა იმ დონეზე არის, რომ ასეთ ტენდერში მონაწილეობა მიიღოს, თუ ეს ხელისუფლების პიარის ნაწილია?***

— როდესაც თავდაცვის სამინისტროები ან შეიარაღებული ძალები რომელიმე პროექტზე აცხადებენ ტენდერს, ეს არ ნიშნავს, რომ ტენდერი მთლიანად სამხედრო საქმეს ეხება. იქ ძირითადი ნაწილი არის მომსახურება, საკვები, ჩაცმულობა და ა.შ, ფაქტობრივად, უამრავი სპექტრია ისეთი შეკვეთების, რომელიც თავისუფლად შეიძლება საქართველოსნაირმა ქვეყნებმა შეასრულონ.

***— თუ არ ვცდები, მერაბიშვილმა განაცხადა, რომ უფრო ისეთ პროექტში აპირებენ მონაწილეობას, რომელიც შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის გამოშვებაზე იქნება ორიენტირებული.***

— არა. განცხადება დაკავშირებულია ავლანეთთან. ჩვენ გვაქვს სხვადასხვა პროექტები, რომელსაც ახორციელებს ამერიკის შეერთებული შტატები. ხსენებული პროექტი გამოაქვს ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს. შესაბამისად, რა თქმა უნდა, მასში იქნება სამხედრო საქონელიც. ეს სამხედრო საქონელი არ არის აუცილებელი იყოს ტანკი, ტყვიამფრქვევი და ა.შ. სამხედრო საქონელი შეიძლება იყოს დეტალიც, რომელიც დამზადდება საქართველოში. ქართულ მხარეს შესაძლებლობა ეძლევა მონაწილეობა მიიღოს ტენდერში. თავისთავად ამას ექნება ორმაგი დადებითი ელემენტი. ჯერ ერთი, ძალიან სერიოზული დამკვეთია. მეორე — დამკვეთი გარკვეულწილად აღმოუჩენს საქართველოს დახმარებას ამ დაკვეთების შესრულებაში. ფაქტობრივად, დახმარება იქნება არა მხოლოდ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განვითარებისთვის, არამედ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს შეიძლება ჰქონდეს რენტაბელური სამხედრო-სამრეწველო შეკვეთები და შემოსავლები ფინანსების სახით.

***— ანუ, თუ საქართველო ისეთ პროექტში მიიღებს მონაწილეობას, სამხედრო მრეწველობაც განვითარდება? თუ რაღაც დონეზე სამხედრო მრეწველობა განვითარებულია?***

— თავისთავად განვითარებული არაფერი არ არის ბუნებაში. ახლა 21-ე საუკუნეა და რაღაც წარმოება რომ ააწყო, აღარ სჭირდება მრავალწლიანი მშენებლობები და კადრების საშოვნელად ხანგრძლივი პროცედურები. როცა მოთხოვნაა, ძალიან ადვილია ამ მოთხოვნის შესაბამისად, გარკვეული მომსახურების ფირმის შექმნა, რომელშიც ჩაერთვებიან ადგილობრივი ძალები. სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი საქართველოში ზოგადად არ არის განვითარებული, ჩანასახშია. ნელ-ნელა ვითარდება. შესაბამისად, თუ იქნება გარკვეული ფინანსური ნაკადები, მისი განვითარება სწრაფად მოხდება. თუ არ იქნება ფინანსური ნაკადები, მისი განვითარება მოხდება ეტაპობრივად იმ ფინანსური რესურსების ფარგლებში, რომელსაც საქართველო გაიღებს. აქედან გამომდინარე, ეს არ არის შეფასების კრიტერიუმი. ეს არის კარგი პროექტი, რომელშიც საქართველო მიიღებს მონაწილეობას.

***— ფინანსური ნაკადები საიდან უნდა შემოვიდეს?***

— პროექტი, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, გულისხმობს, რომ უნდა იყოს ნატოსა და ამერიკის ფინანსური ნაკადები. თუ ვერ მივაღწიეთ ამ პროექტში მონაწილეობას, მაშინ იქნება საქართველოს ფინანსური ნაკადები.

***— ხელისუფლებამ ხომ შემოგვთავაზა სამხედრო ტექნიკა, ჯავშანმანქანები, თუ არ ვცდები, „დიგორი“ და ლაზიკა“. ეს რა დონის ტექნიკაა?***

— ეს ხელისუფლებას არ შემოუთავაზებია.

***— ხომ გამოიყვანა საჩვენებლად? ხელისუფლება გვეუბნებოდა, ჩვენ გავაკეთეთო.***

— ხელისუფლებას არ უთქვამს, ჩვენ გავაკეთეთო. „ლაზიკა“ გააკეთა „დელტამ“, ხოლო მისი აწყობა მოხდა 31-ე ქარხნის ბაზაზე. ის პოლიტიკური ძალა, რომელიც ხელისუფლებაშია, აცხადებს, რომ მისი მმართველობის პერიოდში სამხედრო—სამრეწველო კომპლექსი განვითარდა. აქედან გამომდინარე, თვითონ „ლაზიკა“ არ არის ნაციონალური მოძრაობის პროდუქტი, ანუ ნაციონალურ მოძრაობას არ შეუქმნია „ლაზიკა“. „ლაზიკა“ შექმნეს ქართველმა სამხედრო ინჟინრებმა, სამხედრო-სამეცნიერო სტრუქტურებმა.

***— სახელმწიფოს დაფინანსებით გაკეთდა?***

— ყველა ქვეყანაში ასეთი პროექტები ხორციელდება სახელმწიფო დაფინანსებით.

***— ჩვენ გვახსოვს, რომ საქართველოს იარაღზე ემბარგო ჰქონდა დაწესებული.***

— მე რომ არ მახსოვს ემბარგო?

***— ამერიკიდან იარაღის შესყიდვაზე 2008 წლის შემდეგ დაშვება გვქონდა?***

— ამერიკული იარაღის შესყიდვაზე დაშვება არ გვქონდა, მაგრამ ეს არ იყო ომის გამო. ჩვენ ამერიკისგან ყოველთვის ვღებულობდით ძალიან დიდ დახმარებას, სამხედრო სისტემების ჩათვლით. უბრალოდ, ჩვენ დამოუკიდებლად, პროექტების გარეთ, ცალსახა დაშვება ამერიკის სამხედრო ბაზაზე, რა თქმა უნდა, არ გვქონდა.

***— არ ვიცი, რა ხდება სახელმწიფოებს შორის მოლაპარაკებების დროს, მაგრამ რუსეთის მოწოდება იყო, აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოსთვის იარაღი არ მიეყიდათ. აქედან გამომდინარე, ჩვენც აღარ გვქონდა დაშვება.***

— ეს იყო პოლიტიკური სპექტრის განცხადება და სპეკულაციები ამ თემაზე, ძალიან ზედაპირული, რაც, სამწუხაროდ, ფართო საზოგადოებაზე გავლენას ახდენს. რეალურად ამერიკის სამხედრო ბაზაზე არასოდეს გვქონდა დაშვება. ხოლო რუსეთი ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს ამერიკასთან ან ევროპასთან, საერთოდ, იარაღით ვაჭრობის თემაზე. ევროპას გააჩნია თვითრეგულაციის საკმაოდ მკაცრი წესები. იარაღით ვაჭრობის საკითხი, უპირველეს ყოვლისა, არის პოლიტიკური თემა და არა — კომერციული. ჯერ ხდება პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება, შემდეგ კი — კომერციული მხარის რეალიზება. აქედან გამომდინარე, იმის თქმა, რომ რუსეთის მოწოდებით იარაღით ვაჭრობა შეწყდა, ეს არასწორია.

***— ყოველ შემთხვევაში, იმ პერიოდში (აგვისტოს ომის შემდეგ) ამაზე ძალიან ბევრი იწერებოდა. ჩვენც ჩავწერეთ ინტერვიუ. მაშინ ამერიკისაგან იარაღის შესყიდვაზე საქართველოს დაშვება რომ მომხდარიყო, ამაზე ბევრი საუბრები იყო.***

— ასეთი საუბრები იყო, მაგრამ არც ჩვენ გვქონდა სამხედრო დაშვება. იყო ქვეყნები, სადაც ხელისუფლებები რომ შეიცვალა, ურთიერთობა გაგვირთულდა. მაგალითად, ასეთია უკრაინა. იყო ქვეყნები, რომლებისაგან საქართველო იარაღს აღარ ყიდულობდა, რადგან იმ ტიპის იარაღმა თავისი დრო მოჭამა. ახალი მოთხოვნები იყო და მათთან კავშირი აღარ გავაგრძელეთ. იყო ქვეყნები, რომლებიც იძულებული იყვნენ, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოსთვის იარაღი არ მოეყიდათ. ამ შემთხვევაში რუსეთი სპეკულირებდა იმით, რომ არ ითანამშრომლებდა მათთან, ვინც საქართველოს იარაღს მიჰყიდდა. ე.ი. ლაპარაკი იყო არა ემბარგოზე, მაგრამ სამხედრო სფეროში აშშ თავისთავად ომის გამო და არა იმის გამო, რომ რუსეთი მოუწოდებდა, თავს იკავებდა. როდესაც ასეთი დაძაბულობა ხდება, საერთოდ, თავს იკავებენ დაძაბულობის რეგიონში იარაღის მიწოდებაზე. ასეთ ვითარებაში, როგორც წესი, გადაწყვეტილების მიღება ძალიან ჭირს. გადაწყვეტილებები მიიღება უმაღლეს დონეზე — პრეზიდენტებისა და პარლამენტების დონეზე. აქედან გამომდინარე, საქართველოს არავითარი ემბარგო არ გვქონია არც გამოცხადებული და არც გამოუცხადებელი. იყო გარკვეული შეფერხებები სამხედრო თანამშრომლობის, სამხედრო ვაჭრობასთან დაკავშირებით. არის ამის ობიექტური და სუბიექტური მიზეზები. ობიექტური მიზეზი ისაა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარება შეფერხდა. სხვა ამოცანები იყო და ომის შემდგომი პირველი ორი წელი თავდაცვის უწყება არ იყო იარაღის მოძიებით დაინტერესებული. სუბიექტური მიზეზი ის იყო, რომ ომის შემდგომ სიტუაციებში იარაღის მიწოდება ფერხდება.

***— ასეთ პროექტებში მონაწილეობა საქართველოს სახელმწიფოს რას მისცემს?***

— საქართველოს ხელისუფლებას ვაკრიტიკებდით ხოლმე, რომ ჩვენ წარმოდგენილი ვიყავით ერაყსა და ავლანეთში, ჩვენი სამხედრო კონტინგენტი იყო საკმაოდ დიდი, მაგრამ შესაბამისი ეკონომიკური ჩართულობა არ გვქონდა. როდესაც ფართოდ იღებ ასეთ ოპერაციებში მონაწილეობას, გარკვეულწილად მნიშვნელოვანი ეკონომიკური დივიდენდებიც უნდა მიიღო. ეს პროექტი კი რეალობის ადეკვატურია. საქართველოს კონტრიბუცია არის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი. აქედან გამომდინარე, საქართველო უნდა ჩაერთოს იმ ეკონომიკურ პროექტებში, რომელიც, დავუშვათ, ხორციელდება ავლანეთში და არა მარტო იქ. საქართველოს განვითარება დამოკიდებული იქნება არა იმაზე, როგორ ჩატარდება არჩევნები (რა თქმა უნდა, ესეც მნიშვნელოვანია), დემოკრატიის ხარისხზე ან სხვა ფაქტორზე, არამედ იმაზე, თუ საქართველოს ეკონომიკა რამდენად სწრაფად განვითარდება. დემოკრატია და ადამიანის უფლებები მაშინ არის უზრუნველყოფილი, როდესაც სტაბილური ეკონომიკური ვითარებაა. როდესაც სტაბილური ეკონომიკური ვითარება არ არის, ნებისმიერი დემოკრატია არის ფასადური და ადამიანის უფლებების დარღვევის პრობლემებიც დგას. ამიტომ, თავისთავად, ამერიკის სტრატეგიული პარტნიორობა ლამაზ სიტყვებად რომ არ დარჩეს, ამ მიმართულებით ამერიკას უნდა გადაედგა ნაბიჯები. ერთი ნაბიჯია ის, რომ ჩვენ ამერიკასთან გვექნება თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი. თუმცა. ამ რეჟიმზე გადასვლა დროს მოითხოვს. საქართველოს სჭირდება გარკვეული ფინანსური დამატებითი რესურსები, მაგრამ არავინ არაფერს გაჩუქებს, ეს ურთიერთობები აგებული უნდა იყოს ჯანმრთელ ეკონომიკურ განზომილებებზე. აქედან გამომდინარე ამ პროექტში მონაწილეობა არის ქვეყნის წახალისება, რადგან ეს არ არის მხოლოდ სამხედრო პროექტი. ეს, პირველ რიგში, ეკონომიკური პროექტია და გაზრდის საქართველოს ეკონომიკურ პოტენციალს. ამერიკა, როგორც საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი, ცდილობს პარტნიორის გაძლიერებას.

## ლევან ყიფიანი: ხელისუფლება სპორტსმენებს პოლიტიკური ოპონენტების დასასჯელად იყენებს“

საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ სპორტის თემატური ჯგუფი საერთაშორისო თანამეგობრობას და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებს მიმართვას უგზავნის და საქართველოს ხელისუფლების უკანონო ქმედებებზე სათანადო რეაგირებას სთხოვს.

„ხელისუფლებამ ქვეყანაში სპორტისა და სპორტსმენთა პოლიტიზირება მოახდინა“ — ნათქვამია მიმართვაში, რომელიც ჟურნალისტებს დღეს, „თბილისი მარიოტში“ მოძრაობის სპორტის თემატური ჯგუფის ხელმძღვანელმა ლევან ყიფიანმა გააცნო.

„საქართველოში მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარებაა, სისტემატიურად ირღვევა ადამიანის უფლებები, ხელისუფლება კი, ილუზიის შექმნას ცდილობს, თითქოს, სახელმწიფო დემოკრატიის გზას ადგას. მას ამით შეცდომაში შეყავს, როგორც საკუთარი მოქალაქეები, ასევე, პარტნიორი და მეგობარი ქვეყნები და მთლიანად საერთაშორისო საზოგადოება“ — ნათქვამია მიმართვაში.

მიმართვის ავტორთა განცხადებით, ხელისუფლება სპორტსმენებს არა სპორტული მიღწევების, არამედ მისდამი მორჩილების მიხედვით ყოფს, რაც მათ ღირსებას ლახავს.

„ხელისუფლება სპორტსმენებს პოლიტიკური ოპონენტებისა და უკმაყოფილო მოქალაქეების დასასჯელად იყენებს, სპორტსმენთა სადამსჯელო რაზმებს ქმნის, რომლებიც დაუნდობლად უსწორდებიან ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილ ადამიანებს, მათ შორის სპორტსმენებს და მათი ოჯახის წევრებს. ეს კი, შესაძლოა, სამოქალაქო დაპირისპირების წინაპირობად იქცეს“ — აღნიშნულია სპორტის თემატური ჯგუფის მიმართვაში.

სპორტსმენთა განცხადებით, ოლიმპიური მოძრაობა და სპორტი თავისი არსით მშვიდობის სამსახურშია და ის არ შეიძლება განიხილებოდეს რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის კუთვნილებად.

როგორც აღინიშნა, მიმართვა საქართველოში უცხო ქვეყნის საელჩოებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს დღესვე გადაეგზავნებათ.

„ქართული ოცნების“ სპორტის თემატური ჯგუფის მიმართვას ხელს 130-მდე სპორტსმენი აწერს, მათ შორის არიან — ნონა გაფრინდაშვილი, შოთა ხაბარელი, ზურაბ ზვიადაური და სოსო ჯაჭვლიანი.

ნიუსპრესი

## რა ელოდებათ რუსულ ჯარში ოსებს და აფხაზებს

რუსულ ჯარში შესულ აფხაზებს და ოსებს პოლიტიკური ხელმძღვანელის ბრძანებაზე წინ, სამხედრო მეთაურის ბრძანების დაყენება მოუწევთ — ამის შესახებ „ნიუსპრესს“ ექსპერტმა სოსო ცინცაძემ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსულ საჯარისო ნაწილებში ადგილობრივი მოსახლეობის შესაძლო შესვლის საკითხის შეფასებისას განუცხადა.

„აფხაზები და ოსები უკვე ოფიციალურად გახდებიან რუსი ჯარისკაცები, რომლებიც ვალდებულები იქნებიან სამხედრო მეთაურის ბრძანება შეასრულონ და არა პოლიტიკური ხელმძღვანელობის“ — განაცხადა ცინცაძემ.

მისივე შეფასებით, რუსულ არმიაში ტოტალურად მიიღებენ აფხაზებსა და ოსებს, თუმცა, ისინი რუსეთის მოქალაქეები უნდა იყვნენ.

რაც შეეხება დე-ფაქტო რესპუბლიკების „ეროვნულ არმიას“, ექსპერტის თქმით, აფხაზეთში და ოსეთში იგი კვლავ დარჩება, თუმცა, „მათ არასდროს არავინ არაფერს ეკითხებოდა და არც ახლა დაეკითხება“.

დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთის ე.წ მოქალაქეებს რუსულ ჯარში სამსახურის უფლება მიეცემათ. ამის შესახებ რუსეთის ფედერაციის სახმელეთო ჯარების მთავარსარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ვლადიმირ ჩირკინმა ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმის დე-ფაქტო პრეზიდენტთან ლეონიდ თიბილოვთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. ჩირკინი ცხინვალის რეგიონში 7 და აფხაზეთში 7 რუსული ბაზის საბრძოლო მზადყოფნას, ასევე, იარაღისა და სამხედრო ტექნიკის მდგომარეობას 13 ივლისამდე შეამოწმებს.

ნიუსპრესი

## ებრალიძე არჩევნების წინ ხელისუფლების მხრიდან გართულებებს არ გამორიცხავს

საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტი ალექსანდრე ებრალიძე მომავალი საპარლამენტო არჩევნების წინ, მოქმედი ხელისუფლების მხრიდან ვითარების გართულებას არ გამორიცხავს.

ამის შესახებ ოპოზიციური პარტიებისადმი ალექსანდრე ებრალიძის მიმართვაშია ნათქვამი.

როგორც ებრალიძე აცხადებს, იგი პარტია „თავისუფალი საქართველოს“, „ტრადიციონალისტთა კავშირისა“ და პოლიტიკური მოძრაობა „თეთრების“ საპარლამენტო არჩევნების წინ გაერთიანების პროცესის დაწყებას მიესალმება.

მისი თქმით, საქართველოს მოქალაქეებს, საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატების არჩევამდე მხოლოდ 3 თვე დარჩათ.

„მოქმედი ხელისუფლების მხრიდან უდიდეს სირთულეებს უნდა ველოდოთ, რომლის მიზანია ოპოზიციური ძალების გაერთიანება არ დაუშვას. იმისთვის, რომ მოქმედი ხელისუფლების წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით გამოვიდეთ და გავიმარჯვოთ, თქვენი გამაერთიანებელი კავშირის კარი ღია უნდა იყოს ოპოზიციური მოძრაობის ყველა წევრისთვის“ — მიმართავს ებრალიძე ოპოზიციურ პარტიებს.

მისი თქმით, გამარჯვება მხოლოდ ყველა ოპოზიციური ძალის გაერთიანების შემთხვევაშია შესაძლებელი.

ებრალიძის განცხადებით, აღნიშნული პარტიების წარმომადგენლები პირველები არიან, ვინც ამ მიმართულებით ნაბიჯი გადადგეს.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# რა გარიგება დაიდება ივანიშვილსა და მერაბიშვილს შორის

თეა მარხვაიძე

**კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა ვანო მერაბიშვილის მიმართ ბევრჯერ გამოხატა პატივისცემა. მისი ქება პოლიტიკაში მოსვლის პირველი დღიდანვე დაიწყო.**

ივანიშვილი არც ვანო მერაბიშვილს გაუკრიტიკებია. არც შს მინისტრობის დროს და არც გაპრემიერების შემდეგ. ეს მარტო იმის ბრალი არაა, რომ ივანიშვილმა საპატრულო პოლიციას მანქანები უყიდა და შს სამინისტროს სხვა რამეებიც შეუძინა. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ თავის დროზე შს სამინისტროს მოსასმენი მოწყობილობა სწორედ ივანიშვილმა უყიდა.

მართალია თუ არა ეს, ძნელი სათქმელია. სამაგიეროდ, აშკარა და თვალშისაცემია, რომ ეს 2 პიროვნება ერთმანეთთან თანამშრომლობაზე უარს არ იტყვის. შეიძლება ფარულად თანამშრომლობენ კიდევაც. ზოგიერთი პოლიტიკოსი მიიჩნევს, რომ ისინი შეთანხმებულად მოქმედებენ.

ეს მითქმა-მოთქმა 10 ივლისს „მაესტროს“ ეთერში გაკეთებულმა განცხადებებმაც გაამძაფრა.

– ბიძინა ივანიშვილს, როგორც პოლიტიკოსს, არ ვიცნობ, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა 10 ივლისს საღამოს, ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში, გადაცემა „პოლიტმეტრისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

მისი თქმით, ის ბიძინა ივანიშვილს იცნობს, როგორც ადამიანს, რომელიც წლების განმავლობაში ქველმოქმედებას ეწეოდა. აქვე მერაბიშვილმა აღნიშნა, რომ იმ პერიოდში ხშირად ხვდებოდა და ეხმარებოდა მას ამ ქველმოქმედების განხორციელებაში.

პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ის არ იცნობს ივანიშვილს, როგორც პოლიტიკოსს.

– თუმცა, სამწუხაროდ, კარგად ვიცნობ იმ ადამიანებს, რომლებიც მის ირგვლივ არიან, – დასძინა ვანო მერაბიშვილმა.

ეს არცაა გასაკვირი. ამ ადამიანებთან ერთად მერაბიშვილი კარგა ხანს იყო ერთ პარტიაში. მათ შესახებ ბევრი რამ იცის და ალბათ აქვს მიზეზები, არ მოსწონდეს ისინი.

აშკარაა, რომ მერაბიშვილს ივანიშვილი მოსწონს, მაგრამ ვერ იტანს მის გარემოცვას. იგივე შეიძლება ითქვას ივანიშვილზეც.

ერთ-ერთი ვერსიით, მერაბიშვილი სწორედ ივანიშვილის ფაქტორის გამო ჩამოაცილეს შს მინისტრის სავარძელს. ვიღაცა თვლის, რომ ეს დაქვეითებაა, ამბობენ, რომ სააკაშვილი აღარ ენდობოდა შს მინისტრს. მას მეოცნებეთა ლიდერი თავის ყველა გამოსვლაში აქებდა.

სხვები ფიქრობენ, რომ მერაბიშვილი სწორედ მისი მაღალი რეიტინგის გამო გადაიყვანეს პრემიერად. ვისაც რა უნდა თქვას, მაგრამ ვანოს ძალიან მაღალი რეიტინგი აქვს. ნაციონალებს კი ასეთი ხალხი ბევრი არ ჰყავთ.

პიარტექნოლოგიების სპეციალისტი არჩილ გამზარდია მიიჩნევს, რომ პოლიტიკურ პროცესებში სხვა პათოსი შემოიტანა ვანო მერაბიშვილის გაპრემიერებამ.

– ცოტა ხანში კი, შესაძლოა, გაბათილდეს სააკაშვილი და მთელი აქცენტები გადავიდეს მერაბიშვილ-ივანიშვილის პირად ორთაბრძოლაზე, – მიაჩნია ექსპერტს.

მისი თქმით, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მედიით სისტემატიური გამოჩენა, 2003 წელს, ვარდების რევოლუციამდე არსებულ ვითარებას ემსგავსება.

როგორც „მედიანიუსთან“ საუბარში არჩილ გამზარდიამ განაცხადა, უფრო დეტალური შესწავლა აჩვენებს, რა შედეგებს გამოიღებს ეს ქმედება, მაგრამ საზოგადოებასთან ურთიერთობის სახელისუფლებო ხედვა გადასულია ძალიან მძიმე, მტკიცებით რეჟიმში.

პრეზიდენტის პროპაგანდისტული ქმედებები გათვლილია ძირითადად რეგიონებზე, რადგან „თბილისში ყველაფერი უფრო ნათელია“.

– აჭარის რევოლუციის წინა პერიოდშიც სწორედ ასე ხდებოდა. ასლან აბაშიძის საზოგადოებაში გასვლა იყო ზუსტად მსგავსი. ჩვენ რომ ამოვყაროთ კადრები, შესაძლოა იდენტური კადრები დავინახოთ მოსახლეობასთან ლიდერების შეხვედრებისა. ძალიან ჰგავს ერთმანეთს 2003 წლამდე არსებული და დღევანდელი სიტუაციაც. ეს აქცენტები კარგად დასაფიქრებელია“, – განაცხადა გამზარდიამ და დასძინა, რომ სახელისუფლებო არხების მხრიდან ხდება მხოლოდ შავისა და თეთრის ჩვენება.

„მედიის მხრიდან ხდება აფიშირება იმისა, რომ სადღაც ჩადის პრეზიდენტის ოპონენტი, რასაც მოყვება ხალხში კამათი, შეხლა-შემოხლა. ამით ცდილობენ შექმნან აზრი, რომ ის სხვა ძალა ხალხს არ სურს. ამავდროულად არის გასახსენებელი, როგორი იყო ნაციონალების პირველი ნაბიჯები რეგიონებში. ანალოგიური ხდებოდა 2003



წელს, სადაც ჩადიოდა შევარდნაძე, ასლან აბაშიძე, მამალაძე, ხვდებოდნენ შესანიშნავად, სამაგიეროდ, ნაციონალებს ხვდებოდნენ ძალიან უხეშად, – აღნიშნა გამზარდიამ.

ექსპერტის შეფასებით, ხელისუფლების ქმედებას ორი ფუნქციური დანიშნულება აქვს. ერთი ის, რომ სახელისუფლებო ელექტორატში მყოფი ადამიანები განამტკიცოს არჩევანში და მოიძიოს სხვა მხარდამჭერები; მეორე მხრივ, გამართლებული გახადოს არჩევნების გაყალბებით ხელისუფლებაში მოსვლა და აჩვენოს, რომ ამას თავისი წინაპირობა ჰქონდა და ეს არის ლოგიკური.

გამზარდია ხელისუფლების ქმედებების ნეგატიურ მხარეზე საუბრისას ამბობს, რომ ამან შესაძლოა გამოიწვიოს მობეზრება, როგორც ეს მოხდა 2003 წელს.

– საზოგადოებამ არათუ დაიჯერა, არამედ უფრო მეტი შინაგანი ამბოხი გაუჩნდა. აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტის მიერ დანახული რეალობა და საზოგადოებრივი რეალური მდგომარეობა დიდი ხანია დაშორებულია ერთმანეთს, – განაცხადა „მედიანიუსთან“ საუბარში გამზარდიამ.

მისივე თქმით, ხელისუფლების მთავარი ოპონენტი ბიძინა ივანიშვილი პიარკამპანიის მხრივ პასიური არ არის და მისი საზოგადოებასთან ურთიერთობის ხარისხი საკმაოდ გაიზარდა. პირველ პერიოდში მისი გამოსვლები იყო ძალიან დაბალი ხარისხის, ახლა კი დინამიკა გაიზარდა და თან ძალიან ეფექტურად.

ივანიშვილი რომ მთავარი ოპონენტია, ამის აღიარება თავად ნაციონალებმაც დაიწყეს. აქამდე ამტკიცებდნენ, რომ მას საერთოდ რეიტინგი არ ჰქონდა. ნუგზარ წიკლაური იმედოვნებდა, რომ ივანიშვილი ხმებს საერთოდ ვერ მიიღებდა. ანალოგიურ შეფასებებს აკეთებდა გოკა გაბაშვილიც.

თუმცა ბოლო დროს გაბაშვილმა სხვანაირად დაიწყო ფიქრი. კარგა ხანია მისგან მწვავე შეფასებები არავის გაუგია. ამბობენ, რომ მას პრეზიდენტ სააკაშვილთან მოუხდა უთანხმოება და ამიტომ დუმდა. ამ ინფორმაციას მმართველ გუნდში სისულელე და მონაჭორი უწოდეს.

წინა კვირაში გაბაშვილი ისევ გააქტიურდა. 2 დღის წინ კი მან ძალიან საინტერესო განცხადებები გააკეთა. დეპუტატის თქმით, მათი მთავარი ოპონენტი ქართული ოცნება იქნება. გაბაშვილი ღიად ამბობს, რომ საპარლამენტო არჩევნებში მეოცნებეები მეორე ადგილს დაიკავებენ.

ადრე ნაციონალები იმას ამტკიცებდნენ, რომ საარჩევნო ბარიერსაც ვერ გადალახავდნენ. ზოგიერთი პარტია ახლაც ამ აზრზეა. მაგალითად, ედეპეს ლიდერი ბაჩუკი ქარდავა ამაში ღრმად არის დარწმუნებული.

ლეიბორისტები კი ამტკიცებენ, რომ მეოცნებეები და ნაციონალები თამაშობენ და ხელისუფლების გადაბარება მიდის. ბევრს ეს პროცესები 2003 წელს აგონებს. ალორძინების ლიდერები ხშირად ამბობდნენ, რომ შევარდნაძე თავის მოსწავლეებს აბარებდა ხელისუფლებას, მერე აღმოჩნდა, რომ ისინი მართლები იყვნენ.

რა და როგორ მოხდება წელს, ამას არჩევნების შემდეგ გავიგებთ, საპარლამენტო არჩევნები ჩვენში ოქტომბრის თვეში გაიმართება.

იქამდე ჯერ შორია. ჯერ არც საარჩევნო სიები აქვთ პარტიებს შედგენილი. ამის მიუხედავად, უკვე საუბრობენ კოალიციურ მთავრობაზე. რომელშიც, ამ ვერსიის ავტორების თქმით, აუცილებლად იქნება მერაბიშვილიც.

მათ შესაძლო თანამშრომლობაზე ბევრი ითქვა და დაიწერა. ამაზე მომავალშიც ბევრს ილაპარაკებენ. ქართულ პოლიტიკაში ყველაფერი ხდება და არც მათი თანამშრომლობაა გამორიცხული. თუმცა, ვინ იცის. ფაქტი ისაა, რომ წინ საინტერესო მოვლენები გველოდება.

## ჯონდი ბაღათურია საპარლამენტო არჩევნებში კენჭს საბურთალოს რაიონიდან იყრის



პარტია „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია საპარლამენტო არჩევნებში საბურთალოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად იყრის კენჭს.

ამის შესახებ გადაწყვეტილება „ქართული დასის“ პოლიტიკურმა საბჭომ მიიღო. ამასთანავე, საბჭომ გადაწყვიტა, რომ საპარლამენტო არჩევნებში „ქარული დასი“ მონაწილეობას მიიღებს და საარჩევნო სუბიექტად დარეგისტრირდება ახალი აბრევიატურით – „ჯონდი ბაღათურია-ქართული დასი“.

როგორც „ქართულ დასში“ აცხადებენ, პარტიას უკვე ჩამოყალიბებული აქვს პოზიცია აჭარაში, სამეგრელოში და იმერეთის საარჩევნო ოლქებში მაჟორიტარობის კანდიდატებთან დაკავშირებით, თუმცა, მათი ვინაობა ჯერ არ სახელდება.

გარდა ამისა, ივლისის ბოლოსთვის ცნობილი გახდება „ქართული დასის“ მაჟორიტარი კანდიდატები სამცხე– ჯავახეთში, შიდა ქართლსა და კახეთში.

„ველოდებით შეთანხმებას მოკავშირე ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებთან, რათა ერთიანი ოპოზიციური მაჟორიტარების წარდგენა მოხდეს“ – აღნიშნულია პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილებაში.

„ქართული დასის“ პოლიტსაბჭოს სხდომა დღეს გაიმართა, სადაც პარტიის სამომავლო გეგმები განიხილეს.

**ნიუსპრესი**

## გიორგი თარგამაძე მეფუტკრეებს ესტუმრა



„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი გიორგი თარგამაძე გუშინ კასპის რაიონში დემეტრაშვილების ოჯახს ესტუმრა და მათ პრობლემებს ადგილზე გაეცნო.

როგორც „ნიუსპრესს“ „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობიდან“ აცნობეს, დემეტრაშვილები ქართულ თაფლს აწარმოებენ, თუმცა, ოჯახი პროდუქტის რეალიზაციას ვერ ახდენს.

მათი ინფორმაციით, მეფუტკრეებს ქართული თაფლი ექსპორტზე ვერ გააქვთ, რადგან საქართველოში თაფლის ხარისხის კონტროლი არ ხდება, რადგან შესაბამისი ლაბორატორია არ არსებობს, რომელიც პროტუქტის ხარისხის სერტიფიკატს მიანიჭებს.

„იმისთვის, რომ აღნიშნული პრობლემა აღმოიფხვრას, აუცილებელია, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ორი ლაბორატორია მაინც ფუნქციონირებდეს, რომელიც შესაბამისი სახის სერტიფიკატს გასცემს, რაც ქართული თაფლის საერთაშორისო ბაზარზე გატანას განაპირობებს“ -განაცხადა გიორგი თარგამაძემ.

„ქრისტიან-დემოკრატები“ ხელისუფლებისგან ლაბორატორიების გახსნას მოითხოვენ.

**ნიუსპრესი**

# აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა ქართველი ბერები დააკავეს

თეა მარხვაიძე

**მაისის თვეში დავით გარეჯის გარშემო ვითარება დაიძაბა. ხელისუფლებამ კარგა ხანი დაგვიმალა, რომ აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა დავით გარეჯის ტერიტორია ფაქტიურად წაგვართვეს. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, მათ წინ წამოიწიეს და ქართველ მომლოცველებს პრობლემები შეუქმნეს.**



ამ ინფორმაციის გავრცელებას დიდი ხმაური მოჰყვა. ოპოზიციამ ეს ყველაფერი ხელისუფლებას დააბრალა. თუმცა, არც თავად გამოუდიათ თავი ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

დავით გარეჯი სადავო მონაკვეთზე მდებარეობს. ყველამ კარგად ვიცით, რომ საქართველოს, თურქეთის გარდა, სხვა მეზობლებთან საზღვრები დადგენილი არა აქვს. ამ მხრივ გამონაკლისი არც აზერბაიჯანია. მათთანაც ბლომად გვაქვს სადავო მონაკვეთები. სწორედ სადავო მონაკვეთში მდებარეობს დავით გარეჯი. აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა რამდენჯერმე გამოიწიეს წინ. ეს ფაქტი თავის დროზე ოპოზიციამ დააიგნორა. ახლა კი დიდი ხმაური ატეხეს.

ხელისუფლებამ დავით გარეჯთან დაკავშირებით სხვადასხვანაირი პოზიციები დააფიქსირა. ამ მხრივ გამორჩეულია ნინო კალანდაძის განცხადება.

დავით გარეჯის პრობლემასთან დაკავშირებით ბევრი აქცია გაიმართა. ერთ მშვენიერ დღეს კი ხელისუფლებამ გვამცნო, რომ ეს პრობლემა მოგვარდა. გვითხრეს ისიც, რომ აზერბაიჯანელ მესაზღვრეებს უკან არ დაუხევიათ. მაგრამ მომლოცველებს და ტურისტებს მონასტრის ტერიტორიაზე შესვლას აღარ უშლიდნენ. სასულიერო პირებს კი არც მანამდე უქმნიდნენ პრობლემას.

გუშინ კი მათ ქართველ სასულიერო პირებსაც შეუქმნეს პრობლემა.

დავით გარეჯის მღვდელ-მონაზონი მამა კირიონი, მამა დავითი და გაზეთ „24 საათის“ ფოტოკორესპონდენტი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე ბერთუბნის მონასტრის მოსალოცად მიდიოდნენ. ისინი აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა დააკავეს და 8 საათის განმავლობაში კითხავდნენ.

მათ საზღვარი წითელი ხიდის გავლით გადაკვეთეს, მაგრამ აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა დააკავეს და ჯერ ჯანდარი შემდეგ კი ვახტანგისის (ყოფილი ულიანოვკა) სასაზღვრო პუნქტში გადაიყვანეს.

ჟურნალისტებთან საუბარში მამა კირიონმა განაცხადა, რომ მათ ყველა კანონიერი პროცედურა გაიარეს და ისე გადაკვეთეს საზღვარი, მიუხედავად ამისა, მესაზღვრეები ქვეყნის ტერიტორიაზე არ უშვებდნენ.

– მივდიოდით ბერთუბნის ტაძარში. ჩვეულებრივ გავიარეთ სასაზღვრო პუნქტში კონტროლი. მერე პატარა შიდა ადმინისტრაციულ სასაზღვრო ბაზაში მივედით, იქ გაგვაჩერეს და გვეუბნებიან, ახლა უფროსობას დავურეკავთ და ნებართვას ავიღებთო. საათნახევარი გვალოდინეს. მერე გვითხრეს, ახლა მონასტერში წავალთო, გზაში კი შეცვალეს გეგმა და ჯანდარის სასაზღვრო პუნქტისკენ წაგვიყვანეს, – განაცხადა მამა კირიონმა.

მისივე თქმით, ის აპროტესტებდა ჯანდარის პუნქტში მისვლას იმიტომ, რომ არ ფუნქციონირებს.

– მერე პოლკოვნიკი მოვიდა. საათნახევარი იმას ველოდეთ. ამასობაში დაღამდა და დროში ველარ ვეტეოდით. პოლიციაც მოვიდა, მათთან საკმაოდ დაძაბული საუბარი გვქონდა. ჩვენი კატეგორიული მოთხოვნა იყო, რომ იქიდან არ გადავსულიყავით იმიტომ, რომ იქ არ არის სასაზღვრო პუნქტი. შესაბამისად, ისინი ვერ ჩაგვირტყამდნენ გამსვლელ ბეჭდებს და თუ ეს არ გვექნებოდა არალეგალები გამოვიდოდით,“ – განაცხადა გამოცემა „ტრიბუნასთან“ საუბარში მამა კირიონმა.

მამა კირიონის განცხადებით, ამის შემდეგ ისინი ვახტანგისის სასაღვრო პუნქტში წაიყვანეს და იქაც რამდენიმე საათი დააყოვნეს.

საქმეში მოგვიანებით ქართველი მესაზღვრეები ჩაერთვნენ და დაკავებულები გაათავისუფლეს.

იმედია ასეთი ინციდენტები აქ აღარ მოხდება და ჩვენი ხელისუფლება ამ პრობლემას მოაგვარებს. რაც ადვილი საქმე სულაც არ არის. საზღვრის დადგენა საკმაოდ რთული პროცესია. საქართველოს კი ბევრი სადავო მონაკვეთები აქვს მეზობლებთან.

გასულ წელს გავრცელდა ინფორმაცია, რომ აზერბაიჯანი დათანხმდა დავით გარეჯის სადავო მონაკვეთი სხვა ტერიტორიაში გაეცვალა. ეს სხვა ტერიტორია სოფელი ერისიმედი უნდა ყოფილიყო. ეს სოფელი სიღნაღის რაიონში მდებარეობს. იქ ძირითადად აჭარიდან ჩამოსახლებული ეკომიგრანტები ცხოვრობენ.

ამ სოფლის მოსახლეობა უკვე კარგა ხანია, რაც საგანგებო რეჟიმში ცხოვრობს. სოფელში შესასვლელად სპეციალური საშვია საჭირო. ამ საშვს მესაზღვრეები სოფლის შესასვლელში იძლევიან.

მოგვიანებით აზერბაიჯანელებმა ამ შეთანხმებაზე უარი თქვეს. აზერბაიჯანელი ისტორიკოსები კი აქტიურად ამუშავებენ ვერსიას, რომ დავით გარეჯი ყოველთვის მათი იყო.



# თემურ შაშიაშვილი: „ბაჩო ახალაია მერაბიშვილს დაიჭერს!“

## ეს ხელისუფლება სექტაა

შორენა კოწოწაშვილი

**თემურ შაშიაშვილი დარწმუნებულია, რომ ამერიკა და რუსეთი ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით შეთანხმდებიან.**

**რატომ გადაიყვანა სააკაშვილმა ახალაია შს მინისტრად და რა გარიგება შედგა რუსეთთან? — ამ საკითხებზე პოლიტიკური მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.**

***— პრემიერის პოსტზე მერაბიშვილის დანიშვნა სააკაშვილის სწორი სვლაა?***

— ერთი რამ მინდა გითხრათ: თუ მომიძებნით ერთ ქართველს, რომელიც მხარს დაუჭერს იმ პოლიტიკურ პარტიას, რომლის ერთ-ერთი ლიდერი იტყვის — მე პატივს არ ვცემ ქართულ ტრადიციებს, ვიტყვი, რომ შეშლილა საქართველო. არა მგონია, ამერიკელმა მხარი დაუჭიროს პრეზიდენტად, დეპუტატად პიროვნებას, რომელიც იტყვის, ამერიკის ტრადიციებს პატივს არ ვცემო. გამორიცხულია გერმანიაში და საერთოდ, ევროპაში ვინმემ თქვას, ჩემი ქვეყნის ტრადიციებს არ ვცნობ, პატივს არ ვცემ და ის აირჩიონ. საქართველოს პრემიერ- მინისტრი გახდა კაცი, რომელმაც 2002 წელს თქვა (რასაც გიკითხავთ ახლა, მე თვითონ მაშინებს): „ჩემი მეგობრები არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ჩემნაირები არიან, ანუ ისინი, რომლებიც არ მისდევენ ტრადიციებს. საერთოდ, არ მიყვარს ტრადიციები, მით უმეტეს, საქართველოში არსებული ტრადიციები“. ეს კაცი, ვანო მერაბიშვილი, დღეს ქვეყნის პრემიერ-მინისტრია. თქვენ თუ მეტყვით ერთ კაცს საქართველოში, რომელიც ხმას მისცემს აი, ამის მთქმელს ან ხმას მიცემს იმ კაცს, რომელიც ამბობს, „მე არ ვარ ეკლესიური, ჩემი წინაპრები არ იყვნენ მართლმადიდებლები, ჩემი წინაპრები იყვნენ კათოლიკები, მაგრამ მე არც კათოლიკურ ეკლესიას არ ვცემ პატივს“. მაჩვენეთ საქართველოში კაცი, ვისაც შეუძლია ასეთ პიროვნებას არჩევნებში მხარი დაუჭიროს! ამერიკა ყველაზე ძლიერი რეიგანის დროს იყო. ამერიკას არამორწმენე პრეზიდენტი არ ყოლია. საქართველოს პრემიერ-მინისტრი წერს, რომ მე არ ვიცი ეკლესია, არ ვცნობ ეკლესიას და მით უფრო მართლმადიდებელ ეკლესიას და მხოლოდ ამერიკულ ტრადიციებს ვცნობო. გახსოვთ, ქუთაისს ჩემს დროს „ვაშინგტონს“ ეძახდნენ ჩემი ამერიკისადმი დამოკიდებულების გამო. ამერიკელი კრიტიკულად უყურებს ამერიკულ ტრადიციებს, მოსწონთ ქართული და უნდათ, რომ ეს ნათესაური, მეგობრული, მეზობლური — ადამიანური ურთიერთობები, რომლებიც ჩვენთან არის, გადაიღოს. საქართველოში პრემიერად დაინიშნა პიროვნება, რომელიც იძახის, მე არ ვცნობ, ქართულ ტრადიციებს, არაადამიანურია ტრადიციები ევროპაში, საქართველოში და მხოლოდ და მხოლოდ ადამიანურია ამერიკაშიო.

***— თქვენი აზრით, რატომ მაინცდამაინც მერაბიშვილი დანიშნა პრემიერ-მინისტრის პოსტზე სააკაშვილმა და რატომ ახლა და არა თუნდაც ერთი თვის წინ?***

— მე გითხარით, ეს ხელისუფლება სექტაა (გამიხარდებოდა, თუ მეტყოდით, ასეთ ადამიანს ხმას არ მისცემენ ქართველებიო). ეს პარტია რომ გაიმარჯვებს, ხომ ყველამ უნდა იცოდეს, რომ არჩევნების შედეგები გააყალბეს. მარტო ვანო მერაბიშვილი ხომ არ გგონიათ ასეთი? მთელი პარტიაა სექტა სააკაშვილის ხელმძღვანელობით. სააკაშვილი პრეზიდენტად გახდომამდე, მგონი, ეკლესიაში ნამყოფიც არ იყო. ის დავით აღმაშენებლის საფლავზე, გელათში, სულ 10 წლის წინ მივიდა. მანამდე ნამყოფი არ იყო. ბოკერია, გგონიათ, ქართული ტრადიციების მატარებელი თუ რომელიმე სხვა? გული მწყდება, რომ ეს ადამიანები დღეს ხელისუფლების სათავეში არიან. ამერიკელებს ვეკითხები: რატომ გძულთ ასე საქართველო. შეიძლება კაცთმოძულეები მოიყვანოთ ხელისუფლების სათავეში?! რომ ამბობენ, ამერიკული განათლება აქვთ ამათ და დემოკრატი ლიდერები არიანო, გეკითხებით, ვანო მერაბიშვილს, რა აქვს ამერიკული — ქცევა, ჩვევა თუ განათლება? ჩვენს დროს იტყოდნენ, თავის ქაჯობას რაღაცით ფარავსო. ზოგი ამას სიგარეტით ფარავდა და ზოგი — ჯინსის ჩაცმით. ჯინს თუ ჩაიცვამდა და სიგარეტს თუ გაირჭობდა პირში, გამოსული იყო. აი, ეს არის ვანო მერაბიშვილის. ისიც ცდილობს რაღაცები გადაფაროს. მე ვანო მერაბიშვილის მეგობარიც რომ ვიყო, ვიტყოდი, ჩემო ძმაო, წადი რა პოლიტიკიდან. შენ ამბობ, რომ ევროპა არის არაადამიანური ტრადიციებისო. შეიძლება საქართველოში ასეთი ვინმე იყო, მაგრამ მე შეშლილი მგონია ყველა, ვინც იტყვის, რომ ევროპას არაადამიანური ტრადიციები აქვს.

***— შეიძლება ასეთი ადამიანი სადღაც მართლა იყოს...***

— მაგრამ ის არ შეიძლება იყოს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ან მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირი. ვიმეორებ, აქ მარტო მერაბიშვილზე არ არის ლაპარაკი, ყველა ასეთია. ოპოზიციაშიც არის ძალიან ბევრი, რომელთათვისაც ქართული ტრადიციები არაფერია და ფეხქვეშ ედებიან, ემონებიან ამერიკულს. დღეს საქართველოში ორი იდეოლოგიაა დაჯახებული: ერთი, რომელიც ამბობს, საქართველო უნდა მიდიოდეს ქართული ბუნებიდან გამომდინარე და მეორე, რომელიც ამბობს, არა, მენტალიტეტი უნდა შევუცვალოთო, ანუ არის ერთი ჯგუფი, რომელიც ამბობს, რომ საქართველო უნდა იმართებოდეს ერის ბუნებიდან გამომდინარე. ეს არის ილიასეული თქმა. მეორე ჯგუფი ამბობს, არა მენტალიტეტი უნდა შევიცვალოთ. ამ ორ ჯგუფს შორის დაპირისპირებაა. ვინ არის გამარჯვებული ამ ეტაპისთვის? გამარჯვებულია სექტა, რომელიც ამბობს, რომ საქართველო არ უნდა იმართებოდეს ერის ბუნებიდან გამომდინარე; რომ საქართველოში მენტალიტეტია შესაცვლელი. ვინ ამბობს ამას? — საქართველოს პრეზიდენტი.

***— რა პრინციპით გადაანაწილა ახალაია შს მინისტრად და ვანო პრემიერად?***

— სააკაშვილის საკადრო პოლიტიკას ერთი რამ უდევს საფუძვლად — კომპრომეტირებული ადამიანი. მას წესიერი ადამიანი არ აწყობს. კომპრომეტირებული ადამიანი თუ ცოტა გვერდზე გაიწევს, მაშინვე დააპატიმრებს და ამის საფუძველი ექნება. ვანო მერაბიშვილს სააკაშვილი როცა უნდა, მაშინ დაიჭერს. მერაბიშვილს შეიძლება ბევრი ვინმე ვერ დაეჭირა, მაგრამ ბაჩო ახალაია მერაბიშვილს დაიჭერს. დააკვირდით, რამდენი მკვლელია ხელისუფლებაში. ჯერ ერთი, ნაციონალური მოძრაობა სექტაა, კოლექტიური მკვლელია იმიტომ, რომ საქართველოს მოსახლეობის 50%-ზე მეტს არ აქვს არსებობისთვის საჭირო კალორიების ნახევრის მიღების საშუალება. ეს არის გენოციდი. თუ შენი პარტია გენოციდს უწყობს ხელს, შენ უკვე მკვლელი ხარ. შენ პიროვნულად ერთ კაცს კი არ კლავ, ქვეყანას კლავ და ეს უფრო უარესია. მაგრამ ესენი პიროვნულადაც მკვლელები არიან. ვანო მერაბიშვილის ოჯახი გირგვლიანის ოჯახთანაა დაკავშირებული. ამას წინათ წავიკითხე იური ვაზაგაშვილის წერილი, რომ მისი შვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილებიო, მერაბიშვილმა დააწინაურა. გორში ამ ბოლო დროს ვინც ოპოზიციას წინააღმდეგობა გაუწია, ისინი დააწინაურეს. სააკაშვილი ასე აქცევს მონად — ჯერ კომპრომეტირებულს გახდის, მერე დააწინაურებს და რასაც უნდა, იმას აკეთებინებს. მაგრამ სააკაშვილზეც აქვთ ამათ სერიოზული კომპრომატები. ვანო მერაბიშვილი საერთაშორისო მიწის მაფიის წარმომადგენელია საქართველოში. საქართველოს მიწები კატასტროფულ მდგომარეობაშია. მიწებთან დაკავშირებით კანონი უფრო ლიბერალური გახდა, რომ უცხოელებმა უფრო იოლად მიიღონ საკუთრებაში ქართული მიწები. აი, ამ საერთაშორისო მაფიის წევრია მერაბიშვილი, რომლითაც მცირემიწიანი საქართველოს მიწები იოლად ხელში ჩასაგდები გახდა. მერაბიშვილი იფარავს არაბულ ბიზნესს საქართველოში „რაკიინს“ და ა.შ. არაბებს თბილისის ირგვლივ ასობით ჰექტარი მიწები აქვთ ნაყიდი. რას ვითმენთ, ხალხო. შევარდნაძეს ერთი ჰესის გაყიდვის ეშინოდა, მთელი საქართველო ფეხზე დადგებაო.

***— პოლიტიკოსთა ნაწილი ფიქრობს, რომ მერაბიშვილი პრემიერად დანიშვნით უფრო ჩამოაქვეითეს, ვიდრე დააწინაურეს. ეთანხმებით მათ?***

— ვინც ფიქრობს, რომ მერაბიშვილი გაპრემიერებით გააფუჭეს, ტყუილია. მერაბიშვილს შეუქმნეს ყალბი იმიჯი, რომ ის არის დიდი საქმეები გამკეთებელი. მერაბიშვილის შვილს სააკაშვილის სახელის ჰქვია — მიშა. მონები არიან, აბა, რა.

***— ითქვა ისიც, რომ მერაბიშვილის პრემიერის პოსტზე დანიშვნით გარკვეულწილად რუსული ინტერესებიც გატარდა...***

— ეს არის სერიოზული რამ და მე ამას ვადასტურებ. ამ დღეებში ვაპირებ რუსეთში, ვიცი, ტრიბუნას არ მომცემენ. სამი რამ მაქვს სათხოვნი. პირველი — უკრაინამ, ბელორუსიამ, რუსეთმა, თურქეთმა, საბერძნეთმა, ესპანეთმა მოგვცეს იმ საქართველოს მოქალაქეების სია, რომლებმაც გადალახეს ამ ქვეყნების საზღვრები და ამ ქვეყნებიდან არ გასულან. მილიონ-ნახევარზე მეტი საქართველოს მოქალაქე ცხოვრობს ამ ქვეყნებში. ეს ის რაოდენობაა ამომრჩევლისა, რომელიც აქ არჩევნებს აგებინებს. ამ ქვეყნების ხელისუფალთ მივმართავთ და ვეტყვით, თუ მართლა არა ხართ სააკაშვილის ხელისუფლების მომხრე, ეს სიები მოგვეცით. რუსეთს, პირველ რიგში, მივმართავთ და იმასაც ვეტყვით, გვითხარით, როგორ ჩაიგდეთ ხელში ქართული ენერგეტიკა. როგორ მოხდა, რომ კაგებეს გენერალი გენერალოვი, ყველაფრის მფლობელი გახდა საქართველოში. გენერალოვის „ჯიბის ბიჭი“ იყო ნაყოფია, რომლის შვილსაც დღეს აქ ნახევარი მილიონი აქვს თვეში ხელფასი. მთელი ბოლნისის მოსახლეობა არ იღებს ამდენს თვეში. მაღალჩინოსნების და დეპუტატების შვილები და ოჯახის წევრები ამ გენერალოვის ბიზნესში მუშაობენ და 20-30 000 დოლარები აქვთ ხელფასი. უფრო მეტს გეტყვით: თბილისის მერის არჩევნების წინ როგორ მოხდა, რომ სომხეთში სამი მინისტრი შეიკრიბა — რუსეთის პოლიციის მინისტრი, სომხეთის და საქართველოს შს მინისტრი. როდესაც ირაკლი ალასანია მეუბნებოდა, ამერიკელებს უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი აქვთ და სააკაშვილის ხელისუფლების დატოვება უკვე აღარ შეიძლება და თბილისი მერის პოსტს ჩვენ მივიღებთო, მე ვეჭვობდი ამაზე და დაადასტურდა. ამ სამი მინისტრის შეხვედრის შემდგომ ყველაფერი შეიცვალა, რუსეთმა მისცა თანხმობა და უგულავა აირჩიეს. ეს ყველაფერი ვანო მერაბიშვილმა გადაწყვიტა. რუსეთს და პუტინს, ყოჩაღ, რაც ვერ შეძლო ვერც ერთ ეპოქაში, ვერც ერთი ხელისუფლება იმის მფლობელი გახდა რუსეთი საქართველოში. დღეს საქართველო არის კონგლომერატი, კორპორაცია, სადაც 50% არის ამერიკელების, 50% — რუსების. ამერიკელებისაა პოლიტიკა, რუსების — ეკონომიკა.

# სტამბოლში ქართული ბიბლიოთეკა იხსნება

გულიკო ბალაძე



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა თურქეთის ქალაქ სტამბოლში ქართული ბიბლიოთეკის გასახსნელად 1500-მდე წიგნს გააგზავნის.

ამის შესახებ გუშინ ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ პრაიმ-ტაიმის პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ბიბლიოთეკის გახსნას უზრუნველყოფს თურქეთში მოღვაწე ქართველი გიორგი ირემაძე, რომელიც ამჟამად თბილისში იმყოფება.

პრესკონფერენციაზე გიორგი ირემაძემ ამ ინიციატივის ავტორებს მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ სტამბოლში ქართული ბიბლიოთეკის გახსნა მისი და თურქეთში მოღვაწე ქართველების დიდი ხნის ოცნება იყო.

გიორგი კეკელიძის განცხადებით, ამ პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა სწორედ გიორგი ირემაძის საშუალებით, რადგან ბიბლიოთეკას სწორედ ის უზრუნველყოფს ფართით. ფართის პოვნა კი უცხოეთის ქვეყნებში ადვილი არ არის.

— ჩვენ მივაღწიეთ შეთანხმებას, რომ სტამბოლში გაიხსნას ქართული ბიბლიოთეკა. ქართული ბიბლიოთეკის გახსნა შესაძლებელი გახდა გიორგი ირემაძის ხელშეწყობით. პატარა ბიბლიოთეკა იქნება. რაღაც ნაწილისთვის ქართული მშობლიურია და ბიბლიოთეკის გახსნა საშუალებას მისცემს მათ შეუნარჩუნდეთ ქართულ ენასთან კავშირი. ეს არ უნდა იყოს ერთჯერადი აქტი. ჩვენ „ვეფხისტყაოსნის“ თურქულ ენაზე თარგმნასაც ვგეგმავთ. ეს იქნება მესამე გამოცემა, — განაცხადა გიორგი კეკელიძემ.

როგორც გიორგი ირემაძემ განაცხადა, ის 30 წელია თურქეთის ქალაქ სტამბოლში ქართული კულტურის ცენტრს ხელმძღვანელობს და ამ შეთავაზების დიდად მადლიერია.

— ასეთი რეალური შემოთავაზება დიდი ხანია არ ყოფილა. ძალიან რეალური შემოთავაზება იყო. ბიბლიოთეკის გახსნა იქაური მოღვაწე ქართველებისთვის დიდი ხნის ოცნება გახლდათ. „ვეფხისტყაოსნის“ თურქულ ენაზე თარგმნა კი უსერიოზულეს რეკლამას გაუკეთებს ქართულ კულტურას არა მხოლოდ ქართველებში, არამედ მთელ თურქეთში, — განაცხადა გიორგი ირემაძემ.

გიორგი ირმაძე აღნიშნავს, რომ სტამბოლში ქართული კულტურის კერა 30 წელია არსებობს.

— მე ქართული ხელოვნების სახლის დამფუძნებელი ვარ და თურქეთში არსებული კულტურული საზოგადოებების კავშირი მაქვს დაარსებული. ამ მისიას 30 წელია ვემსახურები, — ამბობს გიორგი ირემაძე

გიორგი ირემაძის თქმით, ახლა ამ საკითხის ოფიციალური მხარეა მოსაგვარებელი, რადგან მისი სურვილია, რომ წიგნების გადატანა საზღვარზე ლეგალურად მოხდეს. ამას კი თურქეთისა და საქართველოს მთავრობების ნებართვა და შეთანხმება სჭირდება.

სტამბოლში ბიბლიოთეკის გახსნა სექტემბრისთვის იქნება შესაძლებელი.

# სოფელ კარალეთში მომხდარი ჩხუბის დროს ოთხი ახალგაზრდა დაჭრეს

გორის რაიონის სოფელ კარალეთში მომხდარი ჩხუბის დროს ოთხი ახალგაზრდა დაჭრეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ კარალეთის მცხოვრებლებმა განუცხადეს, დანაშაულში ეჭვმიტანილი შოთა გოგიაშვილი შემთხვევის ადგილიდან გაუჩინარდა, თუმცა, მოგვიანებით, ცნობილი გახდა, რომ სამართალდამცავებმა ის უკვე დააკავეს.

დაჭრილია დაახლოებით 18-19 წლის ოთხი ახალგაზრდა. უთანხმოების მიზეზად ურთიერთშელაპარაკება სახელდება. გავრცელებული ინფორმაციით, შოთა გოგიაშვილმა ოთხივე მათგანს, სავარაუდოდ, ნაკვეთი ჭრილობები დანით მიაყენა. ახალგაზრდები გორის საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. მათ სიცოცხლეს საფრთხეს არ ემუქრება.

**ინტერპრესნიუსი**

# ჩუღურეთის რაიონში რეაბილიტირებული გზა ჩაინგრა

გუშინ თბილისში, ჩუბინაშვილის ქუჩაზე, ვ. სარაჯიშვილის სახელობის მუსიკალური სემინარიის წინ საავტომობილო გზა ჩაინგრა.

გზის ჩავარდნის მიზეზი დასუფთავების სამსახურის სატვირთო მანქანა გახდა, რომლის სიმძიმესაც ამორტიზებულმა ჭამ ვერ გაუძლო. ღრმული დაახლოებით 2 მეტრის სიღრმისაა.

გზის ამ მონაკვეთზე ცოტა ხნის წინათ დედაქალაქის მერიამ გზის მხოლოდ ზედაპირი შეაკეთა.

ცნობისთვის: ჩუღურეთის რაიონში მდებარე ჩუბინაშვილის ქუჩა, საცხოვრებელი სახლების ამორტიზებულობის გამო, 2002 წლის 25 აპრილს მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შემდეგ მოსახლეობამ გადაკეტა. ქუჩაზე 9 წლის განმავლობაში ტრანსპორტის მოძრაობა შეზღუდული იყო, შარშან კი მერიის გადაწყვეტილებით, მოსახლეობის წინააღმდეგობის მიუხედავად, გზაზე მოძრაობა აღდგა.

**მედიანიუსი**

## ნონა გაფრინდაშვილი: კარგად არ არის იმ ქვეყნის საქმე, რომელშიც სპორტსმენი იძულებული ხდება, პოლიტიკაში ჩაერთოს“



„სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარის, საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ სპორტის თემატური ჯგუფის წევრის ნონა გაფრინდაშვილის შეფასებით, ქვეყანას, რომელშიც სპორტსმენი იძულებული ხდება პოლიტიკაში ჩაერთოს, პრობლემები აქვს.

„პოლიტიკაში ამდენი მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონის წასვლა ნიშნავს, რომ ამ ქვეყნის საქმე კარგად არ არის. ის სპორტული სამყარო, რომელშიც ვცხოვრობდი, ყველაფერს მირჩევნია და ასეა ყველა სპორტსმენი, მაგრამ არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, პოლიტიკაში ჩართვა გვიწევს“ – აღნიშნა გაფრინდაშვილმა.

მისივე თქმით, არ შეიძლება ადამიანს საკუთარი აზრის დაფიქსირების გამო ხელისუფლება მტრად მიიჩნევდეს.

„სპორტსმენი უნდა იყოს თავისი ქვეყნის სამსახურში და არა რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის. ჩვენ გვინდა, რომ ამ ქვეყანაში სპორტი თავისუფალი იყოს“ – განაცხადა გაფრინდაშვილმა.

საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ სპორტის თემატური ჯგუფი საერთაშორისო საზოგადოებასა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებს მიმართვას უგზავნის და საქართველოს ხელისუფლების მხრიდან სპორტსმენებზე ზეწოლისა და რეპრესიების ფაქტებზე სათანადო რეაგირებას სთხოვს.

**ნიუსპრესი**

## სახალხო დამცველი ჟურნალისტებს შორის დაპირისპირებას გამოეხმაურა



სახალხო დამცველის გიორგი ტუღუშის განცხადებით, ბოლო ორი კვირის განმავლობაში საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელდა არაერთი ვიდეო ჩანაწერი, რომელზეც ასახულია ნაწილ ჟურნალისტთა მიერ სამუშაო პროცესში სხვა ჟურნალისტებისადმი დაბრკოლებების შექმნა და უპატივცემულო და არაკოლეგიური დამოკიდებულების გამოვლენა.

„უდავოა, რომ ნებისმიერი საინფორმაციო საშუალების წარმომადგენელს და ჟურნალისტს, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, აქვს უფლება თავისუფლად და ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, მოიპოვოს მისთვის საჭირო ინფორმაცია. თუმცა, აღნიშნული არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას. ამავდროულად აუცილებლად მიმაჩნია ინფორმაციის მოპოვებისას ჟურნალისტებმა დაიცვან ეთიკის ნორმები და პროფესიული სტანდარტები. ჯეროვანი სამართლიანობისა და პატივისცემის დაცვით მოეპყრონ ყველა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს. მით უფრო მიუღებელად ვთვლი სხვა საინფორმაციო სააგენტოებისა თუ მედია საშუალების წამომადგენელთათვის შეურაცხყოფის მიყენებას და მათთვის პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დაბრკოლებების შექმნას“, – აცხადებს სახაკხო დამცველი და მოუწოდებს ყველა მედიასაშუალებას, მათ წარმომადგენლებსა და მსგავსი საქმიანობით დაკავებულ ყველა პირს, საქმიანობისას მკაცრად დაიცვან პროფესიული სტანდარტები და ეთიკის ნორმები, თავი შეიკავონ ისეთი ქმედებებისგან, რომელიც შეურაცხმყოფელია სხვა კოლეგებისადმი, პროვოცირებას უკეთებს კონფლიქტს და ქმნის დაპირისპირების საფრთხეს.

**მედიანიუსი**

## რუსეთმა საქართველოსთან დაკავშირებით ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციას მხარი დაუჭირა

რუსეთის სახელმწიფო სათათბირო დელეგაციამ მონაკოში ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ საქართველოს შესახებ მიღებული რეზოლუციის კენჭისყრისას პოზიციის დაფიქსირებისაგან თავი შეიკავა.

როგორც ცნობილია, დოკუმენტში აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი ოკუპირებულ ტერიტორიებად არის მოხსენიებული, თუმცა ამის მიუხედავად, რუსეთმა დოკუმენტის დამტკიცების წინააღმდეგ ხმა მაინც არ მისცა.

სააგენტო „რეგნუმთან“ საუბარში რუსეთის სათათბირო დუმის დელეგაციის ხელმძღვანელმა, „ედინაია როსიას“ წევრმა ნიკოლაი კოვალევმა ეს გარემოება იმით ახსნა, რომ დოკუმენტში „გონივრული რაღაცებიც“ არის ჩადებული.

რუსი დეპუტატის განცხადებით, „მთელი სესიის განმავლობაში ეუთო ტენდენციური იყო“.

„მე მომეჩვენა, რომ ბევრ შემთხვევაში პოზიცია უბრალოდ ანტირუსული იყო. ეს ეხება საქართველოს შესახებ რეზოლუციასაც. რუსეთის დელეგაციამ ამ რეზოლუციას მხარი არ დაუჭირა, თუმცა სამწუხაროდ, საპარლამენტო ასამბლეამ რუსეთის პოზიციის წინააღმდეგ ხმა კონსოლიდირებულად მისცა“, – განაცხადა მან.

ჟურნალისტის კითხვაზე, რატომ არ მისცა რუსეთმა ხმა ამ დოკუმენტის წინააღმდეგ, კოვალევმა აღნიშნა, რომ რეზოლუციაში გონივრული რაღაცებიც წერია, რომელთა გაპროტესტება მიზანშეუწონელია.

„ჩვენი პოზიციაა, რომ წინააღმდეგობა აბსურდამდე არ დავიდეს“, – განაცხადა მან.

**მედიანიუსი**

# ბიძინა ივანიშვილი: პოლიტიკაში შემთხვევით მოვედი“

## რას გვირჩევს ევროკავშირი

ნათია ხურცილავა

**ევროკავშირი საქართველოს ხელისუფლებას კვლავ ახსენებს, რომ საპარლამენტო არჩევნები, რომელიც ოქტომბერში ჩატარდება, თავისუფალი უნდა იყოს და სამართლიან გარემოში უნდა იქნას ჩატარებული.**

**საპარლამენტო არჩევნები არაერთმა ევროპელმა თუ ამერიკელმა მაღალი რანგის დიპლომატმა საქართველოს სახელმწიფოს გამოწვევად შეაფასა.**

დემოკრატიული არჩევნები – სწორედ ეს არის მთავარი ტესტი, რომელიც ხელისუფლებამ უნდა ჩააბაროს საზოგადოებასთან ერთად.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის წარმომადგენელები საქართველოში პერიოდულად ჩამოდიან და ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებისგან წინასაარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით ინფორმაციას იღებენ.

– ოქტომბრის არჩევნები უნდა იყოს თავისუფალი, სამართლიანი და თავიდან უნდა ავიცილოთ პოლარიზებული პოლიტიკა, – ამის შესახებ გაფართოებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარმა, შტეფან ფულემ საერთაშორისო კონფერენცია ,,საქართველოს ევროპული გზა – ევროკავშირი და მისი ევროპელი მეზობლები“ სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

როგორც ევროკომისარმა აღნიშნა, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები გამოწვევაა როგორც ხელისუფლებისთვის, ისე ოპოზიციისთვის.

– რაც შეეხება საქართველოს ოქტომბრის არჩევნებს, იქნება ძალიან მნიშვნელოვანი. არჩევნები უნდა იყოს თავისუფალი და სამართლიანი და თავიდან უნდა ავიცილოთ პოლარიზებული პოლიტიკა. ამ არჩევნებზე კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები და ფუნდამენტური თავისუფლებები უნდა იქნას დაცული, – განაცხადა შტეფან ფულემ. ევროკომისარი შტეფან ფულე მოუწოდებს ყველა პოლიტიკურ ძალას საქართველოში, პატივი სცენ საარჩევნო პროცესს.



შტეფან ფულე

როგორც შტეფან ფულე ქართული პრესისთვის დაწერილ სტატიაში წერს, ის დარწმუნებულია, რომ არჩევნები იქნება, უპირველეს ყოვლისა, იმ პოლიტიკური პროგრამებისა და იდეების შესახებ, რომელიც საქართველოს ყველა მოქალაქისთვისაა სასიკეთო.

– ნება მომეცით დავუბრუნდე ვითარებას კონკრეტულად საქართველოში. დემოკრატია ნამდვილად ძალიან მნიშვნელოვანია ევროპული ინტეგრაციისათვის. როდესაც ცოტა ხნის წინათ კეტრინ ეშტონი და მე შევხვდით პრეზიდენტ სააკაშვილს, ჩვენ მივესალმეთ ბოლოდროინდელი რეფორმის მიღწევებს საქართველოში, და კერძოდ, მივულოცეთ პრეზიდენტს ასოცირების შესახებ შეთანხმების მოლაპარაკებებში მიღწეული პროგრესი. თუმცა, ჩვენ ასევე ხაზი გავუსვით, რომ საჭიროა ვითარების გამოყენება დემოკრატიის კონსოლიდაციისა და საქართველოს ინკლუზიური ეროვნული განვითარების

უზრუნველსაყოფად. სწორედ ამიტომ ვანიჭებთ ასეთ მნიშვნელობას ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს საქართველოში. ჩვენ გვსურს, რომ საარჩევნო პროცესმა დააკმაყოფილოს საერთაშორისო დემოკრატიული სტანდარტები, მაგრამ ასევე იყოს „ღრმა დემოკრატიის“ ნიმუში, როდესაც უზრუნველყოფილია მედიის ხელმისაწვდომობა ყველა კანდიდატისათვის და გარანტირებულია პრესისა და შეკრების თავისუფლება და იქმნება გარემო, რომელიც გამოსადეგია საკითხებზე და არა პროცესებზე საბრძოლველად. მე ვსარგებლობ ამ შესაძლებლობით და მოვუწოდებ ყველა პოლიტიკურ ძალას საქართველოში, პატივი სცენ საარჩევნო პროცესს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს არჩევნები იქნება, უპირველეს ყოვლისა, იმ პოლიტიკური პროგრამებისა და იდეების შესახებ, რომელიც საქართველოს ყველა მოქალაქისათვისაა სასიკეთო, – აღნიშნულია შტეფან ფულეს სტატიაში.

შტეფან ფულე ასევე ყურადღებას ამახვილებს და მნიშვნელოვანს უწოდებს „მასთ ქერის“ პრინციპს, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო.

– პარლამენტსა და საზოგადოებას შორის დიალოგი, კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია. გვჯერა, რომ ლიდერები დაიცავენ რეფორმებს, რომელიც მიღწეული იყო. მე ვერ წარმომიდგენია, რომ რეფორმების მიმართ მიდგომა იყოს სხვაგვარი. უდავოა, რომ თვალსაჩინო პროგრესია მიღწეული და მიმაჩნია, რომ პროგრესი უწყვეტი უნდა იყოს, – განაცხადა შტეფან ფულემ. ევროკავშირი საქართველოსთვის 22 მილიონ ევროს გამოყოფს. ამის შესახებ გაფართოებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარმა, შტეფან ფულემ ბათუმში, საერთაშორისო კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

– ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა განვაცხადო, რომ ევროკავშირმა გადაწყვიტა გამოყოს დამატებითი ფინანსური დახმარება საქართველოსთვის, ევროინტეგრაციის და თანამშრომლობის პროგრამაში 2012 წელს 22 მილიონი ევრო გამოიყოფა. ჩვენ ამ გზით გვინდა გავაძლიეროთ ჩვენი მხარდაჭერა სამართლებრივი სისტემის სფეროში, რომ ეს სისტემა განვითარდეს ევროკავშირის რეკომენდაციების შესაბამისად, – აღნიშნა შტეფან ფულემ.

მისივე თქმით, ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანია საქართველოს სამართლებრივი სისტემის რეფორმირება.

– ჩვენს უკანასკნელ ანგარიშში აღვნიშნეთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სამართლებრივი სისტემის რეფორმირება საქართველოში. აღმოსავლეთ ევროპულ პარტნიორობას აქვს ძალიან ამბიციური პროექტი, მაგრამ ის აგრეთვე მოქნილია და უნდა იყოს ადაპტირებული და მორგებული თქვენს კონკრეტულ საჭიროებებზე, – აღნიშნა ფულემ.

ბათუმში მე-9 საერთაშორისო კონფერენცია ,,საქართველოს ევროპული გზა – ევროკავშირი და მისი ევროპელი მეზობლები“ გუშინ გაიხსნა.

კონფერენციას საქართველოს პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილიც დაესწრო.

კონფერენცია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით იმართება.

კონფერენციაში მონაწილეობენ აღმოსავლეთ ევროპის რეგიონისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაღალი თანამდებობის პირები, ევროკავშირის ინსტიტუტების ხელმძღვანელები, მათ შორის, გაფართოებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარი შტეფან ფულე, ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტი ვილფრედ მარტენსი, მოლდოვას რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ვლადიმირ ფილატი. ასევე, ევროპარლამენტარები, საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, საქართველოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების არასამთავრობო სექტორისა და საქმიანი წრეების წარმომადგენლები.

შტეფან ფულემ ბათუმში შეხვედრები გამართა ოპოზიციის ლიდერებთან. შტეფან ფულე კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერს ბიძინა ივანიშვილს შეხვდა.

ევროკომისარს ივანიშვილმა „ქართული ოცნების“ საარჩევნო გეგმები და პროგრამა გააცნო.

აღნიშნულ შეხვედრას, ბიძინა ივანიშვილის გარდა, მაია ფანჯიკიძე და დავით უსუფაშვილი ესწრებოდნენ. შეხვედრას ევროკავშირის მხრიდან კი ელჩი ფილიპ დიმიტროვი და ევროკავშირის კაბინეტის წევრი ალიონა ობუნსიკოვა.

„ქართული ოცნების“ წარმოამდგენელებმა შტეფან ფულეს კოალიციის მომხრეების დევნის შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია. ბიძინა ივანიშვილმა შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა.

ივანიშვილი მიიჩნევს, რომ ის პოლიტიკაში შემთხვევით მოვიდა და უნდა ასეთად დარჩეს.



ბიძინა ივანიშვილი

– მე ჩემი თავი პოლიტიკაში შემთხვევით მოსული მგონია და ასე ვთვლი დღესაც, როგორც შემთხვევით მოვედი, ასეთი მინდა დავრჩე და ასეთივე მინდა წავიდე. შტეფან ფულეს სახით მე აღმოვაჩინე ჩემთვის საინტერესო და გულწრფელი ადამიანი. ამ შეხვედრაზე ჩვენ საქართველოს შესახებ ვისაუბრეთ, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ივანიშვილმა კომენტარი ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტ ვილფრედ მარტენსის განცხადებაზეც გააკეთა.

ვილფრედ მარტენსმა განაცხადა, რომ ივანიშვილის ქმედებები მიმართულია არა მხოლოდ სააკაშვილის, არამედ საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ.

რასაც ივანიშვილმა ასე უპასუხა:

– ვფიქრობ, მარტენსი სააკაშვილის ტყუილების ტყვეობაშია. ჩვენ ამაზე ვმუშაობთ და მომავალში მარტენს საქართველოში არსებულ რეალობას გავაცნობთ. ამას აუცილებლად შევძლებთ. ის ლამის სააკაშვილის სიტყვებს ხმარობს. ის, ისევე ხშირად იყენებს სიტყვებს კომუნისტებს და კომუნიზმში დაბრუნება, როგორც მატყუარა სააკაშვილი, მაგრამ ეს აუცილებლად შეიცვლება. ჩვენა ამაზე სერიოზულად ვმუშაობთ, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

გუშინ შტეფან ფულეს ასევე შეხვდა „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი, დავით გამყრელიძე.

გამყრელიძემ შეხვედრაზე 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მშვიდ და თავისუფალ გარემოში ჩატარების აუცილებლობაზე ისაუბრა.

დავით გამყრელიძემ აღნიშნა, რომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს, მოვლენების რევოლუციური განვითარების თავიდან ასაცილებლად. ასევე, არჩევნების შედეგად საქართველოში ერთი პოლიტიკური პარტიის მიერ ქვეყნის მონოპოლისტურად მართვის ეპოქის დასასრულებლად.

შტეფან ფულემ ხაზგასმით აღნიშნა საქართველოში თავისუფალი და გამჭვირვალე არჩევნების ჩატარების აუცილებლობა.

ევროკომისარის თქმით, მნიშვნელოვანია, რომ არჩევნები კონკურენტულ გარემოში ჩატარდეს და ამაში თავისი წილი პასუხისმგებლობა ყველა მხარეს ეკისრება.

შტეფან ფულეს აზრით, საქართველოში განხორციელებული თვალსაჩინო რეფორმები ინსტიტუციონალურად გამყარებული არ არის და ამ მნიშვნელოვანი პროცესის წარმატებით განხორციელება შემოდგომაზე დანიშნულ არჩევნებზეა დამოკიდებული.

შეხვედრას საქართველოში არსებული სხვა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი გიორგი თარგამაძე ბათუმში ევროკომისარ შტეფან ფულეს შეხვდა.

შეხვედრის შემდეგ გიორგი თარგამაძემ განაცხადა, რომ ევროკომისარს აინტერესებდა, თუ რისი გაკეთება შეუძლია ევროკავშირს საქართველოში არჩევნების მიმართ სანდოობის გაზრდისათვის:

– ევროკავშირი არის ჩვენი პოლიტიკური სტაბილურობის, დემოკრატიული განვითარების, თავდაცვის და უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი გარანტი. ევროკომისარს აინტერესებდა, უშუალოდ, ევროკავშირმა რა შეიძლება კიდევ უფრო მეტად გააკეთოს საიმისოდ, რომ ქვეყანაში იყოს უფრო მეტად კონკურენტული გარემო, ამაღლდეს ნდობა საზოგადოებაში არჩევნების მიმართ, – აღნიშნა გიორგი თარგამაძემ.

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პრაგმატულ არჩევანზე აკეთებს აქცენტს.

## ხელისუფლებამ მაესტროს“ ანტენები დააყადაღა

ტელეკომპანია „მაესტროს“ გენერალური დირექტორის ილია კიკაბიძის ინფორმაციით, „მაესტროს“ კუთვნილი ანტენები უკვე დაყადაღებულია.

„ჩვენი ბროკერი დამიკავშირდა საბაჟოდან, რომელიც უკვე ორი დღეა იქ არის და ტვირთს არ უბაჟებდნენ. დღეს მივიდა პოლიცია და ჩვენი ტვირთი დააყადაღეს. დღევანდელი განჩინებაა, რომ სანამ არ მოხდება სრული დაყადაღება ტვირთის, ვერ გამოდის ჩვენი ბროკერი იქიდან“, – აღნიშნა კიკაბიძემ ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში საუბრისას.

მისი შეფასებით, პროკურატურის არგუმენტები აბსურდული და გაუგებარია და თუ სასამართლო პროკურატურის მოთხოვნას დააკმაყოფილებს, არხის ხელმძღვანელობა სასამართლოს განჩინებას გაასაჩივრებს.

„ჩვენი მხრიდან იყო ძალიან დიდი ინვესტიციები ჩადებული არხის განვითარებაში, ესეც ერთ-ერთი აქცია იყო, რაც პირდაპირ დაკავშირებულია არხის მაყურებლების გაზრდასთან. აქედან გამომდინარე, რა ამომრჩევლის მოსყიდვაზეა საუბარი, ჩემთვის წარმოუდგენელია, რადგან მე არ წარმოვადგენ პოლიტიკურ ორგანიზაციას. ჯერ მე თეფშების და რესივერების მონტაჟი არ დამიწყია, არც შემომიტანია და არც იციან, თუ რა პირობით ვაპირებთ ამის გაკეთებას. ეს არის ჩვეულებრივი კომერციული საქმიანობა და არანაირ უსასყიდლო გადაცემაზე საუბარი არ იყო“, – აცხადებს კიკაბიძე.

კიკაბიძის თქმით, არხის ხელმძღვანელობა დღესვე აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საელჩოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს აცნობებს. ამჟამად სატელიტური ანტენები ლილოში, გამოფორმების ეკონომიკურ ზონაშია განთავსებული.

ინტერპრესნიუსი

## მამუკა ღლონტი: პროკურატურამ ბრალი დაგვიმტკიცოს!“



ტელეკომპანია „მაესტროს“ დამფუძნებელი მამუკა ღლონტი პროკურატურისგან შპს „ელიტა ბურჯთან“ „მაესტროს“ კავშირის დამადსატურებელ დოკუმენტებს მოითხოვს.

როგორც „ნიუსპრესს“ ღლონტმა განუცხადა, მთელ მსოფლიოში საკაბელო ტელევიზიები თავისი სიგნალის გავრცელების არეალის გაფართოებას ცდილობენ და ის, რომ „მაესტრო“ თავისი მაყურებელთა წრის გაზრდას ცდილობს, ამაში გასაკვირი არაფერია.

„კარგი იქნება, თუ პროკურატურა დადებს იმის დამადასტურებელ საბუთს, რაშიც ბრალს გვდებს. როგორც ჩანს ხელისუფლებას დაავიწყდა, რომ ჩვენ გვყავს თანადამფუძნებელი და თანამესაკუთრე მაკა ასათიანი, რომელსაც იმდენი საშუალება აქვს, რომ სულ არ სჭირდება კონტაქტი არც „ბურჯებთან“ და არც არავისთან“– განუცხადა „ნიუსპრესს“ ღლონტმა.

მისივე თქმით, ტელეკომპანია „მაესტროს“ კუთვნილი ანტენები, რომელიც ამ დროისთვის საბაჟოზეა გაჩერებული, უკვე დააყადაღეს.

„სი-ენ-ენ“-მა, რომ დააყენოს თეფშები და ამერიკის მთავრობამ დაუყადაღოს – დაახლოებით ასეთ სისულელეს აკეთებს დღევანდელი ხელისუფლება“– აღნიშნა ღლონტმა.

საქართველოს პროკურატურამ სასამართლოს ტელეკომპანია „მაესტროს“ სატელიტური ანტენების დაყადაღების მოთხოვნით მიმართა.

პროკურატურის ინფორმაციით, სატელევიზიო ანტენების უსასყიდლოდ გადაცემით, ამომრჩეველთა მოსყიდვის ფაქტებზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში, პროკურატურამ პოლიტიკური ორგანიზაცია „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებული კომპანია „ელიტა ბურჯის“ ხელმძღვანელ პირთა დავალებით, კომპანია „მაესტროს“ მიერ საქართველოში დიდი ოდენობით ანტენების შემოტანის ფაქტი დაადგინა.

განცხადების თანახმად, გამოძიების ხელთ არსებული მტკიცებულებები მიუთითებს, რომ აღნიშნულ ანტენებს მოსახლეობისთვის უსასყიდლოდ გადასაცემად გამოიყენებენ, იმავე სქემით, როგორც ეს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგის“ მიერ განხორციელდა.

პროკურატურის განცხადებით, ყადაღის გამოყენების ღონისძიებები შესაძლო დანაშაულებრივი ჩარევისგან წინაასარჩევნო პროცესების დაცვას და პოლიტიკური პარტიებისა და მოქალაქეების საარჩევნო უფლებებისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფას ისახავს მიზნად.

ტელეკომპანია „მაესტრო“, აქციის ფარგლებში, მოსახლეობისთვის სატელიტური ანტენების დამონტაჟებას უფასოდ აპირებდა.

ნიუსპრესი

## ქლორის გაჟონვის შედეგად მოწამლული ლაშა ნარიმანიძე გარდაიცვალა

კახეთის გზატკეცილზე, საქნავთობის დასახლებაში 5 ივლისს ქლორის გაჟონვის შედეგად მოწამლული 18 წლის ლაშა ნარიმანიძე გუშინწინ ღამით გოჩა ინგოროყვას კლინიკის რეანიმაციულ განყოფილებაში გარდაიცვალა. როგორც ,,მედიანიუსს“ კლინიკიდან აცნობეს, შეყვანის დღიდან პაციენტის მდგომარეობა უმძიმესი იყო და რეანიმაციულ განყოფილებაში მკურნალობდა.

ლაშა ნარიმანიძეს ქრონიკული ასთმა ჰქონდა, რის გამოც მოწამვლის შემდეგ მისი მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა.

შეგახსენებთ, რომ კახეთის გზატკეცილზე, საქნავთობის დასახლებაში ქლორის გაჟონვის შედეგად დაახლოებით 80 ადამიანი მოიწამლა.

ქლორმა შპს ,,კრისტალის“ კუთვნილი ავზიდან გაჟონა.

მედიანიუსი

## ჩუბინაშვილის ქუჩაზე საცხოვრებელ სახლში ხანძარი გაჩნდა

გუშინ თბილისში, ჩუბინაშვილის №16-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში ხანძარი გაჩნდა.

ადგილზე მობილიზებული იყო ოთხი სახანძრო მანქანა და სასწრაფო დახმარების ბრიგადა.

როგორც „მედიანიუსს“ შემთხვევის ადგილზე განუცხადეს, საცხოვრებელი სახლში მოხუცი ქალბატონი და მისი შვილი ცხოვრობდნენ. ხანძრის გაჩენის დროს მოხუცი სახლში მარტო იმყოფებოდა.

ცეცხლის გაჩენის მიზეზი შეშის ღუმელი გახდა, რომელზეც ხანშიშესული ქალბატონი სადილს ამზადებდა.

მეზობლების თქმით, სახანძრო მანქანები გამოძახებიდან ნახევარ საათში მივიდნენ, რის გამოც ცეცხლი გაძლიერდა და ხანძრის ჩასაქრობად დამატებითი ბრიგადების გამოძახება გახდა საჭირო.

ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა.

მედიანიუსი

# ირაკლი ბათიაშვილი: ხელისუფლება ხალხს ვეღარ მოატყუებს“

ნონა ცაბაძე




***– ბატონო ირაკლი, ენდიაის კვლევების თანახმად გამოკითხულთა 43% პროცენტი უჭერს მხარს მიხეილ სააკაშვილის გაპრემიერებას. რამდენად რეალურია ეს კვლევები და მართლაც სურს თუ არა გამოკითხულთა 43%-ს, სააკაშვილი გახდეს ქვეყნის პრემიერი?***

– რასაკვირველია, ეს არის სრული აბსურდი. ბევრი ფილოსოფოსობა არ სჭირდება იმას, რომ გაიგო, რა აზრი არის დღეს და რა განწყობილება ტრიალებს საქართველოს მოსახლეობაში მიხეილ სააკაშვილის მიმართ. ელემენტარულად ნებისმიერი ადამიანი გავიდეს ქუჩაში, თბილისის ნებისმიერ უბანში და თუნდაც ნებისმიერ რაიონში გავიდეს, ეს იქნება იმერეთში, კახეთში, ქართლში, სადაც გინდათ, სოფელში თუ რაიონულ ცენტრში. დაელაპარაკოს ადამიანს და მიხვდება, თუ მასობრივად როგორი სიძულვილი და ანტიპათიაა დღეს მიხეილ სააკაშვილის მიმართ. თავად ნაციონალურმა მოძრაობამ ძალიან კარგად იცის, თავად მიხეილ სააკაშვილმაც იცის, თუ რა წუმპეში იმყოფება იგი დღეს, თუ რა დონეზეა დაცემული მისი რეიტინგი. ასე რომ, ეს არის სრული აბსურდი, თითქოსდა 43%-ს უნდა მიხეილ სააკაშვილის გაპრემიერმინისტრება. დღეს უკვე აღარავის სჯერა სააკაშვილის ტყუილების, რომელსაც ის ლაპარაკობს ტელევიზიით. როგორც არ სჯერათ ამათი ტყუილების, ასევე არ სჯერათ ენდიაის, აირაის, „სოციოლოგიური კვლევების“ შედეგების. უკვე აშკარაა, რომ ისინი არიან ძალიან ტენდენციურები, გამოკვეთილად ტენდენციურები, მათ მიზანს შეადგენს, რომ როგორმე წარმოაჩინონ, რომ ვითომ ნაციონალურ მოძრაობას და მიხეილ სააკაშვილს ჯერ კიდევ აქვს მოსახლეობაში სერიოზული დასაყრდენი. მე არაერთხელ მითქვამს იმის თაობაზე, რომ როგორი „ობიექტური და მიუკერძოებელიც“ აღმოჩნდა, მაგალითად, დიმა შაშკინი, როდესაც იგი იყო აირაის შეფი, სწორედ დიმა შაშკინის ხელმძღვანელობით და მისი მეთაურობით აირაი მაშინაც აწარმოებდა კვლევებს და მაშინაც დებდა რაღაც შედეგებს. დრომ და ცხოვრებამ აჩვენა თუ როგორი „მიუკერძოებელი“ და „ობიექტური“ ყოფილა დიმა შაშკინი, როდესაც ის უცებ აღმოჩნდა ნაციონალური მოძრაობის კამპანიაში და ნაციონალური მოძრაობის მმართველ ელიტაში. დღეს ის უკვე არის საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

***– დაუფასეს მას ღვაწლი...***

– დიახ. როგორი „მიუკერძოებელი“ იყო დიმა შაშკინი და აირაი, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა, დღესაც ასეთი „მიუკერძოებლები“ არიან ენდიაი, ესეთივე მიუკერძოებელია აირაი და ასე შემდგომ. ისინი, სამწუხაროდ, ასრულებენ ნაციონალური მოძრაობის დაკვეთას, დღევანდელი ხელისუფლების და მიხეილ სააკაშვილის დაკვეთას და ისინი არიან გარკვეული პოლიტიკური დაკვეთის შემსრულებლები. მათ ამოცანას შეადგენს, ნიადაგი მოამზადონ, მომავალი საპარლამენტო და შემდგომ უკვე საპრეზიდენტო არჩევნებისათვის. ისეთი ნიადაგი, რომელიც სასურველი იქნება ნაციონალური მოძრაობისთვის და ამ ხელისუფლებისთვის.

***– საკმაოდ ბევრ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციას დაუფასდა გაწეული შრომა და დღეს ისინი ხელისუფლებაში არიან...***

– რასაკვირველია. ასეთივე კვლევის ცენტრი ჰქონდა იაკობაშვილს სწორედ 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის. ის აქვეყნებდა შედეგებს და თავს დებდა, რომ იყო აბსოლუტურად მიუკერძოებელი, შემდეგ დაუფასეს მას ღვაწლი ნაცმოძრაობის და სააკაშვილის წინაშე და იგი დააჯილდოვეს მინისტრობით. ასეთივე „მიუკერძოებელი“იყო გია ნოდია, რომელსაც ასევე თავისი არასამთავრობო თუ კვლევითი ორგანიზაცია ჰქონდა და აქვეყნებდა შედეგებს არჩევნების წინ და დაუფასდა შრომა ნაცმოძრაობის სასარგებლოდ. ვითომ მიუკერძოებელი იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი თაობა-ახალი ინიციატივა“, კოკი იონათამიშვილის ხელმძღვანელობით და ის არის ნაცმოძრაობის ერთ-ერთი გამოკვეთილი ფიგურა ქალაქის საკრებულოში. ამიტომ ჩვენ უკვე ვიცით ეს ყველაფერი, საზოგადოებას აღარ წამს უკვე ამ ტყუილების.

***– იმის თქმა გინდათ, რომ ამომრჩევლის განწყობა ამ კვლევების მიუხედავად არ შეიცვლება?***

– რა თქმა უნდა, არა. დღევანდელმა ხელისუფლებამ ძალიან კარგად იცის, რომ საზოგადოებას ვერ მოატყუებს. მას მიზნად უკვე საზოგადოების მოტყუება აღარა აქვს. ადრე ჰქონდა და კარგა ხანს ატყუებდა კიდეც. დღეს უკვე ვეღარ მოატყუებ, აქ მიზანი არის სხვა.

***– რა არის მათი მიზანი?***

– რომ საზოგადოებას შეუქმნან შთაბეჭდილება, აზრი, რომ, სამწუხაროდ, არჩევნებით არაფერი შეიცვლება. უნდათ, რომ აფიქრებინონ ადამიანებს, რომ რადგან ისინი ასეთ კვლევებს აქვეყნებენ არჩევნების წინ, ესე იგი გადაწყვეტილი აქვთ კარგა ხნით ხელისუფლებაში დარჩენა. მაშასადამე ისინი დარწმუნებულები არიან საკუთარ ძალებში, რომ ტერორის, რეპრესიების, გაყალბების მეშვეობით მოახერხებენ საპარლამენტო არჩევნების მოგებას და ხელისუფლების შენარჩუნებას და მათ უნდათ, რომ ადამიანებში დაამკვიდრონ ასეთი სასოწარკვეთილების ცნობიერება.

***– რომ არჩევნებს აზრი არა აქვს?***

– რომ აზრი არა აქვს ბრძოლას. არადა, ბრძოლას ნამდვილად აქვს აზრი, მე მინდა ეს ხაზგასმით აღვნიშნო, ახლა ამ ოქტომბრის არჩევნების წინ. ახლა საქართველოს ბედი წყდება, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

***– ჩვენ ვხედავთ, თუ რა სამზადისშია ხელისუფლება, ეს საკადრო ცვლილებებიც... ამასთან დაკავშირებით როგორია თქვენი შეფასებები?***

– მე მგონი, ყველასათვის ნათელია, რომ რეალური ძალაუფლება მიხეილ სააკაშვილმა მოაქცია ახალაიების ხელში. დღეს მერაბიშვილი უფრო სიმბოლური ფიგურა გახდა. ის ალბათ მთელი ამ საარჩევნო პროცესის ხელმძღვანელი იქნება. მოგეხსენებათ, რომ 2003 წელსაც ის იყო საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი. ახლაც მას ეს დაევალება, რომ კოორდინაცია გაუწიოს მთელ ამ პროცესს, მაგრამ რეალური ძალა მოექცა ახალაიების ხელში. ეს მოსალოდნელიც იყო. სხვათა შორის, მე ასეთ პროგნოზს ვაკეთებდი ჩემს ახლობლებში, მეგობრებში, ვიცოდი, რომ ეს ასე იქნებოდა.

***– რატომ მოაქცია მთელი ძალაუფლება მათ ხელში?***

– დღეს რეალური ძალა მოექცა ახალაიების ხელში. შინაგან საქმეთა მინისტრად ბაჩო ახალაია დაინიშნა, თავდაცვის ფაქტობრივი მინისტრი დათა ახალაიაა. თქვენ შეგიძლიათ გაიკითხოთ და ინფორმაცია აიღოთ, რომ სასჯელაღსრულებითი სამინისტრო რეალურად არის თავიდან ბოლომდე კონტროლირებადი ბაჩო ახალაიას მიერ. ხათუნა კალმახელიძე იქ თოჯინას ფუნქციას ასრულებს. იქ ზედამხედველიც კი ინიშნება ბაჩო ახალაიასთან შეთანხმებით. ძალოვანი უწყებები რასაც ჰქვია, თავისი სპეცნაზებით, ყველაფრით, მოგეხსენებათ, სასჯელაღსრულების დაწესებულებასაც თავისი სპეცდანიშნულების დანაყოფები ჰყავს. ეს მთელი სისტემა მოექცა ახალაიების ხელში. მეკითხებით რატომ? იმიტომ, რომ ყველაზე მეტად მიხეილ სააკაშვილი დღეს ენდობა მათ. იმიტომ, რომ ყველაზე მეტად მიხეილ სააკაშვილს აქვს იმედი, რომ კრიტიკულ სიტუაციაში ისინი ყველაფერზე წამსვლელები იქნებიან, სააკაშვილის ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით, რომ ისინი უკან არაფერზე არ დაიხევენ. აი, მხოლოდ და მხოლოდ ამიტომ. ეს ყველამ უნდა გავიაზროთ. მერაბიშვილის პრემიერმინისტრობაც ხომ დროებითია, ტყუილად კი არ ატარებს სააკაშვილი ამ კვლევებს, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ერთ დღესაც სააკაშვლმა პრემიერმინისტრობა მოინდომოს. მით უმეტეს, არ უარუყვია მას ეს ჰილარი კლინტონთან ერთობლივი ბრიფინგის დროს. მერაბიშვილი დროებით ფუნქციას ასრულებს. საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის ფუნქციას შეასრულებს რეალურად. ვიმეორებ, ის არის განულებული.

როდესაც საუბარია, რომ მერაბიშვილი წავიდა და უარესი მონსტრები მოვიდნენ, მე გეტყვით, რომ ყველანი ერთნაირი მონსტრები არიან. ყველა სიბინძურე, რაც კი მოხდა და სისხლიანი დანაშაული, კარგად გაიხსენეთ, მერაბიშვილის მინისტრობის დროს მოხდა. მე აღარ ჩამოვთვლი სათითაოდ, რამდენი უბედურება მოხდა, ვალერი გელაშვილის მხეცური ცემიდან დაწყებული, დამთავრებული ვაზაგაშვილის მკვლელობით და კიდევ ათასი უბედურებით, 7 ნოემბრით და 26 მაისით. ასე რომ, მოდით, ნუ განვასხვავებთ მათ არსებითად ერთმანეთისგან და მერაბიშვილს ნუ გამოვიყვანთ ანგელოზად. დღეს ისინი სისხლით არიან დაკავშირებულები და სააკაშვილმა, მართლაცდა, ეს მოახერხა, რომ არც ერთ მათგანს რეალურად უკან დასახევი გზა არა აქვს. უკან დასახევი გზა ჩაუხერგა. თუმცა ვიმეორებ, ნდობას რაც ეხება კრიტიკულ სიტუაციაში და ეს კრიტიკული სიტუაცია მოდის აშკარად და ამას გრძნობს მიხეილ სააკაშვილი და ის ყველაზე მეტად ენდობა ძმებ ახალაიებს. ეს ნელ-ნელა იკვეთებოდა და ახლა უკვე აშკარაა.

***– რატომ დაკარგა სააკაშვილმა მერაბიშვილის მიმართ ნდობა და ფსონი რატომ გააკეთა ახალაიებზე?***

– არაფერი ნდობა არ დააუკარგავს. ნდობა რომ დაეკარგა, არც პრემიერმინისტრად დასვამდა, როგორც ოქრუაშვილი მოაშორა, ისე მოაშორებდა. უბრალოდ დღეს მან ჩათვალა, რომ მერაბიშვილმა თავისი ფუნქცია შეასრულა, ამოწურა და აი, ამ სიტუაციაში, როდესაც სააკაშვილს შეიძლება დაჭსირდეს არაორდინარულად სასტიკი, ანომალიური ქმედებების, „ღონისძიებების“ გატარება, მან ჩათვალა, რომ ამისთვის უფრო გამოადგება ახალაიები.

***– მაშინ მითი ყოფილა, რომ სიტუაციას ვანო მართავს და არა მიშა?***

– რა თქმა უნდა. ამის სჯეროდა ვინმეს? ჩვენ სააკაშვილს გიჟს ვეძახით, მათ შორის მეც ხშირად მითქვამს იმის შესახებ, რომ ის ფსიქიკურად არის არაადეკვატური, მაგრამ მას აქვს იმის უნარი, რომ ეს თავისი სისტემა ხელში ეჭიროს და აკონტროლოს. მე მინდა გითხრათ, რომ საბოლოო ჯამში ეს გადაადგილებები მაინც ძალიან ნეგატიურად იმოქმედებს ამ ძალოვან სისტემებზე და უპირველეს ყოვლისა, შინაგან საქმეთა სამინისტროზე. როდესაც დადგება კრიტიკული სიტუაცია, შინაგან საქმეთა სამინისტროს ფშვნა უფრო ადვილად დაიწყება.

***– კრიტიკულ სიტუაციაში რა იგულისხმეთ?***

– ვიგულისხმე სწორედ ოქტომბრის არჩევნების შემდგომ პერიოდთან დაკავშირებული სიტუაცია. არ შეიძლება თანამშრომლების მზადყოფნა და ერთგულება შეინარჩუნო მხოლოდ შიშის საფუძველზე. მე არა მგონია, რომ ამ გადანაცვლებებმა საბოლოო ჯამში მეტი ეფექტი მოუტანოს სააკაშვილის ხელისუფლებას. პირიქით, ეს მომავალში უფრო და უფრო შეარყევს შიგნიდან იმ სისტემას, რომელსაც ჰქვია შინაგან საქმეთა სამინისტრო.

# განათლების ახალი მინისტრი მასწავლებლებთან შეხვედრებს გააგრძელებს

ნინო ღვედაშვილი

**2012 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 35 000-ზე მეტი აბიტურიენტი დარეგისტრირდა. 28 ივნისს საქართველოს მასშტაბით 12 ქალაქში 17 საგამოცდო ცენტრი გაიხსნა. გამოცდები ორ სესიად მიმდინარეობს. რეგისტრაციის დასრულების შემდეგ აბიტურიენტი საგამოცდო ცენტრში არ დაიშვება.**



მიმდინარე წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ყველაზე დიდი კონკურსი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მიმართულებებზეა. სამინისტროს მიერ მსგავს სპეციალობებს ენიჭება პრიორიტეტი და დაფინანსების 80% ამ საგანმანათლებლო პროგრამებზე არის მიმართული.

პირველმა გამოცდამ ქართულ ენასა და ლიტერატურაში 12 ქალაქის 17-ვე საგამოცდო ცენტრში მშვიდ გარემოში, ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩაიარა. 28 ივნისს, გამოცდების პირველ დღეს, ქართული ენა და ლიტერატურა 16 582-მა აბიტურიენტმა ჩააბარა. ამ დღეს დაგვიანების არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. გამოცდაზე დარეგისტრირებულ აბიტურიენტთა მხოლოდ 2% არ გამოცხადდა. გასულ წელს პირველ გამოცდაზე აბიტურიენტთა 5% არ მისულა.

28 და 29 ივნისს საქართველოს მასშტაბით 17 საგამოცდო ცენტრში ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაზე 32 844 აბიტურიენტი გავიდა. დაფიქსირდა დაგვიანების 3 ფაქტი. გამოცდაზე არ გამოცხადდა 654 აბიტურიენტი (2%).

ქართული ენისა და ლიტერატურის ეროვნული გამოცდის ტესტში წელს მხოლოდ 4 დავალება იყო: ტექსტის რედაქტირების, არგუმენტირებული ესეს, მხატვრული ტექსტის გააზრებისა და წერითი დავალება. აბიტურიენტებს ამ დავალებების შესასრულებლად 4 საათი ჰქონდათ გამოყოფილი.

იმისათვის, რომ აბიტურიენტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში არ ჩაიჭრას, მან მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, 25%+1, უნდა გადალახოს. გარდა მედიკოსის, სტომატოლოგის, ფარმაციისა და იურიდიულ-საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველებისა, სადაც მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 10%-ითაა გაზრდილი. ქართულ ენასა და ლიტერატურაში მაქსიმალური ქულაა 80.

ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო ტესტების ოთხივე ნიმუში გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე ორშაბათიდან უკვე დაიდო. ნედლი ქულები კი აბიტურიენტებისთვის აგვისტოს პირველ რიცხვებში გახდება ცნობილი.

2, 3, 4 და 5 ივლისს აბიტურიენტებმა უცხოურ ენებში გაიარეს გამოცდა.

9 ივლისს მთელი საქართველოს მასშტაბით გამოცდა ზოგად უნარებში დაიწყო. პირველივე დღეს პროცესში ის აბიტურიენტებიც ჩაერთვნენ, რომლებიც გამოცდას აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე აბარებენ.

პირველ დღეს ტესტირება უნდა გაევლო 18 217, ხოლო ერთიანად – 35 000-ზე მეტ აბიტურიენტს. ზოგადი უნარების გამოცდა 10 ივლისს დასრულდა. ზოგადი უნარები ერთ-ერთი სავალდებულო საგანია, რომლის შედეგსაც სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოსაპოვებელ კონკურსში ყველაზე დიდი წონა (1.5) აქვს.

12 და 13 ივლისს კი უკვე მაგისტრანტობის მსურველებს მოუწევთ ზოგადი უნარების გამოცდის ჩაბარება.

2 ივლისიდანვე გამოცდები პედაგოგებისთვისაც დაიწყო. საბოლოო შედეგები კი 25 აგვისტოს გახდება ცნობილი. 2 ივლისს საგამოცდო პროცესში პედაგოგები ჩაერთნენ. მათ პირველი გამოცდა პროფესიულ უნარებში ჰქონდათ. ამ დღეს გამოცდაზე 7894 პედაგოგი უნდა გასულიყო. ხოლო მთლიანობაში პროფესიულ უნარებს 31 880 ადამიანი ჩააბარებს. გამოცდები პროფესიულ უნარებში მთელი საქართველოს მასშტაბით 2, 3, 4 და 5 ივლისს ჩატარდა. გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად მოიმატა სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასვლის მსურველთა რაოდენობამ. 2011 წელს 24 ათასამდე პედაგოგმა გაიარა რეგისტრაცია, ხოლო 2012 წელს ეს რიცხვი 40 ათასამდე გაიზარდა.

საგამოცდო ცენტრებში პედაგოგებისთვის პროფესიულ უნარებში გამოცდა 5 ივლისს დასრულდა. დარეგისტრირებული 40 000-დან პროფესიული უნარები 32 000-მდე მასწავლებელმა ჩააბარა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ხატია დეკანოიძემ თბილისის საგამოცდო ცენტრი მოინახულა, რეგისტარციის პროცესს დაესწრო და მასწავლებლებს გაესაუბრა. მინისტრმა პედაგოგებს წარმატება უსურვა და აღნიშნა, რომ მიმდინარე რეფორმების მთავარი პრიორიტეტი მასწავლებელთა მხარდაჭერა, მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა და ხელფასების გაზრდაა.

გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, წელს გამოცდები ყოველგვარი ექსცესებისა და ხარვეზების გარეშე მიმდინარეობს. პედაგოგთა გამოცდებზე ოთხი დღის განმავლობაში პროცედურული დარღვევების გამო გამოცდიდან მხოლოდ ერთი პედაგოგი მოიხსნა, დაგვიანების გამო 4 არ დაიშვა, დარეგისტრირებულ მასწავლებელთა 8% კი გამოცდაზე არ გამოცხადდა.

6 ივლისიდან პედაგოგებისთვის საგნობრივი გამოცდები დაიწყო. პირველი გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჩატარდა.

პედაგოგთა მოტივაციის გაზრდა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. მათ შორის ერთ-ერთი გაზრდილი ხელფასებია. სერთიფიცირებული მასწავლებლების სახელფასო სქემა ასეთია: სერთიფიცირების დანამატი – 75 ლარი. დამატებით ინგლისურისა და კომპიუტერის გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში 200 ლარი ემატებათ. ისინი, ვინც ინგლისურის და კომპიუტერის გამოცდის ჩაბარების შემდეგ საუკეთესო 25%-ში ხვდებიან, ხელფასი 1000 ლარი გაუხდებათ. პედაგოგებს კი, რომლებიც საბუნებისმეტყველო საგნებში ლაბორატორიულ გამოცდას აბარებენ, ხელფასი კიდევ 75 ლარით ეზრდებათ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ხატია დეკანოიძე თბილისისა და რეგიონების პედაგოგებთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრებს მართავს. მინისტრი მათ რეფორმის ფარგლებში მიმდინარე სიახლეებს და სამომავლო გეგმებს აცნობს.

მასწავლებლებთან შეხვედრისას მთავარი თემა მიმდინარე სასერთიფიკაციო გამოცდები და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაა. მინისტრის განმარტებით, ამ მიმართულებით სამინისტრო მუდმივ რეჟიმში აგრძელებს მუშაობას.

მასწავლებლებთან მინისტრის შეხვედრები კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობს. შეხვედრებზე ხატია დეკანოიძე იმ პრობლემებითაც ინტერესდება, რომელიც პედაგოგებს აქვთ და რომელთა მოგვარებაშიც მათ თანადგომა ესაჭიროებათ.

მასწავლებლებთან ანალოგიური შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება. მინისტრი დედაქალაქისა და რეგიონების ყველა დირექტორსა და მასწავლებელს შეხვდება.

# რატომ გაიხსენა ხელისუფლებამ სოფელი

ლიზა მახარაშვილი

**მთავრობის წინასაარჩევნო კამპანიის ძირითადი დასაყრდენი ისევ და ისევ სოციალურ-ეკონომიკური ბერკეტებია. „წარმატებული“ რეფორმების მიუხედავად, ნომერ პირველ პრობლემად დღემდე, ქვეყნის მოსახლეობის საარსებო მინიმუმით დაკმაყოფილება რჩება. მთავრობის ახალი, წინასაარჩევნო პროგრამაც სწორედ ამაზეა გათვლილი.**



მთავრობა ახალი პროგრამით – „მეტი სარგებელი ხალხს“ – „ეკონომიკური თავისუფლების აქტს“ დაუპირისპირდა. ასეთია ახალი ეკონომიკური სკოლის ხელმძღვანელის პაატა შეშელიძის შეფასება. აღნიშნულ სტატიას ინტერნეტგამოცემა „ნეტგაზეტი“ აქვეყნებს.

– ეკონომიკური თავისუფლების აქტი როცა დაიწერა, მაშინ სხვა კომპოზიცია იყო მთავრობაში და ინტერესებიც განსხვავებული. ახლა რადიკალურად დგას საკითხი – დარჩება თუ არა ეს გუნდი პოლიტიკაში და ხელისუფლებაში. აქ პრაგმატული დამოკიდებულებებია და, შესაბამისად, იდეების ერთგულების თემა უკანა პლანზეა. პერმანენტული არჩევნების მოლოდინი და ამომრჩევლების ხმებზე ნადირობა მთავარი საკითხია. ოპოზიცია და მთავრობა ერთ ნაპირზე დგანან, – მიაჩნია შეშელიძეს.

შეშელიძის შეფასებით, მთავრობა ლიბერალური იდეებიდან სოციალურ თემებზე გადაერთო:

„უკვე აღარ საუბრობენ იმაზე, თუ როგორ აპირებს სახელმწიფო კერძო საკუთრების უფლებების დაცვას, საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებას. ნაკლები ბიუჯეტის ფარგლებში უფრო მეტი თანხის დატოვებას კერძო ინვესტორებისათვის“.

მთავრობის ახალი პროგრამით, 2013 წლიდან საპენსიო პაკეტი, რომლის განუყოფელი ნაწილი იქნება ჯანმრთელობის დაზღვევა, 100 დოლარის ექვივალენტი გახდება. მთავრობამ პენსიები ოთხი წლის განმავლობაში 6 მილიარდი ლარით უნდა დააფინანსოს, ანუ წელიწადში – 1.5 მილიარდი ლარით.

მიმდინარე წლის ბიუჯეტით, პენსიებისთვის გათვალისწინებულია 1 მილიარდზე მეტი ლარი, რაც წინა წლის მონაცემებს 140 მილიონზე მეტი ლარით აღემატება. საკუთარი დანაპირების შესრულებისთვის მთავრობამ 2013 წელს საპენსიო ბიუჯეტი კიდევ 400 მილიონი ლარით უნდა გაზარდოს, ხოლო, ჯამში, 4 წელიწადში – დაახლოებით 1 მილიარდ 600 მილიონი ლარით.

მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, მთავრობის ახალი პროგრამის მიხედვით, სოციალური დახმარებები და ჯანმრთელობის დაზღვევა, ჯამში, 6 მილიარდი ლარით უნდა დაფინანსდეს, ანუ წელიწადში – 1.5 მილიარდი ლარით.

2012 წლის ბიუჯეტში სოციალური უზრუნველყოფისთვის, რომელშიც შედის სოციალური დახმარებებისა და ჯანმრთელობის დაზღვევის დაფინანსება, 700 მილიონამდე ლარია გამოყოფილი. იმისათვის, რომ მთავრობამ საკუთარი დანაპირების შესრულება მოახერხოს, მომდევნო წელს აღნიშნული დაფინანსება უნდა გააორმაგოს, ხოლო, ჯამში, 4 წლის განმავლობაში დამატებით 3 მილიარდ 300 მილიონი ლარის მობილიზება უნდა შეძლოს.

მთავრობა ოთწლიანი 1000 ლარიანი ვაუჩერების დარიგებას აპირებს საქართველოს თითოეული ოჯახისთვის. საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს მხოლოდ 2002 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემები გააჩნია საქართველოში ოჯახების რაოდენობის შესახებ, რომლის მიხედვითაც საქართველოში 1 243 158 ოჯახია. იმისათვის, რომ მთავრობამ ვაუჩერების შესახებ დადებული პირობის შესრულება მოახერხოს, 4 წელიწადში ამისთვის 1 მილიარდ 243 მილიონზე მეტი ლარი უნდა დახარჯოს, ხოლო წელიწადში – დაახლოებით 311 მილიონი ლარი.

2011 წელს საქართველოს მთავრობამ მოსახლეობისთვის დარიგებული ვაუჩერებისთვის, ჯამში, 56 429 465 ლარი დახარჯა, დაახლოებით ამდენივე თანხა გამოყო ვაუჩერებისთვის მთავრობამ 2012 წელსაც: 24 მილიონი – სოფლის მეურნეობის ვაუჩერებისთვის, 25 მილიონი – ელექტროენერგიისთვის, 7 მილიონი – პროფესიული გადამზადებისთვის.

იმისათვის, რომ მთავრობამ საკუთარი დანაპირები შეასრულოს, ვაუჩერების დაფინანსება წელიწადში დაახლოებით 250 მილიონი ლარით უნდა გაზარდოს, 4 წელიწადში კი – დაახლოებით 1 მილიარდით.

მთავრობას განსაკუთრებით დიდი ოდენობით სოფლის მეურნეობის დაფინანსების გაზრდა მოუწევს. 2012 წელს სოფლის მეურნეობისთვის ბიუჯეტიდან დაახლოებით 120 მილიონი ლარი გამოიყო, 2011-ში კი – 86 მილიონი ლარი.

მთავრობის ახალი პროგრამით სოფლის მხარდაჭერის მიზნით ოთხ წელიწადში 4 მილიარდი, წელიწადში კი – 1 მილიარდი ლარი უნდა დაიხარჯოს, ანუ სოფლის მეურნეობის დაფინანსება მომავალ წელს წლევანდელ მონაცემთან შედარებით 800 მილიონზე მეტი ლარით უნდა გაიზარდოს.

პაატა შეშელიძე ეჭვობს, რომ ახალ მთავრობას ამ მოცულობის დაფინანსების მოსაზიდად რესურსი არ ეყოფა. ექსპერტი ქვეყანაში ინფლაციას და ფულად საკრედიტო ემისიას პროგნოზირებს:

„ამ ხარჯების გასაწევად მთავრობა ფულს ისესხებს. სესხის აღებას მოჰყვება დამატებითი ფულის ბეჭდვა. რეალურია საფრთხე იმისა, რომ დაპირებების შესასრულებლად მთავრობამ ფული დაბეჭდოს“.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი სოსო არჩვაძე ამბობს, რომ მთავრობა მას შემდეგ გააქტიურდა, რაც „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა საარჩევნო პროგრამის მთავარი გზავნილები გაახმაურა.

„ქართული ოცნება“ სოფლების ასაღორძინებლად ერთმილიარდიანი ფონდის შექმნას აპირებს:

„რამდენადაც კარგად ვიცით, რომ ძლიერი სოფელი ძლიერი ქვეყნის საწინდარია, სწორედ ამიტომ „ქართულ ოცნებას“ დაგეგმილი აქვს ააღორძინოს ქართული სოფელი და ამისათვის შექმნას ერთმილიარდიანი ფონდი. ამ გეგმის მიხედვით, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოქალაქეები შეძლებენ გრძელვადიანი ხელმისაწვდომი და შეღავათიანი სახსრების აღებას და ამით სარგებლობას“, – განაცხადა ივანიშვილმა.

ივანიშვილის პროექტის თანახმად, საქართველოს ყველა მოქალაქე მიიღებს ჯანდაცვის დაზღვევის პაკეტს და ღირსეულ პენსიას.

სოსო არჩვაძის შეფასებით, ხელისუფლებისა და „ქართული ოცნების“ სამოქმედო პროგრამები პოლიტიკური კონკურენციის შედეგია. მისი შეფასებით, რაც უფრო მძაფრი იქნება კონკურენცია პოლიტიკურ ბაზარზე, ელექტორატი უფრო მოგებული დარჩება.

„ყველაზე მეტ ტყუილს ამბობენ არჩევნების წინ, ომის დროს და ნადირობის შემდეგ“. – ბისმარკის ეს ფრაზა ყველაზე მეტად საქართველოში დღეს შექმნილ მდგომარეობას მიესადაგება, – ამბობს არჩვაძე. მისი თქმით, მთავრობის აქცენტები სოციალურ პროექტებზე მოახლოებულ არჩევნებს უკავშირდება:

„გურამიშვილს რომ დავესესხოთ, ბენდუქიძის ალმა ხნული, მერაბიშვილმა დაღმა ფარცხა. სოციალური თემატიკა ეს არის ფსონი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია და ამ შემთხვევაში მიზანი ამართლებს საშუალებას. მთავრობის საპირწონე პოლიტიკურმა ძალამ სოციალური პროექტები დადო. პოლიტიკურ ძალთა ჭიდილი აჩვენებს, რომ ქვეყანაში კონკურენტული გარემოა. ცნობილია, რომ ნებისმიერი მონოპოლიზაციით ზარალდება ამომრჩეველი.“ სოსო არჩვაძის შეფასებით, მთავრობამ 4-წლიან პროგრამაში რეალური ეკონომიკური გათვლები წარმოადგინა. საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი აცხადებს, რომ მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში საქართველოს ჯამური ბიუჯეტი 37-38 მილიარდი ლარი იქნება, რაც წელიწადში შეადგენს დაახლოებით 9.5 მილიარდ ლარს. საქართველოს 2012 წლის ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი შეადგენს 6 მილიარდ 839 მილიონ ლარს.

„თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მთლიანი შიდა პროდუქტი ყოველ წელს ნომინალურად გაიზრდება საშუალოდ 3-4 მილიარდი ლარით, ოთხი წლის შემდეგ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა, 2012 წელთან შედარებით, 16-17 მილიარდი ლარი იქნება. ეს ციფრები არ არის ფანტასტიკური და საოცარი. თუ პოლიტიკოსები სოციალურ პრობლემებს არ მიაქცევენ ყურადღებას, დროთა განმავლობაში სოციალური საკითხები თვითონ იძენენ პოლიტიკურ ჟღერადობას და დატვირთვას. ის ბუმერანგივით უბრუნდებათ პოლიტიკოსებს. ქვეყანა იმყოფება წინასაარჩევნო რეჟიმში, ამ დროს ელექტორატზე მუშაობა გადამწყვეტ ფაზაშია. პოლიტიკოსები მომავალ არჩევნებს ემზადებიან. სწორედ ეს განაპირობებს სოციალური ფაქტორებისადმი ასეთ ყურადღებას“.

# ნიკოლოზ რურუამ წიგნები გააჩუქა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ წიგნები გააჩუქა. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ნიკოლოზ რურუამ წიგნები მაღაზიებს საჩუქრად გადასცა. სამინისტროში ვაჟა-ფშაველას ბიუსტთან, მინისტრის ნიკოლოზ რურუას ინიციატივით წიგნის მაღაზიებს სამინისტროს მიერ გამოცემული წიგნები საჩუქრად გადაეცათ.

– სამინისტროს მიერ გამოცემული ეს წიგნები დღეიდან, მაღაზიებში „წიგნები ვაკეში“, „სანტა-ესპერანსა“, „ლატერნა“, „ლატერნა+“, „ლიბრა“, „პრიმა 2“ დაბალ ფასად გაიყიდება, – აღნიშნა ნიკოლოზ რურუამ.

წიგნების გადაცემასთან ერთად კულტურის სამინისტროში შედგა ვაჟა-ფშაველას ბიუსტის გახსნის მოკრძალებული ცერემონია. ბიუსტის ავტორია მოქანდაკე ბიძინა ავალიშვილი. ცერემონიას მოქანდაკის შვილიშვილი მანანა ავალიშვილი დაესწრო.

ღონისძიებას, ასევე ესწრებოდნენ გიორგი მიროტაძე წიგნის მაღაზია ლატერნას წარმომადგენელი, ზურა ლომაშვილი წიგნის მაღაზია „პრიმა 2“-ის წარმომადგენელი, გოჩა კევლიშვილი წიგნის მაღაზია „ლატერნა+“-ის წარმომადგენელი, ვენერა ჭელიძე წიგნის მაღაზია „ლიბრას“ წარმომადგენელი, ნატო ცაავა წიგნის მაღაზია „სანტა ესპერანსას“ წარმომადგენელი, ბაკურ სულაკაური წიგნის მაღაზია „სანტა ესპერანსა „ წარმომადგენელი, მარიამ კიკაჩეიშვილი მაღაზიის „წიგნები ვაკეში“ წარმომადგენელი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა და წიგნის მაღაზიების სხვა წარმომადგენლებიც.



– მივესალმებით კულტურის სამინისტროს წამოწყებას იმასთან დაკავშირებით, რომ წამოიწყო ახალი ინიციატივა და სხვადასხვა წიგნის მაღაზიებს სამინისტროს მიერ გამოცემულ წიგნებს საჩუქრად გადასცემს. თითოეული წიგნის მაღაზიისთვის მნიშვნელოვანი და ძვირფასია ის გამოცემები, რომლებსაც კულტურის სამინისტრო გამოსცემს. იმედს ვიტოვებთ, რომ ეს ტრადიცია კიდევ დიდხანს გაგრძელდება და სამინისტროს მიერ გამოცემული წიგნები ყველა წიგნის მოყვარულისთვის იქნება ხელმისაწვდომი, – განაცხადა ბაკურ სულაკაურმა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გამოცემების ჩამონათვალი ასეთია: იოსებ გრიშაშვილის „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა“, ჟურნალი კავკასიონი (ორტომეული), ნუგზარ შატაიძის რჩეული მოთხრობის კრებული „შეხვედრა“, დივიდი დისკები „გალობის რაინდები“, იგორ ობოლენსკის „ღირსების ფასი, ქართველი ქმრების ისტორიები“ (ინგლისური გამოცემა), იგორ ობოლენსკის „ღირსების ფასი, ქართველი ქმრების ისტორიები“ (რუსული გამოცემა), გიგი სულაკაურის ლექსების კრებული „ხეტიალი“, დევიდ თოროს „უოლდენი ანუ ტყეში ცხოვრება“, როლან ბარტის „მითოლოგიები“, ზურაბ სამადაშვილის რომანი „ხმაურიანი დღეები“, გივი შახნაზარის თარგმანი „ას ერთი ჰაირენი – ნაჰაპეტ ქუჩაკი“, კატალოგები „ფერწერა“ და „მაგნუმი“, ვაჟა-ფშაველას ფოტოალბომი, ვაჟა-ფშაველას სამტომეული, მიქელ თამარაშვილის „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გრიგოლ ტატიშვილის 4 წიგნის რეპრინტი, მერაბ ოძელაშვილის „სახელმძღვანელო – ჯაზის თეორიისა და პრაქტიკის სისტემური კურსი“.

– ჩვენ კვლავაც ვაგრძელებთ ტრადიციას და წიგნის მაღაზიებს საჩუქრად გადავცემთ კულტურის სამინისტროს მიერ წარმოებულ გამოცემებს, რომელთა გაყიდვაც მათ უკვე დაბალ ფასად შეეძლებათ. ამით კი წიგნის მოყვარულები შეძლებენ აირჩიონ მათთვის საინტერესო და სასურველი წიგნი და საკუთარი საოჯახო ბიბლიოთეკა გაამდიდრონ, – განაცხადა კულტურის მინისტრმა.

რაც შეეხება ვაჟა-ფშაველას ბიუსტს, ის ვაჟაობის დღესასწაულის მოახლოებასთან დაკავშირებით გაიხსნა კულტურის სამინისტროში, თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ გასულ წელს ვაჟა-ფშაველას საიუბილეო წელი იყო და ეს მნიშვნელოვანი თარიღი იუნესკომაც კი აღნიშნა. კულტურის სამინისტრომ კი მთის არწივის იუბილეს სხვადასხვა სახის გამოცემები მიუძღვნა. ვაჟა-ფშაველას იუბილეს გამოეხმაურა სხვადასხვა საჯარო სკოლა, საბავშვო სტუდია, ქალაქის ბიბლიოთეკები თუ მეცნიერები, მოეწყო სამეცნიერო კონფერენციები, დაიდგა სპექტაკლები, შედგა მხატვრული კითხვის საღამოები, რამაც ვაჟა-ფშაველას შთამომავალი ლელა რაზიკაშვილი სასიამოვნოდ გაკვირვებული დატოვა.

ვაჟა-ფშაველას დაბადების დღე 14 ივლისს არის, ამ დღეს მის მშობლიურ ფშავში სახალხო დღესასწაული ვაჟაობა იმართება ხოლმე, სადაც შეკრებილი საზოგადოება ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლების შემოქმედებას ეცნობა, ტრადიციულ დოღს ესწრება და ფშავური ლუდის ხარშვასა და მის დაგემოვნებაშიც იღებს აქტიურ მონაწილეობას. წელს ვაჟაობაზე დასწრებას ამ დიდებული ხელოვანის შემოქმედების თაყვანისმცემლებთან ერთად ბიძინა ივანიშვილიც აპირებს.

# დიპლომანტი რეჟისორები საქართველოს თეატრებში გადანაწილდნენ

ეკა ირემაშვილი

როგორც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ გაახმოვანა, სამინისტრო იწყებს ახალ პროექტს, რომლის ფარგლებშიც შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის დიპლომანტი რეჟისორები საქართველოს თეატრების სცენებზე გადანაწილდებიან და შესაძლებლობა მიეცემათ იქ მომუშავე მსახობებთან იმუშაონ.

აღნიშნული პროექტის პრეზენტაციას ესწრებოდნენ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნოშრევან ჩხაიძე, ამავე უნივერსიტეტის მენეჯერი ქეთევან ჯანელიძე, დიპლომანტების ხელმძღვანელი, რეჟისორი ლევან წულაძე, ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მმართველი გიორგი სიხარულიძე, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გიორგი თავაძე, თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მმართველი პაატა გულიაშვილი, მესხეთის (ახალციხის) სახელმწიფო დრამატული თეატრის მმართველი ლია სულუაშვილი, ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელმწიფო დრამატული თეატრის მმართველი ნანა წერეთელი, დიპლომანტი რეჟისორები, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე მაკო ჭოღოშვილი და მინისტრი ნიკოლოზ რურუა.

– საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ჩვენ გავმართეთ სპეციალური პრესკონფერენცია, რომელიც კულტურის სამინისტროს ახალ პროექტს შეეხებოდა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივითა და ხელშეწყობით, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, ამავე უნივერსიტეტის 5 დიპლომანტი რეჟისორი საქართველოს 5 რეგიონულ თეატრში ახალ სპექტაკლებს დადგამს, – განაცხადა მინისტრმა.

ამჯერად, სამინისტროს გადაწყვეტილებით, საქართველოს თეატრების სცენაზე თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის 5 დიპლომანტი რეჟისორი გადანაწილდა.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# დავით ალადაშვილმა საქართველოში ტურნე დაასრულა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მიზანია რეგიონების მუსიკალურ სასწავლებლებში პროფესიული დონის ამაღლება და კლასიკური მუსიკის პოპულარიზაცია, რომელიც ითვალისწინებს საზღვარგარეთ წარმატებული ცნობილი ქართველი მუსიკოსების ტურნეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. პროექტის ფარგლებში მუსიკოსები კონცერტების გარდა, სამუსიკო სასწავლებლების მოსწავლეებს მასტერკლასებსაც უტარებენ, – აღნიშნა კულტურის მინისტრმა.

პროექტი ხორციელდება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ეგიდით.

– დავით ალადაშვილმა 11 წლის ასაკში დაიწყო ფორტეპიანოზე დაკვრა, 15 წლის ასაკში კი ჩააბარა სამუსიკო სასწავლებელში. ხუთი წლის წინ გაემგზავრა ნიუ-იორკში და სწავლა განაგრძო ჯულიარდის სკოლის წინამოსამზადებელ კოლეჯში. მან გაიარა მასტერკლასები ისეთ პროფესორებთან, როგორებიც არიან კარლ ჰეინზ კემერლინგი, დიმიტრი ბაშკიროვი, ალექსანდრე ბანდურიანსკი, ალექსანდრე კორსანტია და სხვა ცნობილი პიანისტები. პიანისტს მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ ფესტივალში, ვლადიმერ ნილსენის საფორტეპიანო ფესტივალით დაწყებული, რომელიც ნიუ-იორკში 2008-2009 წლებში გაიმართა, ავსტრიის საერთაშორისო საზაფხულო აკადემიით დამთავრებული. კონკურსებიდან და ჯილდოებიდან აღსანიშნავია თბილისის ახალგაზრდა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის პირველი პრემია, მოსკოვის ვლადიმერ სპიკანოვის საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატობა, პარიზის ნიკოლაი რუბენშტეინის საფორტეპიანო კონკურსის გრანპრი, ადრეულ ასაკში მიიღო საპრეზიდენტო სტიპენდია და დღეს ჯულიარდის სტიპენდიანტია, – განმარტავენ კულტურის სამინისტროში.

2010 წლის თებერვალში დავით ალადაშვილმა სოლო პარტია შეასრულა კარნეგი ჰოლში, ნიკა რაჭველის და საქართველოს ნაციონალური ორკესტრის თანხლებით. ამავე წლის ნოემბერში მონაწილეობა მიიღო ლინკოლნ ცენტრში „თეთრი შუქის ფესტივალზე“. გასული წლის მარტში დავით ალადაშვილმა გამართა საკონცერტო ტურნე ჰიუსტონსა და თბილისში. თბილისში საქართველოს ტურნეს ფარგლებში დაგეგმილ დასკვნით კონცერტამდე დავით ალადაშვილმა კონცერტი ბათუმის ხელოვნებისა და მუსიკის ცენტრშიც ჩაატარა.

დავით ალადაშვილი მეორე პიანისტია, ვინც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და კონსერვატორიის ეგიდით წამოწყებულ პროექტში ჩაერთო. ჯულიარდის სკოლის მოსწავლემდე საქართველოს რეგიონები ასევე წარმატებულმა ქართველმა პიანისტმა ედიშერ სავიცკიმ მოიარა. დავით ალადაშვილის მსგავსად, მანაც კონცერტები და მასტერკლასები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ჩაატარა. ტურნე კი თბილისში, კონსერვატორიის დარბაზში გამართული კონცერტით დაასრულა.

როგორც კულტურის სამინისტროში განმარტეს, პროექტი მომავალშიც გაგრძელდება და კონსერვატორიის ხელმძღვანელობასთან ერთად კულტურის სამინისტროს მესვეურნი ერთობლივად გადაწყვეტენ, კიდევ რომელი წარმატებული ქართველი პიანისტი მოიწვიონ საქართველოში დაუვიწყარი კონცერტებისა და ახალგაზრდა პიანისტებისთვის ესოდენ სასარგებლო მასტერკლასების ჩასატარებლად.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.




იცხოვრეთ მომავლისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

ცფ,ფყრჯპტრდბპბნტ,ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohfab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8
~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`



## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.მ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ბუნებრივი საშუალებებით უმკურნალეთ ბავშვებში ქრონიკულ სურდოს, ანგინას, შეკრულობას, დისბაქტერიოზს, ჭიებს, შიშებსა და უძილობას პედიატრ-ჰომეოპატთან კლინიკა „მედიგარდში“. მის: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 593-78-44-67.

● კლინიკა „მედიგარდი“ გთავაზობთ ნებისმიერი ტიპისა და სირთულის სისხლძარღვოვანი პათოლოგიის გამოკვლევასა და მკურნალობას. მკურნალობა ეფუძნება შემდეგ მეთოდებს: მეზოთერაპია, ჰირუდოთერაპია (წურბელები), ჰომეოპათია, ოზონოთერაპია და ფიტოთერაპია. მისამართი: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 599-57-25-08.

● იყიდება ძროხების ფერმა 16 სული, 12 ნამატით, ძროხებისა და მომვლელის კაპიტალური ბინით, მთელი წელი უზრუნველყოფილი საძოვრით. გლდანის ციხიდან 6 კმ-ში. ტელ: 591-409-131 ვარლამი.

# მანუჩარ მარკოიშვილი: მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, ახალგაზრდებს რაც შეიძლება მეტი შევძინოთ“

მანუჩარ მარკოიშვილი მტკივან მხარს სპეციალური მოწყობილობით ვარჯიშებს და ევროპის 2013 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის ასე ემზადება. საშიში არაფერია, მანუჩარს მხარი ოდნავ აწუხებს, უბრალოდ, ამით მისი პროფესიონალიზმისთვის გვინდოდა ხაზის გასმა. მარკოიშვილი ყოველმხრივად მოწესრიგებული სპორტსმენია და სწორედ მისი თავდაუზოგავი შრომისა და დისციპლინის შედეგია ის, რასაც იგი დღეს წარმოადგენს. მარკოიშვილი იტალიის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდ „კანტუს“ ლიდერია და საქართველოს ნაკრებსაც მისი დიდად ეიმედება.

***— „კანტუსთან“ კონტრაქტი ისევ გაკავშირებთ?***

— კონტრაქტის ძირითადი ნაწილი გასული სეზონის ბოლოს ამოიწურა, თუმცა პლუს 1 წელი კიდევ იყო დარჩენილი და როგორც ვიცი, კვლავ „კანტუში“ ვრჩები. გუნდის ხელმძღვანელობას ჩემთან განშორების სურვილი არ გამოუთქვამს.

***— თავად თუ გსურდათ „კანტუში“ დარჩენა, სხვა გუნდის ვარიანტი ხომ არ გქონიათ?***

— არ მქონია და სიმართლე ვთქვა, არც მაქვს სურვილი. „კანტუ“ შესანიშნავი გუნდია, ევროლიგაში თამაშის შანსი მომავალ სეზონშიც გვაქვს, თუკი საკვალიფიკაციო ტურნირს წარმატებით გავივლით.

***— გასული სეზონი წინამორბედისგან განსხვავებით წარუმატებელი იყო.***

— რა თქმა უნდა. შარშან ფინალში გავედით, ახლა კი პლეი იფის პირველსავე რაუნდში გამოვარდით. „სკავოლინისგან“ ძალიან დასანანი მარცხი ვიწვნიეთ. გიორგი შერმადინთან ერთად ტრავმის გამო რამდენიმე მოთამაშე გვაკლდა, მაგრამ მაინც არ გვეპატიება, რადგან სერიას 2:0 ვიგებდით.

***— შერმადინი ახსენეთ, რომელიც თქვენი თანაგუნდელი აღარ არის. „კანტუს“ ხელმძღვანელობა უკმაყოფილო იყო მისი „მაკაბიში“ გადასვლის ფორმით.***

— კლუბის ხელმძღვანელობას არ ესიამოვნა, შერმადინმა „მაკაბისთან“ სეზონის დასრულებამდე რომ დაიჭირა საქმე, მაგრამ ეს საკითხი არ გამძაფრებულა. გიორგისთვის ასე ჯობდა. მეც ამის გამო წინააღმდეგი არ ვარ მისი „მაკაბიში“ გადასვლით.

***— სანამ კლუბებს დაუბრუნდებით, შერმადინთან და ნაკრების დანარჩენ წევრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატის საგზურისთვის მოგიწევთ ბრძოლა. რას იტყვით ჩვენს შანსებზე?***

— ბოსნიას ყველაზე კარგი გუნდი ჰყავს. ლატვია ახალგაზრდული, მაგრამ საკმაოდ ძლიერი გუნდია. ჰოლანდიას კარგად არ ვიცნობ, მაგრამ თამაში ყველამ ისწავლა. თუნდაც ჯგუფში ჩვენმა მეოთხე მეტოქე რუმინეთმა. სხვათა შორის, რუმინეთის ნაკრებთან 2 წლის წინ თბილისის საერთაშორისო ტურნირზე გაგვიჭირდა. ასე რომ, ყველა გუნდთან მთელი მობილიზებით მოგვიწევს ბრძოლა. ჩვენი მეტოქეების არაერთ კალათბურთელს ვიცნობ, რომელთა წინააღმდეგაც საკლუბო დონეზე არაერთხელ მითამაშია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ისინი ნაკრებში უფრო სხვა განწყობით, მეტი შემართებითა და ჟინით ითამაშებენ. ასე რომ, ჩვენც მაქსიმუმის გაკეთება მოგვიწევს წარმატების მისაღწევად.



***— ნაკრებს რამდენიმე გამოცდილი კალათბურთელი გამოაკლდა, სამაგიეროდ ახალგაზრდებს მიეცათ შანსი. როგორ ფიქრობთ, ამით საქართველოს ნაკრების თამაშის სტილი ხომ არ შეიცვლება?***

— არ ვიცი რა, მაგრამ რაღაც რომ შეიცვლება, ეს ნაღდია. არაერთი ახალგაზრდა შეგვემატა, რომელთაგან ძირითადშიც მოხვდება რამდენიმე და ისინი ნაკრებს უნდა შეეთვისონ. მათი რაციონალურად გამოყენება უნდა მოხდეს. ახალგაზრდა ნაკრებში ყოველთვის უნდა იყოს, იმიტომ, რომ მუდმივად არავინ ვიქნებით ნაკრებში. ადრე თუ გვიან, სწორედ ახალგაზრდობა უნდა ჩაენაცვლოს ძველ შემადგენლობას. ეს პროცესი მწვრთნელმა უნდა განსაზღვროს და აკონტროლოს.

***— რას იტყვით ნაკრებში გამოძახებულ ახალგაზრდებზე?***

— ნაკრებში ჯერ მხოლოდ 2 ახალწვეული — აკაკი დვალიშვილი და ბექა ბექაური ვარჯიშობენ. ისინი ძალიან კარგი სპორტსმენები და ადამიანები არიან. ორივე ძალიან მონდომებულია და ჩვენც, ნაკრების გამოცდილი კალათბურთელები მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ ახალგაზრდებს რაც შეიძლება მეტი შევძინოთ. ყველანაირად დავეხმარები ნაკრების ახალბედა წევრებს, რომლებმაც თავის მხრივ უნდა გაითავისონ, რომ ეროვნული გუნდის წევრები არიან და მათ მთელი ქვეყანა უყურებს.

***— რას იტყვით ნაკრების ახალ გამთამაშებელ კორი ფიშერზე?***

— არ მინახავს მისი თამაში და ვერაფერს ვიტყვი. ჩემი განსახილავი არაა მისი თამაში. ნაკრების ხელმძღვანელმა უკვე მიიღო გადაწყვეტილება და იმედი მაქვს, ფიშერი ნაკრებს გამოადგება.

***— 17 ივლისიდან ნაკრები ავსტრიაში სრულად შეიკრიბება და შესარჩევ ტურნირამდე 8 საკონტროლო მატჩს გამართავს.***

— მომზადების ეს პროგრამა უკვე კარგად აპრობირებულია. ნაკრები უკვე წლებია, შეკრებას ავსტრიაში გადის და როგორც შედეგებმა გამოაჩინა, ეს საკმაოდ ხელსაყრელი ვარიანტია. მომზადების კარგი პირობები გვექნება, პლუს ამას, 8 საკონტროლო მატჩი შეთამაშებაში დაგვეხმარება. ვფიქრობ, შესარჩევი ეტაპის დაწყებისთვის სასურველ ფორმაში ვიქნებით.

# შესანიშნავი ფეხბურთელები და წარმატებული მწვრთნელები

ფრანგულმა გამოცემამ „ეკიპმა“ გაიხსენა მწვრთნელთა ხუთეული, რომლებმაც როგორც ფეხბურთელის, ისე მწვრთნელთა რანგშიც დიდ წარმატებას მიაღწიეს. აღსანიშნავია, რომ სიაში გერმანელები ჭარბობენ — მათი რაოდენობა 3-ია. თითო წარმომადგენელი ჰყავს ბრაზილიასა და იტალიას.

მარიო ზაგალო (ბრაზილია)

მარიო ჟორჟი ლობო ზაგალო მეტსახელად „ჭიანჭველა“ გახდა პირველი ადამიანი, რომელმაც მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი, როგორც ფეხბურთელის, ასევე მწვრთნელის რანგში. 1958 და 1962 წელს ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში შეძლო წარმატების მიღწევა შვეიცარიასა და ჩილეში გამართულ მსოფლიო პირველობაზე, ხოლო 1970 წელს მისი ხელმძღვანელობით ბრაზილიის ნაკრებმა ტიტულის მოპოვება მექსიკაში კიდევ ერთხელ შეძლო და გახდა პირველი ნაკრები, რომელმაც სამჯერ მოახერხა თასის მოპოვება.

ზაგალოს 1970 წლის ბრაზილიის ნაკრებში თამაშობდნენ — პელე, ჟაირზინიო, ტოსტაო, რობერტო რიველინო და კარლოს ალბერტო. ეს გუნდი სამუდამოდ დარჩა მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო ნაკრებად. 1994 წელს ზაგალომ, კარლოს ალბერტო პარეირეს დაეხმარებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში კიდევ ერთხელ აღმართეს მსოფლიო თასი. 4 წლის შემდეგ კი კვლავ მისი ხელმძღვანელობით წარსდგა მსოფლიოს წინაშე ხუთგზის ჩემპიონები, მაგრამ მაშინ მასპინძელმა საფრანგეთის ნაკრებმა ისინი ფინალში დაამარცხა.

თამაშობდა: ბრაზილიის ნაკრებში (1958-1964), „ფლამენგოში“ (1950-1958) და „ბოტაფოგოში“ (1958-1965).

წვრთნიდა: ბრაზილიის ნაკრებს (1970-1974 და 1994-1998), კუეიტს (1976-1978), საუდის არაბეთს (1981-1984) და არაბეთის გაერთიანებულ საემიროებს (1989-1990); „ბოტაფოგოს“ (1966-1970, 1975, 1978-1979 და 1986-1987), „ფლუმინენსეს“ (1971-1972), „ფლამენგოს“ (1972-1974, 1984-1984 და 2000-2001), „ალ-ჰილალს“ (საუდის არაბეთი, 1978-1979), „ვასკო და გამას“ (1980-1981 და 1990-1991), „ბანგუს“ (1988-1989) და „პორტუგეზა დესპორტოსს“ (1999-2000).

მიღწევები: მსოფლიო ჩემპიონი (1958, 1962, 1970 და 1994), მსოფლიო ვიცე-ჩემპიონი (1998), ამერიკის თასის მფლობელი (1997) და კონფედერაციის თასის მფლობელი (1997); „ტასა დო ბრაზილის“ გამარჯვებული (1968) და ტურნირის რიო-სანპაულოს გამარჯვებული (1962 და 1964), ამერიკის თასის ფინალისტი (1959 და 1995), რიო დე ჟანეიროს შტატის ჩემპიონი (1961, 1962, 1967 და 1968).

ფრანც ბეკენბაუერი (გერმანია)

კაიზერ ფრანცი მეორეა ზაგალოს შემდეგ, რომელიც გახდა მსოფლიო ჩემპიონი როგორც ფეხბურთელი, ისე მწვრთნელი. წარმატებას პირველივე მცდელობისას ვერ მიაღწია. 1966 წელს ფინალში გერმანელები ინგლისელმა თავდამსხმელმა ჯეფ ჰერსტომმა და საბჭოთა მსაჯმა როფიკ ბახრამოვმა შეაჩერეს, 4 წლის შემდეგ კი ნახევარფინალში იტალიას ვერ გასცდნენ. საბოლოოდ, მიზანს მაინც მიაღწია ბეკენბაუერმა და მსოფლიო თასი 1974 წელს აღმართა.

თუ ფეხბურთელობის დროს მიზანს გვიან მიაღწია, მწვრთნელის რანგში პირიქით — ეს სიმაღლე მალევე დაიპყრო. 1986 წლის ფინალში არ გაუმართლა, არგენტინის ნაკრებმა აჯობა, რომელშიც დიეგო მარადონა თამაშობდა. სამაგიეროდ, 4 წლის შემდეგ არგენტინის ჯავრი იტალიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე იყარა ზუსტი თერთმეტმეტრიანი დარტყით, რომელიც ანდრეს ბრემემ დააგვირგვინა.

თამაშობდა: გფრ-ს ნაკრებში (1965-1977); „ბავარიაში“ (1965-1977), „ნიუ იორკ კოსმოსში“ (აშშ, 1977-1980 და 1983), „ჰამბურგში“ (1980-1982).

წვრთნიდა: გფრ-ს ნაკრებს (1984-1990); „მარსელს“ (საფრანგეთი, 1990-1991) და „ბავარიას“ (1994-1996).

მიღწევები: მსოფლიოს ჩემპიონი (1974, 1990), ევროპის ჩემპიონი (1972), მსოფლიოს ვიცე ჩემპიონი (1966, 1986), ევროპის ვიცე ჩემპიონი (1976), ბრინჯაოს მედალოსანი 1970 (მჩ); ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი (1974, 1975 და 1976), საკონტინენტთაშორისო თასის გამარჯვებული (1976), უეფას თასის მფლობელი (1967 და 1996) და ფრგ-ს თასის გამარჯვებული (1966, 1967, 1969 და 1971), გერმანიის ჩემპიონი (1969, 1972, 1973, 1974, 1982 და 1994), აშშ (1977, 1978 და 1980), საფრანგეთი (1991), ევროპის ჩემპიონატის თასის ფინალისტი (1991).

ბერტი ფოგტსი (გერმანია)

ჰანს ჰუბერტ ფოგტსი, რომელსაც ბერტი ფოგტსად უფრო იცნობენ, იყო გფრ-ს მცველი და მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი 1972-1974 წლებში. შეუდრეკელი ხასიათის და სიჯიუტის გამო გულშემატკივარმა მეტსახელად „ტერიერი“ შეარქვა. ფოგტსმა ბეკენბაუერი შეცვალა გერმანიის ნაკრების თავკაცის რანგში. მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვება ვერ შეძლო. 1994–1998 წლებში გერმანიის ნაკრები მეოთხედფინალური ეტაპიდან გამოეთიშა ასპარეზობას. მაგრამ 1996 წელს ინგლისში ფოგტსი გახდა პირველი მოთამაშე და აქამდე ერთადერთიც, ვინც მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა როგორც ფეხბურთელმა, ასევე მწვრთნელმა.

თამაშობდა: გფრ-ს ნაკრებში (1967-1978); „მიონხენგლადბახში“ (1965-1979).

წვრთნიდა: გერმანიის ნაკრებს (1990-1998), კუვეიტს (2001-2002), შოტლანდიას (2002-2004), ნიგერიას (2007-2008) და აზერბაიჯანს (2008-დღემდე); „ბაიერნს“ (2000-2001).

მიღწევები: მსოფლიო ჩემპიონი (1974), ევროპის ჩემპიონი (1972 და 1996), ევროპის ვიცე ჩეომპიონი (1976 და 1992), ბრინჯაოს პრიზიორი 1970; უეფას თასის მფლობელი (1975, 1979) და ფრგ-ს თასის გამარჯვებული (1973), გერმანიის ჩემპიონი (1970, 1971, 1975, 1976 და 1977), ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალისტი (1977).

რუდი ფიოლერი (გერმანია)

კიდევ ერთი გერმანიის წარმომადგენელი. 1990 წელს იტალიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე შეძლო გამხდარიყო მსოფლიო თასის გამარჯვებული ფეხბურთელი. ერთი ნაბიჯი დააკლდა იგივე ტიტული მოეპოვებინა, მაგრამ ამჯერად მწვრთნელის რანგში. 2002 წელს მისი ხელმძღვანელობით გერმანიის ნაკრებმა შეძლო ფინალში გასვლა, მაგრამ გაუჭირდა ბრაზილიის ნაკრების თავდამსხმელის — რონალდოს შეჩერება.

თამაშობდა: გერმანიის ნაკრებში (1982-1994); „მიუნხენ 1860-ში“ (1980-1982), „ვერდერში“ (1982-1987), „რომაში“ (იტალია, 1987-1992), „მარსელში“ (საფრანგეთი, 1992-1994), „ბაიერნში“ (1994-1996).

წვრთნიდა: გერმანიის ნაკრებს (2000-2004); „ბაიერნს“ (2000 და 2005), „რომას“ (იტალია, 2004).

მიღწევები: მსოფლიო ჩემპიონი (1990), მსოფლიოს ვიცე ჩემპიონი (1986 და 2002), ევროპის ვიცე ჩემპიონი (1992); ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი (1993) და იტალიის თასის მფლობელი (1991), საფრანგეთის თასი (1992), უეფას თასის ფინალისტი (1991).

დინო ძოფი (იტალია)

ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში. ნაკრებში 14 წლის განმავლობაში თამაშობდა შეუცვლელად. ორი დიდი ტიტული მოიპოვა. იტალიის ნაკრების შემადგენლობაში ძოფმა 1968 წელს ევროპის ჩემპიონატი, ხოლო 1982 წელს მსოფლიო თასი მოიგო. მწვრთნელის რანგში კი 2000 წელს ევროპის ვიცე-ჩემპიონობა მოუტანა „სკუადრა აძურას“. მაშინ იტალიას ერთი ნაბიჯი დააკლდა ტიტულამდე. დავიდ ტრეზეგემ „ოქროს გოლი“ დამატებით დროში გაიტანა და ძოფი ევროპის ჩემპიონის ტიტულის გარეშე დატოვა მწვრთნელის რანგში.

თამაშობდა: იტალიის ნაკრებში (1968-1983); „უდინეზეში“ (1961-1963), „მანტოვაში“ (1963-1967), „ნაპოლიში“ (1967-1972) და „იუვენტუსში“ (1972-1983).

წვრთნიდა: იტალიის ნაკრებს (1998-2000); „იუვენტუსს“ (1988-1990), „ლაციოს“ (1990-1994, 1996-1997 და 2001) და „ფიორენტინას“ (2005).

მიღწევები: მსოფლიო ჩემპიონი (1982), ევროპის ჩემპიონი (1968), მსოფლიოს ვიცე ჩემპიონი (1970), ევროპის ვიცე ჩემპიონი (2000); უეფას თასის მფლობელი (1977 და 1990) და იტალიის თასი გამარჯვებული (1979, 1983 და 1990), იტალიის ჩემპიონი (1973, 1975, 1977, 1978, 1981 და 1982).

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ტორსჰავნი-ლინფილდი | 0:0(3:4პ) |
| ლუზიტანოსი-ვალეტა | 0:1 |
| ტრე პენე-დუდელანჟი | 0:4 |

**ევროპის ლიგა**

| | |
|---|---|
| ფლორიანა-ელფსბორგი | 0:4 |
| გრევენმახერი-ტირანა | 0:0 |
| ნიმე კალიუ-ხაზარი | 0:2 |
| პორტდაუნი-შკენდერბუ | 2:1 |

**უკრაინა. სუპერთასი**

| | |
|---|---|
| შახტარი-მეტალურგი(დ) | 2:0 |

**კალათბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ესპანეთი-საფრანგეთი | 81:65 |
| ჩინეთი-ავსტრალია | 70:51 |

**ჩოგბურთი**

**ატპ. ნიუპორტი. ბალახი**

| | |
|---|---|
| ზემლია-რამი | 3:6;1:6 |
| ისნერი-ბუბკა | 7:6;4:6;6:3 |
| ლევაინი-მატოსევიჩი | 6:2;7:6 |
| ჰიუიტი-პოსპიშილი | 6:1;6:1 |

**ატპ. შტუტგარტი. თიხა**

| | |
|---|---|
| ჩარდი-რაისტერი | 6:2;6:4 |
| პერი-შვანკი | 7:6;6:4 |
| ჰაასი-ანდრეევი | 4:6;6:2;6:2 |
| კუბოტი-შტებე | 2:6;6:0;3:6 |

**ატპ. უმაგი. თიხა**

| | |
|---|---|
| ფერერო-პავიჩ | 2:6;2:6 |
| ბრანდსი-ტრუსენდი | 6:1;7:6 |
| გულბისი-ფრაილე | 6:1;6:3 |
| ბერლოკი-დოდიგი | 6:4;6:0 |

**ვტა. პალერმო. თიხა**

| | |
|---|---|
| ტატიშვილი-ევტიმოვა | 6:2;6:2 |
| ვინჩი-კნაპი | 6:2;6:2 |
| გერგესი-ამანმურადოვა | 6:4;7:6 |
| სავინიხი-მაროში | 4:6;3:6 |

**ვტა. სტენფორდი. ჰარდი**

| | |
|---|---|
| რადვანსს!ა.-დანილიდუ | 3:6;6:3;6:4 |
| მორიტა-ჩჟენი | 2:6;0:6 |
| კეტავონგი-ბურდეტი | 6:2;5:7;4:6 |
| კინგი-კირსტეა | 5:7;4:6 |

# ყენიას პირველი მატჩი ზენიტში

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელმა, ლევან ყენიამ პირველი მატჩი ჩაატარა სანკტ-პეტერბურგის „ზენიტში“. ლუჩანო სპალეტის გუნდმა 6:0 გაანადგურა რუსეთის მეორედივიზიონელი „რუსი“. ქართველი ნახევარმცველი 56-ე წუთზე შევიდა მინდორზე, როცა ანგარიში 2:0 იყო. გუნდებმა 40-წუთიანი ტაიმები ითამაშეს.

ჩვენი აზრით, ლევანმა კარგად ითამაშა და მის საქებარ სიტყვებს „ზენიტის“ ვებგვერდზე კომენტარებშიც ბლომად წავაწყდით. მართალია, ყენიას გოლი არ გაუტანია, მაგრამ საგოლე პასი გააკეთა. ბევრი სახიფათო შეტევა სწორედ მან დაიწყო და ხშირად ამწვავებდა თამაშს.

ყენიამ 21 ნომრით ითამაშა, თუმცა ჯერ ბოლომდე გადაწყვეტილი არაა, რომ ოფიციალურად ამ ნომრის მაისურას გადასცემენ — ეს, უბრალოდ, ტესტ-მატჩი იყო. და საინტერესოა ისიც, რომ მოედანზე მყოფი ფეხბურთელი კლუბის ვებგვერდის საბოლოო და ოფიციალურ ოქმში არ ფიგურირებს. რატომ მალავენ მის კონტრაქტს სანკტპეტერბურგელები, ვერ გეტყვით.

ყენიას კლუბში გადასვლასთან დაკავშირებით ორაზროვანი პასუხი ჰქონდა სპალეტისაც.

— ყენია კლუბის პრეზიდენტმა შემოგვთავაზა და ეს შემოთავაზება მივიღეთ, როგორც სხვები. მას გააჩნია ძალიან კარგი თვისებები, თუმცა ამას მაშინ აჩვენებდა, როდესაც სათამაშო პრაქტიკა ჰქონდა. ყენიას ბევრი გაუცდა და ამიტომ საჭიროა მისი ნახვა, კიდევ დავაკვირდეთ, რომ მისი რეალური ძალა გავიგოთ. თუმცა, რადგან პრეზიდენტმა შემოგვთავაზა, ესე იგი საინტერესოა და დავაკვირდებით. ასე რომ, სჯობს ეს საკითხი ცოტა გადავწიოთ. კონტრაქტი გაფორმდა თუ არა მასთან, ეს კლუბის ხელმძღვანელობას ჰკითხეთ, — განაცხადა სპალეტიმ.



— მოხარული ვარ, რომ ამ გუნდში აღმოვჩნდი, იმედი მაქვს ჩემი ჯანმრთელობა აქ თამაშის საშუალებას მაინც მომცემს. სადღეისოდ 100 პროცენტით ვარ მზად და ტრავმის კვალი აღარ არის. თამაშის მერე კი მივხვდი, რომ ბევრი სამუშაო მაქვს და ფორმა აღსადგენი. ქალაქის გაცნობა უკვე მოვასწარი — პიტერი გელზერკირხენი არ არის, დიდი მეგაპოლისია. პირველი შთაბეჭდილებაც ჩინებულია. ვითამაშებ თუ არა სუპერთასზე? არ ვიცი, ყველაფერი მწვრთნელის გადასაწყვეტია. მე კი ჯერ ფორმის აღდგენა მჭირდება, — ეს კი უკვე ყენიას სიტყვებია.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ბერლუსკონი პოლიტიკაში ხმაურით ბრუნდება

„ლაიფნიუსის“ ინფორმაციით, იტალიის სკანდალურმა ექსპრემიერმა სილვიო ბერლუსკონიმ პოლიტიკაში ხმაურით დაბრუნება გადაწყვიტა. ორკვირიანი ფიქრის შემდეგ, ბერლუსკონიმ გადაწყვეტილება მიიღო – ის ზაფხულის თვეებს თავის ვილაში არკორაში კი არ გაატარებს, არამედ პოლიტიკური საქმიანობის მომზადებას შეუდგება.



– სილვიო ბერლუსკონიმ პრემიერის პოსტი 2011 წელს დატოვა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, მან კარგად შეისწავლა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარება, გააანალიზა და მომხრეებთან ერთად მიიღო გადაწყვეტილება-მონაწილეობა მიიღოს 2013 წლის არჩევნებში. ბერლუსკონი თავისი პარტიისთვის სახელის შეცვლასაც გეგმავს, „თავისუფალი ერი“ 2013 წლის არჩევნებში სულ სხვა სახელწოდებით წარსდგება. ბერლუსკონი ძირითად ფსონს „ეკონომიკურ პროგრამაზე გააკეთებს, რომელიც ქვეყანას ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, იმედს და ოპტიმიზმს დაუბრუნებს“, – აღნიშნავს „ლაიფნიუსი“.

„კორიერე დელა სერას“ თანახმად, ბერლუსკონიმ ამ თემაზე ცოტა ხნის წინ გამართულ პარტიის შეკრებაზე ისაუბრა. შეხვედრაზე ბოლო გამოკითხვების შედეგები განიხილეს, რომლის იგნორირებაც ყოფილი პრემიერის სიტყვებით არ შეიძლება.

ამ გამოკვლევების თანახმად, ბერლუსკონის პარტია 2013 წლის არჩევნებში მისი მონაწილეობის გარეშე ხმების 10 %-საც ვერ მიიღებს. იმ შემთხვევაში კი თუ პარტია პრემიერის კანდიდატურაზე პარტიის მდივანს ანჯელინო ალფანოს წარადგენს, მაშინ პარტია 18 %-ის აღებას შეძლებს, თუმცა თუ პარტიის სიას სილვიო ბერლუსკონი უხელმძღვანელებს მაშინ ეს რიცხვი 30 %-მდე გაიზრდება.

როგორც გაზეთი წერს, ბერლუსკონი დარჩენილი თვეების განმავლობაში დიდ პოლიტიკაში დაბრუნებისათვის მოემზადება, ასევე აპირებს ახალი ეკონომიკური პროგრამის დაწერას.

სილვიო ბერლუსკონი იტალიის პრემიერ-მინისტრი იყო 1994-95, 2001-06 და 2008-11 წლებში.

ბერლუსკონი არის იტალიის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი, იგი ფლობს სამ იტალიურ ტელეარხს, იტალიის უდიდეს საგამომცემლო სახლს, ასევე 1986 წლიდან არის საფეხბურთო კლუბ მილანის მფლობელი და პრეზიდენტი. ჟურნალ ფორბსის ინფორმაციით 2011 წელს მისი აქტივები შეფასებილია 6 მილიარდ დოლარად.

# დოკუ უმაროვის მცველი ხელისუფლებას ჩაბარდა

რესპუბლიკის უსაფრთხოების საბჭოს ხელმძღვანელის აჰმედ კოტიევის განცხადებით, დოკუ უმაროვის ერთ-ერთი პირადი მცველი, რომლის სახელს და გვარს უსაფრთხოებიდან გამომდინარე არ ასახელებენ, ხელისუფლებას ჩაბარდა. – დღესდღეობით ის ხელისუფლების დაცვის ქვეშაა, – განაცხადა კოტიევმა.

საბჭოს ხელმძღვანელის განცხადებით, ბოლო პერიოდში 31 ბოევიკი დაუბრუნდა სამშობლოს.

– შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც ბოევიკების სამოქალაქო ინტეგრირების საკითხებზე მუშაობს. თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ კომისიის დახურვაც მოგვიწევს, რადგან სულ 50-მდეა ბოევიკია დარჩენილი, – აცხადებს კოტიევი.

რაც შეეხება თავად დოკუ (დოკა) უმაროვს (დ. 13 აპრილი, 1964, ჩეჩნეთი), ის დღემდე იჩქერიის პრეზიდენტად და ჩრდილოეთ კავკასიის ემირად იწოდება. იგი რუსეთ-ჩეჩნეთის ომის დაწყების დღიდან იბრძვის რუსეთის წინააღმდეგ. ამ ომში გამოჩენილი სიმამაცისთვის უმაროვი დაჯილდოებულია ორი ორდენით („ერის პატივი“ და „ერის გმირი“). არსებული მონაცემებით, პირად სამხედრო შემადგენლობაში ჰყავს რამდენიმე ასეული მებრძოლი.



*მოამზადა*
*გერა მამულაშვილმა*

hჰჯცღჯჰცბ ,



**შვეულად:** 1. სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელი ფირმა; 2. რაიმეს დასამტკიცებლად გამოყენებული საბუთი; 3. ექიმის, მკურნალის ლათინური სახელწოდება; 4. სრული ბრუნი ცალი ფეხის თითის წვერებზე ცეკვაში; 5. რძეში მოზელილი, კვერცხწასმული და თონეში გამომცხვარი პური; 9. ჰორიზონტალური სამშენებლო კონსტრუქცია; 11. ნიმუში, ტრაფარეტი; 12. მოხეტიალე ცირკი; 14. მდინარე ამსტერდამში; 18. სპორტული, სასეირნო ნავი; 19. ფინეთის პარლამენტი.

**თარაზულად:** 4. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური სამხრეთ კორეაში; 5. შავკანიანთა რასის წარმომადგენელი; 6. უბანი თბილისში; 7. ლიბიის დედაქალაქი; 8. ნარკოტიკებით წვრილმანი მოვაჭრე აშშ-ში; 10. ლიმონის წვენითა და შაქრიანი წყლით შეზავებული ცხელი რომი; 13. მოუქნელი, ზანტი ადამიანი; 15. სევდიანი ლირიკული ლექსი; 16. უნგრული ნაგაზი; 17. ერთგულების მტკიცე პირობა; 20. არგენტინის ნაკრებისა და „მანჩესტერ სიტი“-ს ფეხბურთელი; 21. ქართული ცეკვა; 22. პოლიციის ქვედანაყოფი საქართველოში; 23. ქართული მულტიფლიკაციის ფუძემდებელი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

**ობყფ ყჯვცჰიბ უფვჯმღც.ყც,ეჯბ hჰჯცღჯჰცც,ბც გფცეƖც,ბ5**

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ყანდარელი; 2. პუდრეტი; 3. შირაზი; 4. შარკო; 5. გლაზგო; 11 ხუტორი; 12 მადერა; 14. ბივა; 16. პლატინა; 17. პრიკაზი; 19. სურჩინა; 21. ლუქსი; 22. ბროლი.

**თარაზულად**: 6. ხაჭაპური; 7. ნეაპოლი; 8. კენზო; 9. ჯამილე; 10. ზესხო; 13. ალიბი; 15. იპოქონდრია; 18. ტიგრისი; 20. რომა; 21. ლოგიკა; 22. კალიფორნია; 24. ზაჰესი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ვენეცია; 2. ორიენტირი; 3. ყინწვისი; 4. პერგოლა; 5. გვრინი; 9. რონოდა; 11. რუსტიკა; 12 სეტყვა; 14. სიმენსი; 18. ეთერი; 19. ხუნდი.

**თარაზულად**: 4. პუდელი; 5. გაგრიფში; 6. გინზა; 7. კრატერი; 8. კენკრა; 10. ეწერი; 13. იბსენი; 15. ტვენტე; 16. სიტე; 17. კარე; 20. ეტიუდი; 21. კამენა; 22. კარკასი; 23. დროება.



# საბას“ დაჯილდოება რუსთაველის თეატრში გაიმართება

**ლიტერატურული პრემია „საბას“ დაჯილდოების ცერემონიალი, რომელიც 9 ივლისს ტრადიციულად თიბისი ბანკის სათავო ოფისში უნდა გამართულიყო, უამინდობის გამო გადაიდო. დაჯილდოების ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, რიგით მეათე დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი რუსთაველის თეატრში შედგება, სადაც უკვე დარიგებული მოსაწვევები ძალაში დარჩება, უფრო მეტიც, ერთი მოსაწვევით დაჯილდოების ცერემონიალზე დასწრება რამდენიმე ადამიანს შეეძლება. როგორც „საბას“ ორგანიზატორები განმარტავენ, დაჯილდოების ცერემონიალის რუსთაველის თეატრში ჩატარების გადაწყვეტილება მათ არამდგრადი ამინდების გამო მიიღეს.**

*ეკა ირემაშვილი*




რიგით მეათე საიუბილეო დაჯილდოების ცერემონიაზე გამოვლინდება 2011 წლის საუკეთესო წიგნები და ავტორები, 9 ნომინაციის მიხედვით – წლის საუკეთესო პროზაული კრებული, წლის საუკეთესო რომანი, წლის საუკეთესო პოეტური კრებული, წლის საუკეთესო დებიუტი, წლის საუკეთესო თარგმანი, წლის საუკეთესო პიესა, წლის საუკეთესო ესსეისტიკა და დოკუმენტური პროზა, წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა და წელსაც დაჯილდოვდება პიროვნება, რომელიც „საბას“ მიიღებს ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის. წლევანდელი კონკურსის ფინალურ ეტაპზე 188 წიგნიდან წარდგენილია 42 ფინალისტი. საპრემიო ფონდი წელს 40.000 ლარს შეადგენს, რომელსაც გამარჯვებულ ავტორებს თიბისი ბანკი გადასცემს.

კომპეტენტურმა ჟიურიმ წარდგენილი წიგნები რამდენიმე თვის განმავლობაში წაიკითხა და მათგან საუკეთესოები შეარჩია. „საბას“ ფინალისტების სია კი ასე გამოიყურება:

ყოველწლიური ლიტერატურული პრემია „საბა“ 2003 წელს დააფუძნა თიბისი ბანკმა,

პენ-ცენტრმა და რუსთავი 2-მა. პრემიის მიზანია წლის საუკეთესო წიგნების გამოვლენა. პრემიაზე განიხილება საქართველოში წინა წელს წიგნად გამოცემული ყველა ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები და უცხოური ნაწარმოების ქართული თარგმანი. ცალკე გაიცემა პრემია „ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის“.

წლევანდელი ნომინაციების ფინალისტების სია ასეთია: ნომინაციაში წლის საუკეთესო პროზაული კრებული წარდგენილნი არიან ზვიად კვარაცხელია, ყიფლიბანდი (ინტელექტი), ზურაბ ლეჟავა, სინაღდე სიყალბისა (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), მიხო მოსულიშვილი, მადლის ქვა (სიესტა), დავით ქართველიშვილი, 6 სიზმარი (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), ცირა ყურაშვილი, ხიზნები კომანის მონასტერთან (ინტელექტი), ბესო ხვედელიძე, წითელი (საუნჯე).

ნომინაციაში წლის საუკეთესო პოეტური კრებული საუკეთესოებად დასახელდნენ ცირა ბარბაქაძე, უცხოქალაქი (უნივერსალი), ელგუჯა მარღია, ნაბადი (სვეტი), პაატა შამუგია, დაუჯდომელი (სიესტა), ვაჟა ხორნაული, სიტყვები – სიყვარულის თვალები (თობალისი), კატო ჯავახიშვილი, ჭუპრი (საუნჯე).

წლის საუკეთესო რომანი – ზაზა ბურჭულაძე, გასაბერი ანგელოზი (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), აკა მორჩილაძე, ობოლე (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), ირაკლი სამსონაძე, ლეას-საათი (ინტელექტი), ზურაბ ქარუმიძე, მელია ტულეფია: ფოქსტროტ (სიესტა).

წლის საუკეთესო დებიუტი – ეკატერინე ახვლედიანი, ორჰან ფამუქის „უმანკოების მუზეუმი“ (დიოგენე), სალომე ბენიძე, მოხსენებითი ბარათი (ინტელექტი), ნინო გუგეშაშვილი, ფეისკონტროლი (დიოგენე), ჯაბა ზარქუა, ვარმშტადური პარადოქსი (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), უჩა ზაქაშვილი, ხელით ნაქსოვი თოჯინები (საუნჯე), სანდრო ნავერიანი, არგენტინული პიტბული (სიესტა), გიორგი ოქროპირიძე, ლექსები (გამოიცა ავტორის ხარჯით), სალომე სულაბერიძე, ჰამალ (არეტე), ეკატერინე ტოგონიძე, ანესთეზია (საუნჯე).

წლის საუკეთესო თარგმანი – მაია ბადრიძე, რობერტ მუზილის „უთვისებო კაცი“, წიგნი II (დიოგენე), ლევან ბერძენიშვილი, არისტოფანეს „კომედიები“, ტომი IV (ლოგოს პრესი), ნათელა გავაშელი, ჩესლავ მილოშის „ისას დაბლობი“ (ინტელექტი), ქეთი ქანთარია, ჰენრი დევიდ თოროს „უოლდენი ანუ ტყეში ცხოვრება“ (სიესტა), ბელა შალვაშვილი, ფირდოუსის „შაჰნამე“ (ნეკერი), გივი შახნაზარი, ნაჰაპეტ ქუჩაკის „ას ერთი ჰაირენი“ (ექსკლუზივ პრინტი), ხათუნა ცხადაძე, უმბერტო ეკოს „ვარდის სახელი“ (დიოგენე), დავით წერედიანი, იოჰან ვოლფგანგ გოეთეს „ფაუსტი“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა).

წლის საუკეთესო პიესა – გურამ ბათიაშვილი, მოქმედი პირნი და შემსრულებელნი (ლიტერატურული პალიტრა), ლაშა ბუღაძე, ნავიგატორი (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), გურამ მეგრელიშვილი, ნაღალატევ ქმართა პირველადი დახმარებისა და მოღალატე ცოლთა რეაბილიტაციის ცენტრი (დიოგენე).

წლის საუკეთესო ესსეისტიკა და დოკუმენტური პროზა – რევაზ გაჩეჩილაძე, ჩემი მეოცე საუკუნე (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), ნოდარ გრიგალაშვილი, თანმდევი სული (ახალი საქართველო), გიორგი მაისურაძე, ჩაკეტილი საზოგადოება და მისი დარაჯები (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), დათო ქარდავა, ტუალეტში საკითხავი (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა).

წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა – ივანე ამირხანაშვილი, თავისუფლების პარადოქსები (ინტელექტი), ლევან ბრეგაძე, ლიტერატურული (გამო)ძიებანი (არტანუჯი),

მაკო ჯანჯიბუხაშვილი, მითის პოეტური ტრანსფორმაცია გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში (წყაროსთვალი).

ვინ მიიღებს ყველაზე პრესტიჟულ ლიტერატურულ პრემია „საბას“ 12 ივლისს რუსთაველის თეატრში გამართულ დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალზე გახდება ცნობილი.

# დიპლომანტი რეჟისორები საქართველოს თეატრებში გადანაწილდნენ

დასაწყისი მე-8 გვერდზე

– დამწყები რეჟისორისთვის ნამდვილად მნიშვნელოვანია კარგი სტარტი. ხუთივე დიპლომანტი ისეთ თეატრებში გადანაწილდა, რომელთაც უნიკალური ისტორია აქვთ და მათ სცენაზე დღესაც იდგმება საინტერესო სპექტაკლები. მოხარული ვარ, რომ კულტურის სამინისტრომ წამოიწყო ახალი პროექტი, რომელიც დიპლომანტი რეჟისორების დასაქმებას და მათ რეგიონალურ თეატრებში გადანაწილებას შეუწყობს ხელს. დიპლომანტი რეჟისორების ხელმძღვანელი ვარ და პირობას გაძლევთ, რომ საინტერესო და ახლებურ სპექტაკლებს დადგამენ, – განაცხადა პროექტის პრეზენტაციაზე რეჟისორმა ლევან წულაძემ.

პირველ ეტაპზე საქართველოს თეატრების სცენებზე სპექტაკლებს დადგამენ დავით ჩხარტიშვილი ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელმწიფო სახელმწიფო დრამატულ თეატრში, ირაკლი ძნელაძე ახალციხეში, მესხეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, თამარ პოპიაშვილი თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, ჯაბა პაპუაშვილი ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, მიხეილ ჩარკვიანი ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში.

– ჩვენი უნივერსიტეტისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა. ეს არის წინგადადგმული ნაბიჯი იმ რეჟისორებისათვის, ვინც ახლა იწყებს ამ სფეროში საქმიანობას. მივესალმებით კულტურის სამინისტროს ინიციატივას, იმასთან დაკავშირებით, რომ მათი სურვილია ყველანაირად შეუწყონ ხელი დიპლომანტი რეჟისორების მომავალს. ჩვენ, ჩვენი მხრივ, ყველანაირად მზად ვართ ამ პროექტთან დაკავშირებით კულტურის სამინისტროსთან სათანამშრომლოდ, – აღნიშნა შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ნოშრევან ჩხაიძემ.

როგორც შეხვედრაზე გახდა ცნობილი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო აღნიშნულ თეატრებს გამოუყოფს ამ სპექტაკლების სადადგმო ხარჯებს, თითოეულს 8.000 ლარის ოდენობით, კულტურის სამინისტრო, უზრუნველყოფს ასევე, დიპლომანტ რეჟისორებს სამივლინებო ხარჯებითა და საყოფაცხოვრებო პირობებით, საქართველოს სხვადასხვა ქალაქში.

– ამ პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს რეგიონების პროფესიული თეატრების რეპერტუარის გაზრდასა და განახლებას, ამასთან ერთად, ახალგაზრდა ხელოვანებს მისცემს იდეებისა და შემოქმედებითი გეგმების რეალიზების საშუალებას. სამინისტრო მზად არის, დიპლომანტი რეჟისორების ხელშეწყობისთვის ყველაფერი გააკეთოს, რათა მათ, მთელი საქართველოს მასშტაბით მიეცეთ იმისა საშუალება, რომ თავისი სპექტაკლები განახორციელონ და საქართველოს რეგიონებში მომუშავე თეატრალურ დასებს გაეცნონ, – აღნიშნა კულტურის მინისტრმა.

# კიევი და მოსკოვი ქერჩის სრუტეს გაიყოფენ

ორწლიანი შესვენების შემდეგ, იალტაში რუსეთ-უკრაინის მოლაპარაკებები განახლდა, რომელიც აზოვი-ქერჩის სრუტის გაყოფას შეეხება. ხელშეკრულებას ხელს ვიქტორ იანუკოვიჩი და ვლადიმერ პუტინი მოაწერს.

„კომერსანტ-უკრაინის“ ინფორმაციით, სინამდვილეში დოკუმენტები უკვე შეთანხმებულია, თუმცა ხელშეკრულებას ხელი ხვალ მოეწერება.



– სახელმწიფო საზღვარი ქერჩის სრუტეში გამყოფი ხაზის გასწვრივ გაივლის. უკრაინის მხარეს დარჩება კუნძული ტუზლა და ქერჩი-ენიგალსკის არხი, აზოვის ზღვასთან დაკავშირებით კი მხარებმა შემხვედრ შეთანხმებას მიაღწიეს. ამ შეთანხმებით გაიყოფა აგრეთვე შავ ზღვაში ნავთობსაბადო პალასა, რომელიც ორივე სახელმწიფოს საშუალებას მისცემს ნავთობის მოპოვების. რაც შეეხება ქერჩის სრუტეში უკრაინის ტერიტორიაზე რუსული გემების თავისუფალ გადაადგილებას, ამაზე პირადად პრეზიდენტები მოილაპარაკებენ, – ნათქვამია „კომერსანტ-უკრაინის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ქერჩის სრუტე, ძველი ბერძნების მიერ კიმერიის ბოსფორად წოდებული – სრუტე ქერჩის ნახევარკუნძულსა და ტამანის ნახევარკუნძულს შორის, რომელიც შავ და აზოვის ზღვებს აკავშირებს. სრუტის დასავლეთ სანაპირო ყირიმს ეკუთვნის, აღმოსავლეთი კი – ტამანის ნახევარკუნძულს. სრუტის სიგანე მერყეობს 4,5 – 15 კმ. სიღრმე 18 მეტრს არ აღემატება. ნაპირები ადგილ-ადგილ დაბალია, ზოგან ფლატოვანი. ზამთრობით დაფარულია მცურავი ყინულით. სრუტის დასავლეთ ნაპირზე არის მნიშვნელოვანი ნავსადგური ქალაქი ქერჩი. სრუტის რეგიონი თევზის მრავალი სახეობის რეწვის მნიშვნელოვანი ზონაა.

ქერჩის სრუტეზე ზოგიერთი მონაცემით ევროპისა და აზიის საზღვარი გადის, რომლის მიხედვით აზოვის ზღვა ევროპის ნაწილში რჩება. სრუტეში დადის სარკინიგზო ბორანი.

# „უოლტ დისნეი“ კორეას უჩივის

ამერიკული სტუდია „უოლტ დისნეი“ კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას საავტორო უფლებების დარღვევაში ადანაშაულებს.

„ბლუმბერგის“ ინფორმაციით, ამერიკული სტუდია სახელმწიფოს მულტფილმის გმირების მითვისებაში ადანაშაულებს. „უოლტ დისნეის“ არ მიუცია უფლება ტოტალიტარული სახელმწიფოსთვის მისი პერსონაჟები გამოეყენებინა, – ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.

სააგენტოს ინფორმაციით, საქმე იმაში გახლავთ, რომ კორეის ლიდერის კიმ ჩვენ ინისადმი მიძღვნილ კონცერტზე დისნეის პერსონაჟები გამოჩნდნენ. კონცერტი ტელევიზიით გადაიცა. საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობდნენ პერსონაჟები ცნობილი მულტფილებიდან „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“ და „ლამაზმანი და მახინჯი“.

უოლტ დისნეის ანიმაციური სტუდია – ამერიკული ანიმაციური სტუდია და უოლტ დისნეის კომპანიის ფილიალია. შექმნის დღეებიდან წარმოადგენდა კონგლომერატის „უოლტ დისნეი პროდაქშენის“ ნაწილს. მის მიერ გადაღებული პირველი ფილმი იყო ფიფქია და შვიდი ჯუჯა, რომელზეც მუშაობა 1934 წელს დაიწყო.

1986 წელს კორპორაცია რესტრუქტურიზაციის შედეგად (რაც მიზნად უოლტ დისნეის კომპანიის ჩამოყალიბებას ისახავდა) იგი ოფიციალურად გახდა ცნობილი სახელწოდებით უოლტ დისნეის სრულმეტრაჟიანი ანიმაცია. მიმდინარე სახელწოდება მას 2007 წელს მიენიჭა.

# გერმანია ჰოლოკოსტის საბჭოელ მსხვერპლთ კომპენსაციას გამოუყოფს

„დოიჩე ველეს“ ინფორმაციით, გერმანიის ხელისუფლება ყოფილი სსრკ-ს 80 ათასამდე ებრაელ მოქალაქეს, რომლებმაც ჰოლოკოსტი გადაიტანეს, კომპენსაციას გამოუყოფს. ხელისუფლებამ და ებრაელების მატერიალური სარჩელების კომისიამ უკვე შეიმუშავეს ახალი პროექტი.



საერთო ჯამში გერმანიის ხელისუფლებამ გადარჩენილ ებრაელებს 245 მილიონი ევრო უკვე გადაუხადა. ამჯერად თითოეულ „ჰოლოკოსტელს“ 2556 ევროს გადაუხდიან, გარდა ამისა ისინი ყოველთვიურად 300 ევროს ღირებულების პენსიასაც მიიღებენ.

ახალი კომპენსაციების გაცემა 2012 წლის 1 ნოემბრიდან გაიცემა.

ჰოლოკოსტის სახელით ცნობილია მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გერმანიის ნაცისტური ხელისუფლების და მისი მოკავშირეების მიერ განხორციელებული ებრაელების, ასევე ბოშების, ჰომოსექსუალების და სხვა უმცირესობების მასობრივი გენოციდი. განადგურებული იქნა 6 მილიონზე მეტი ებრაელი. მოკლული საბჭოთა სამხედრო ტყვეების, პოლონელი ინტელექტუალების და სხვების გათვალისწინებით მსხვერპლის რიცხვი გაცილებით დიდია.

# რუსეთის გეგმა სირიის შესახებ დასავლეთს არ მოეწონება

„ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, რუსეთმა ახალი გეგმა წარადგინა სირიის შესახებ, რაც საერთაშორისო დამკვირვებლებისთვის სამთვიანი ვადის გაგრძელებას გულისხმობს. სააგენტოს ინფორმაციით, ეს ინფორმაცია დასავლეთს ნამდვილად არ მოეწონება, რომელიც აქტიურად ითხოვს სირიის მიმართ მკაცრი ზომების გატარებას.

გაეროს დამკვირვებლებს მანდატი 21 ივლისს ეწურებათ.

– ეს აბსოლუტურად არ გახლავთ კონფრონტაციული პროექტი, ის პირიქით მხარს უჭერს კოფი ანანის გეგმას, სირიის კონფლიქტის მშვიდობიანად დარეგულირების შესახებ, – ასეთ განცხადებას აკეთებს რუსეთის მხარე ახალი პროექტის შესახებ.

ამასთან, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი სირიის ოპოზიციასთან მოლაპარაკებებს მართავს.

მინისტრის მოადგილის მიხაილ ბოგდანოვის განცხადებით, სირიის ნაციონალურ საბჭოს თავმჯდომარესთან აბლედბესტ სეიდთან მოლაპარაკებებისას საუბარი შეეხება კოფი ანანის სამშვიდობო ინიციატივებს და ჟენევის შეხვედრის კომუნიკეში ასახულ დებულებებს.

გასულ კვირას, გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, სადამკვირვებლო მისიის ფორმატის შეცვლაზე ისაუბრა. გენმდივანის წინადადების მიხედვით, სირიაში დაახლოებით ასი სამოქალაქო დამკვირვებელი უნდა იყოს, რომლებიც ჰუმანიტარული საკითხებითა და პოლიტიკური კომპრომისის ძიებით იქნებიან დაკავებულნი.

თავის მხრივ, გაეროს სპეციალური წარმომადგენელი სირიაში კოფი ანანი ირანში ჩავიდა. მან აღნიშნა, რომ მისი აზრით სირიაში მშვიდობის დამყარებაში ირანს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია.

– ჩემი აზრით, ირანს დადებითი როლის თამაში შეუძლია, – განაცხადა ანანმა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრ ალი აკბარ სალეჰთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე.

შეგახსენებთ, რომ ირანში ვიზიტამდე ანანი დამასკოში იმყოფებოდა, სადაც ქვეყნის პრეზიდენტ ბაშარ ასადს შეხვდა და როგორც აღნიშნავენ სირიის პრობლების შესახებ „პოლიტიკურ მიდგომებზე“ შეთანხმება მოახერხეს.

თუმცა, ამ ყველაფრის ფონზე სირიის ოპოზიციის ჯგუფები აცხადებენ, რომ მხოლოდ გუშინ ქვეყანაში 68 ადამიანი დაიღუპა.

გაეროს ყოფილი გენერალური მდივნის თქმით, მას სწამს რომ ირანს შეუძლია უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშოს სირიაში ძალადობის დასრულებაში. თეირანი რეგიონში ალ-ასადის რეჟიმის უმთავრეს მოკავშირეს და მეგობარს წარმოადგენს. „სი-ენ-ენ“-ის ცნობით, ირანის შემდეგ ანანი ერაყში ჩავიდა.

თუმცა, ამერიკის მხარეს ბოლომდე არ სჯერა, რომ ირანს მართლაც შეუძლია ამ კონფლიქტში დადებითი როლის თამაში.

– ჩვენ გვსურს, რომ ირანმა დესტრუქციული ქმედება შეწყვიტოს. კოფი ანანის თეირანში ყოფნა, რომელიც ცდილობს ირანი თანამშრომლობაზე დაითანხმოს, ცხადია კარგია, თუმცა ჩვენ ჯერ ვერც ერთის ნიშნებს ვერ ვხედავთ, – განაცხადა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა პატრიკ ვენტრელმა.

იმ დროს, როდესაც მსოფლიოს ლიდერები ბაშარ ალ-ასადის რეჟიმს გმობენ, ასადი ვენესუელას პრეზიდენტთან უგო ჩავესთან კავშირებს ამყარებს.

„სი-ენ-ენ“-ის ცნობით, საერთაშორისო სანქციების მიუხედავად, სამხრეთ ამერიკის ქვეყნის ნავთობის სახელმწიფო კომპანიამ სირიას დიზელის დიდი რაოდენობა გაუგზავნა.

ამერიკის კონგრესის კვლევით სამსახურის მაისის მოხსენების თანახმად, ბოლო თვეების განმავლობაში ვენესუელა სირიას დიზელით ამარაგებს. „უოლ სტრიტ ჯორნალის“ ინფორმაციით, ვენესუელა სირიაში დიზელით დატვირთული მორიგი ტანკერის გაგზავნას გეგმავს.

თავად ვენესუელის პრეზიდენტის განცხადებით, სირიისათვის საწვავის გაგზავნა მისი ქვეყნის სუვერენულ უფლებას წარმოადგენს.

– თუ მათ დიზელი სჭირდებათ და ჩვენ ამ საწვავით მომარაგება შეგვიძლია, არ არსებობს მიზეზი თუ რატომ არ უნდა გავაკეთოთ ეს, – აღნიშნავს ვენესუელის ენერგეტიკის მინისტრი რაფაელ რამირესი, რომლის თქმითაც მათ საერთოდ არ აშინებთ დაწესებული საერთაშორისო სანქციები.

– ჩვენ საკუთარ საგარეო პოლიტიკას, ამერიკის სანქციების შიშით არ წარვმართავთ, – აღნიშნავს მინისტრი.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

## ტელეპროგრამა

**TV პროგრამა**

**ხუთშაბათი 12 ივლისი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **09.00, 12.00, 16.00, 20.00** მოამბე **11.00** სამოთხის ვაშლები **12.45** ევროპული არჩევანი. **13.45** აღმოაჩინე საქართველო **14.30** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" **15.00, 21.00** სერ. "**დეტექტივი**" **17.00** დოკ. ფილმი "სამყარო". **18.00** **ფეხბურთი**: ევროპის ლიგა. **მეტალურგი** (რუსთავი) – **ტეუტა** (ალბანეთი) (პირდ.). **22.00** დიალოგი დ.პაიჭაძესთან. **23.00** თოქ-შოუ "არენა". **00.00** სი-ბემოლი. **01.00** მხ. ფილმი "**როზმარის ბავშვი**" (15) (მ. ფეროუ) **03.25** საფარი. **04.15** მხ. ფილმი "**შენნაირი ღიმილი**" **05.55** დოკ. ფილმი "სამყარო"

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 19.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** დოკ. ფ. "ეგვიპტე" II ნაწ. **16.00** დოკ. ფ. "ეგვიპტე" III ნაწ. **17.00** სერ. "**არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის**" **20.00** მხ. ფილმი "**ჰენრი** VIII" **3-4** სერ. **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფილმი "**ტომი ბიჭი**"

**07.30** იმედის დილა **10.05** ან. ფილმი "სპანჯ ბობი" **10.30** სერ. "**მოპარული ბედნიერება**" **11.30** ქრონიკა+ **11.00, 11.30, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.30, 05.15, 07.00** ქრონიკა **11.50** სერ. "**უკვდავი ამბავი**" **12.30** დღის შოუ **14.40** **100** გრადუსი (გან.) **17.40** სერ. "**მეწამული ცა**" **18.40** სერ. "**შურისძიების სახელით**" **21.00** სერ. "**მემკვიდრეები**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში 3**" **23.00** მხ. ფ."**ტრანსპორტერი**" **01.00** თბილისი ლაივი **02.25** მხ. ფ. "**საიდუმლოს სია**" **04.10** მხ. ფილმი "**დაბრუნება ბრაიდსჰედში**" **05.45** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**დედის გული**" **11.00** სერ. "**ეჭვი და სიყვარული**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.30** კომედი შოუ **17.00** სერ. "**ტერეზა**" **18.45** სერ. "**მგზნებარე გული**" **19.50** სერ."**ველური ყვავილი**" **22.00** პროფილი **23.30** ქარ. მხ. ფილმი "**ნიკო აპლოდისმენტები**" **02.30** შუა დღე **03.00** პატრული **04.30** მხ. ფილმი (ტიტ.)

**08.00** ან. ფილმი **08.55** სერ. "**ჩემი შეყვარებული**" **09.45, 12.00, 15.00, 17.00** ტვ-მარკეტი **10.00** მხ. ფილმი **12.15** სერ."**მარტოხელა მტრედი**" **13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.15** პულსი (გან.) **15.45** ან. ფილმი **17.10** სერ. "**ველური მთვარე**" **18.00** სერ. "**შოკის შემდეგ**" **19.00** გზა ლონდონისკენ **20.00** სერ. "**ვნებათა მიწა**" **21.00** სერ."**გაუხსნელი საქმე**" **22.00** მხ. ფილმი **00.00** მზესუმზირა **02.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ. "**საიდუმლო აგენტების თავგადასავალი**" **10.30** დოკ. ფილმი "ჰოლივუდი მაფიის წინააღმდეგ" **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.25** სერ. "**საგა**" **12.50, 19.35** სერ. "**კეთილშობილი თაღლითები**" **13.50** სცენა **15.15** სერ. "**საიდუმლო აგენტების თავგადასავალი**" **16.00** დოკ. ფილმი "პლატინის ქორწინებები" **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი "ჰოლივუდი მაფიის წინააღმდეგ" **19.30** ანონსი. **23.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** განთიადი **10.00, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55** ისტორიის დღიური **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.35, 21.25** უწიგნოდ თვადთახედვის ისარი მოკლეა. **10.40** დოკ. ფილმი "ლოპოტას ხეობა". **11.10** მოკ. ფ. "**პატარა მეგობრები**". **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.05** საეკლესიო კალენდარი. **12.15** მხ. ფ. "**დილის ნისლივით**". **13.20** კონცერტი: "ჩვენებურები". **15.05, 18.55, 22.55** ერთი ნივთის ისტორია. **15.10** განთიადის სტუმარი. **15.35** დოკ. ფილმი "სულიკო". **16.30** მხ. ფილმი "**კუკარაჩა**". **16.35** კვირიაკე. **17.05** საუკუნის პორტრეტები – კირიონ II. **18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **18.10** გუთნისდედა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი. **19.00** სიახლენი. **19.20** მხ. ფილმი "**გაზაფხული გადის**". **22.25** დოკ. ფილმი "წმინდა მოციქულთა თავნი პეტრე და პავლე". **22.45** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები. **00.05, 02.30** სიახლენი. **00.35** განთიადის სტუმარი **00.55** კონცერტი: ტამარ ჭოხონელიძე.

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# ცფვუკჯდბფჯჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

**სახელოვანი მამულიშვილი**

ოთხმოცდაათი წლის ასაკში აღესრულა ღვაწლმოსილი და სახელოვანი მამულიშვილი, ყველა დროის უდიდესი ომის, მეორე მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე

## აკაკი ესტატეს ძე კვიციანი



აკაკი კვიციანმა და მისნაირებმა ათქმევინეს ჩვენი დროის დიდ მწერალს ოთარ ჭილაძეს: „სვანეთი ის ბროლის კოშკია, სადაც მარად წაუბილწავი ზნეობის და მარად ქართული სულისმჭედელი ხალხი ცხოვრობს და სანამ სვანეთის მწვერვალები ფეხზე დგანან, საქართველო არ დაიღუპება“. ბატონი აკაკი იყო წაუბილწავი ზნეობის და ქართული სულის მჭედელი კაცი, რომელიც დაიბადა „უშბის“ ძირში, ულამაზეს სოფელში, რაინდთა საუფლოში, სოფელ ბეჭოში ქალბატონი ნანასა და ბატონი ესტატე კვიციანების დიდებულ ოჯახში.

ბატონმა აკაკიმ ცხოვრების ნათელი და შინაარსიანი გზა განვლო. მეორე მსოფლიო ომიდან დაბრუნების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა და მას შემდეგ მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა მესტიის რაიონში, იყო ზემო სვანეთის (მესტიის) რაიონის სახელგანთქმული მუზეუმის დირექტორი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მუზეუმი გამდიდრდა ახალი ისტორიული შედევრებით, მათ შორის, მსოფლიო კულტურის უნიკალური ძეგლის „ჰადიშის“ ოთხთავით. ბატონმა აკაკიმ ახალი სიო შთაბერა ასევე მესტიის რაიონის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს, მისი უშუალო ხელმძღვანელობით გადარჩა დაღუპვას სვანეთის მრავალი ეკლესია-მონასტერი და ციხე-კოშკი.

მადლობა ყველაფერ ამისთვის ბატონი აკაკის ნათელ სულს. ყველგან, სადაც კი ბატონმა აკაკიმ იმუშავა, ხალხის უდიდესი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მადლიერი თაობა მის ამაგს არასდროს დაივიწყებს.

აღსანიშნავია, რომ ბატონი აკაკი ყველა დროის თაობის ლიდერი გახლდათ. ბატონმა აკაკიმ თავისი ბედი დაუკავშირა დიდი გვარის ულამაზეს ქალბატონ ლილი ონიანს და მასთან ერთად შექმნა შესაშური ოჯახი.

ბედნიერია, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული და არანაკლებ ბედნიერია, ვისაც სამშობლო მადლიერი ჰყავს. ბატონი აკაკის გული 90 წლის განმავლობაში სამშობლოსათვის ძგერდა და სამშობლოც მადლიერი ჰყავდა. ბრწყინვალე იერსახე, ფართო ერუდიცია, ნათელი გონება და დიდი ჰუმანიზმი მას ყველასათვის პატივსაცემ და საყვარელ ადამიანად ხდიდა.

ბატონო აკაკი, დიდებით მოსილი შენი სახელი უკვდავი იქნება, ხოლო საფლავი შენი სალოცავ ხატად დარჩება შთამომავლობისათვის.

*მეგობრები*

მეუღლე ლილი ონიანი, შვილები კახა, ნესტანი და ნუნუ კვიციანები, რძლები ნანა შუკვანი და ლიკა კაპანაძე, სიძეები თამაზ გვასალია, თენგიზ ჩართოლანი, შოთა ბერეკაშვილი, შვილიშვილები მაკა, ბაია, კოკა, კახა, ნუცა, დიმა, თამუნა, შვილთაშვილები თამაზი, დათა, ნუცა და დავითი ღრმა მწუხარებით იუწყებიან

## აკაკი (კაკო) კვიციანის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 10, 11 ივლისს, 16 საათიდან, სოფელი დიღომი, 13 ასურელის ქუჩა.

გამოსვენება: 12 ივლისს, 15 საათზე, საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

ივერი და გოჩა ჭელიძეები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

## აკაკი კვიციანი

და სამძიმარს უცხადებენ კახა კვიციანის ოჯახსა და ახლობლებს.

ივერი და გოჩა ჭელიძეები მწუხარებით იუწყებიან

## ნელი გელაშვილი-გადელიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ დემურ გადელიას ოჯახსა და ახლობლებს.

ცფვუკჯდბფჯჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ
ჯდტკლქტ7
რდბჰბცუფჯლფ7!@–ლფყ!&ცფფლფჯლტ8

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

12 ivlisi


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6369

ევრო —2,0455

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5586

რუსული რუბლი — 0,0498

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 24–27, ღამით — 18–19.

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 22–25, ღამით — 17–18.

ამინდის პროგნოზი 12 ივლისისთვის






# 14 ივნისიდან!

## დიდი საზაფხულო აქცია

## ქართული მწერლობის საუნჯე

## „ახალ თაობასთან“ ერთად

ფასი 5 ლარი

fcnhjghjuyjpb

!@ ბეჯბცბცსებც

.დცჯფვ უფბსეფჯბცობყცს=

წარმატებული დღეა

**ვერძი** — მშვენიერი დღეა, გილოცავთ. **კურო** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ტყუპები** — ნურავის ენდობით, საკუთარ თავს დაუჯერეთ. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** — სახლში სიახლეა, ავეჯს გამოცვლით. **ქალწული** — საღამოს დაჯილდოვდებით, თქვენ ეს დაიმსახურეთ. **სასწორი** — ნუ აყვებით სხვებს, თავს მიხედეთ. **ღრიანკალი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **მშვილდოსანი** — ყურადღების ცენტრში მოხვდებით, ახალი წინადადება გელით. **თხის რქა** — გახარებული ხართ, საქმემ გაამართლა. **მერწყული** — დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **თევზები** — ახალ პროექტში მონაწილეობა ნამდვილად ღირს, იფიქრეთ ამაზე.

უბცეჰეტ,ს ,ტღყბტჰ ღქტს=

## შენგელიას პროგრესი: 8 ქულა 14 წუთში

თორნიკე შენგელიამ ორლანდოს საზაფხულო ლიგის მორიგი მატჩი დამაჯერებლად ითამაშა. „ბრუკლინ ნეთსი“ ამჯერად „ბოსტონს“ დაუპირისპირდა და მიუხედავად იმისა, რომ თამაშის განმავლობაში 14 ქულით იგებდა, საბოლოოდ მაინც მარცხი განიცადა – 73:82.

შენგელიამ ამჯერად 14,20 წუთი ითამაშა და 8 ქულასთან ერთად 4 მოხსნა მოაგროვა. თორნიკემ ბოსტონელთა ფარს ორქულიანი ზონიდან 6-ჯერ შეუტია და 4 ჩააგდო, 1 სამიანი კი ააცილა.



შენგელია სათადარიგო იყო და მოედანზე როცა იმყოფებოდა, „ნეთსს“ უპირატესობა ჰქონდა. თორნიკე ამჯერადაც საუკეთესო იყო იმ კომპონენტში, რომლის მიხედვითაც მოთამაშის მოედანზე ყოფნისას ბურთების შეფარდება ითვლება. შენგელიას თამაშის პერიოდში „ნეთსმა“ „ბოსტონი“ 6 ქულით დაამარცხა, რაც ბრუკლინელთაგან საუკეთესო შედეგი გახლდათ სტეფან დენისთან ერთად.

„ნეთსის“ რიგებში 16 ქულით საუკეთესო ალ ტორნტონი გახლდათ, რომელსაც ნბა-ში თამაშის ორწლიანი გამოცდილება აქვს და იმდენად კარგი კალათბურთელია, საზაფხულო ლიგაში რატომ გამოდის, ცოტა უცნაურია. შენგელიას თანაგუნდელს, ქართული პასპორტის მქონე ტორინ გრინს კვლავ არ უთამაშია. „ნეთსი“ მორიგ მატჩს „ოკლაჰომა სიტისთან“ გამართავს.

მ. ჟ.

## დავით ალადაშვილმა საქართველოში ტურნე დაასრულა

ეკა ირემაშვილი

ცნობილმა ქართველმა პიანისტმა დავით ალადაშვილმა საქართველოში დაწყებული მუსიკალური ტურნე თბილისში დაასრულა.



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დარბაზში ჯულიარდის სკოლის წარმატებულმა მოსწავლემ დასკვნითი კონცერტი გამართა. აღნიშნული საღამო ჩატარდა სამინისტროს პროექტის ფარგლებში, რომელიც გულისხმობს პროფესიონალი მუსიკოსების მასტერკლასების ორგანიზებას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. თბილისში კონცერტის ჩატარებამდე, მუსიკოსმა უკვე ჩაატარა მასტერკლასები თელავში, რუსთავსა და გორში. მასტერკლასებში მონაწილე თხუთმეტივე მოსწავლე კულტურის სამინისტროში საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

— ამ პროექტის


გაგრძელება მე-8 გვერდზე


# 4 ივლისიდან

## გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

## „ისტორია და ამოუცნობი სამყარო“




ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

იტალიური კრიმინალური დაჯგუფებები, რომლებსაც კრებითი სახელით – „მაფია“ მოიხსენიებენ, XIX საუკუნის 60-იანი წლებისთვის ტრადიციული ბანდიტიზმის ნიადაგზე აღმოცენდა და მთელი სიცილია მოიცვა. მისი გავლენა მალე გასცდა იტალიის ფარგლებს და XX საუკუნის დასაწყისში ორგანიზაციის ათასობით წევრი, მეტწილად არალეგალურად, შეერთებულ შტატებში დამკვიდრდა. მალე მაფიის საცეცები ამერიკის ცხოვრების ყველა სფეროს მოედო, ხოლო ნარკოტიკებით ვაჭრობის ინდუსტრიაში მისი წამყვანი როლის გამო, მაფიამ საკუთარი ქსელი ბრიტანეთში, კანადასა და ავსტრალიაშიც შექმნა.

მაფიის წევრთა უმრავლესობა დაუნდობელი, ანტისოციალური ელემენტი და კრიმინალი იყო. მიუხედავად ამისა, მათი „ლამაზი“ ცხოვრების სტილი საზოგადოებისთვის ძალზე მიმზიდველი აღმოჩნდა – ათასობით კანონმორჩილი მოქალაქე დგებოდა რიგში ე.წ. განგსტერული ფილმების სანახავად, ხოლო ცნობილი პიროვნებები განგსტერების მხრიდან მის მიმართ გამოჩენილი ყურადღებით იწონებდნენ თავს.

„მაფიის ისტორია“ ალ კაპონეს, ლაკი ლუჩიანოს, ბენჯამინ „ბაგსი“ სიგალის, ტომაზო ბუშეტას და სხვა ცნობილი „მაფიოზების“ ცხოვრებაზე, მათი ოჯახების, კოდექსის, დანაშაულებისა და მკვლელობების შესახებ მოგვითხრობს. იგი წარმოადგენს ვრცელ და ამაღელვებელ ამბავს, რომელიც გაჟღენთილია სისხლით და აღსავსეა მუხანათობით...

## h3xცეx3ლბ ფ

**შვეულად:** 1. კულტურის დაქვეითება, დაცემა; 2. შავი და მარმარილოს ზღვების დამაკავშირებელი სრუტე; 3. ბასკეთის მთავარი ქალაქი; 4. ბუღალტერიაში, სხვაობა შემოსავლისა და გასავლის ჯამებს შორის; 5. რუმინელი კომპოზიტორი; 11. ფიგურული სახაზავი; 12. ნოტიო, თიხნარი ნიადაგის ქართული სახელწოდება; 14. ესპანელი სიურეალისტი მხატვარი; 16. მესაქონლეობის ფერმის მფლობელი სამხრეთ ამერიკაში; 17. საქონლის, პროდუქციის შემოტანის ან გატანის აკრძალვა სახელმწიფოში; 19. ავადმყოფური სიმპტომების დროებითი შესუსტება; 21. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური კულტურა; 22. ორელექტროდიანი ელექტრო ვაკუუმური ნათურა.

**თარაზულად:** 6. ჩინური ფაიფური; 7. ძველბერძენი ფილოსოფოსი; 8. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა; 9. ნელი, ლირიული ცეკვა ბალეტში; 10. საშობაო სიმღერა; 13. სირიის პრეზიდენტი; 15. ისტორიული მოედანი ლონდონში; 18. სახალხო მთქმელი, მომღერალი უკრაინაში; 20. არგენტინის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 21. უბანი თბილისში; 23. ურთიერთნდობით მიღებული გადაწყვეტილება; 24. ძველი ფრანგული ტომი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*





კეჰ]ბ ოზსტკზ .დზსტკზ იფდზ